



შოთა ძიძიგური
(1911–1994)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტი

სამეცნიერო შრომების პრეპარატი

II

ეძღვნება აკადემიკოს შოთა ძიძიგურის
დაბადებიდან 100 წლისთავს



კრებულში შესულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტის და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა, ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომები. კრებული ეძღვნება აკადემიკოს შოთა მიძიგურის 100 წლის იუბილეს.

რედაქტორები: პროფ. დარეჯან თვალთვაძე
პროფ. რამაზ ქურდაძე

პასუხისმგებელი მდივანი პროფ. რუსულან ზექალაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012

ISBN 978-9941-13-245-2

შინაარსი

რამაზ ქურდაძე

აკადემიკოსი შოთა ძიძიგური (ცხოვრება და მოლვაწეობა) 7

შოთა ძიძიგური

ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო
საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში 14

დარეჯან თვალთვაძე

ერთი ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინის
მნიშვნელობისათვის 40

მერი ნიკოლაიშვილი

შოთა ძიძიგურის მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“
თანამედროვე ხედვით 54

გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე

ბასურისა და ქართველური ენების ურთიერთმიმართებანი 61

ვახტანგ იმანაიშვილი

უ-ფუძიანი სახელების კვეცა თანამედროვე ქართულში 66

რუსულან ზექალაშვილი

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ქართულ ენაში 86

პაატა ცხადაია

ოდენ მთარაჭული ლექსემები მთარაჭის ტოპონიმიაში 99

მაია ლომია

ზეპირმეტყველებაში გამოყენებული ჩანართები 109

კახა გაბუნია

გარემოებისა და უბრალო დამატების
ურთიერთმიმართებისათვის ქართულში 116

ინგა სანიკიძე	
აკაკი წერეთლის პოეტური ენის ესთეტიკის რამდენიმე ასპექტი 122	
ქვეყვან მარგიანი-სუბარი	
ეპისტემიკისა და მოქმედების აქტის სემანტიკურ- მორფოლოგიური ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში..... 141	
სალომე ომიაძე	
უგულებელმყოფელი კომუნიკატივები დიალოგურ დისკურსში 153	
თამარ მახარობლიძე	
ჟესტური ენები 159	
მაია მადუაშვილი	
სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიციები ტაოში, იმერხევსა და თუშეთში (ანგარიში) 172	

აკადემიკოსი შოთა ძიძიგური

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

წელს 100 წელი შესრულდა აკადემიკოს შოთა ვარლამის ძე ძიძიგურის დაბადებიდან.

შოთა ძიძიგური დაიბადა 1911 წლის 15 აგვისტოს ხონის რაიონში, სოფელ მათხოვში პედაგოგების ოჯახში. მამამისი ვარლამ ძიძიგური სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი იყო.

შოთა ძიძიგურმა 1927 წელს პირველი ხარისხის ატესტატით დაამთავრა თბილისის მე-15 შრომის სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების დარგზე, ხოლო მომდევნო წლიდან პარალელურად სწავლობდა საენათმეცნიერო დარგზეც, სადაც მას ასწავლიდნენ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერები: აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი. შ. ძიძიგური სტუდენტობის დროიდანვე ჩაება სამეცნიერო მუშაობაში, კერძოდ, 1929 წელს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება იმერული კილოს თავისებურებათა შესახებ, რაც ემყარებოდა თვით შოთა ძიძიგურის მიერვე შეკრებილ დიალექტოლოგიურ მასალას.

შოთა ძიძიგურმა 1930 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1931 წლიდან იგი მიავლინეს ქალაქ ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რისი სრული კურსიც გაიარა ცნობილი მეცნიერების – ნიკო მარის, იური მეშჩანინოვის, ლევ შჩერბასა და კარპეზ დონდუას ხელმძღვანელობით.

ასპირანტურაში სწავლის დროს მონაწილეობდა დიალექტო-ლოგიურ ექსპედიციებში: 1932 წელს სამხრეთ საქართველოში, ხოლო 1934 წელს მთიულეთ-გუდამაყარში.

ასპირანტურაში სწავლის დროს 1933-1935 წლებში, ლენინ-გრადში, კითხულობდა ქართული ენის კურსს ასპირანტებისათვის.

1935 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“.

1936 წელს შოთა ძიძიგური დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში, მუშაობდა აკადემიის სამეცნიერო პროპაგანდის განყოფილების გამგედ და უურნალ „მნათობის“ მეცნიერების განყოფილების გამგედ.

შოთა ძიძიგურმა 1962 წელს დაიცვა დისერტაცია ფილო-ლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „კავშირები ქართულ ენაში“. 1963 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება და იმავე წელს აირჩიეს ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ. შოთა ძიძიგური 1967-1983 წლებში განაგებდა თუ ახალი ქართული ენის კათედრას და სიცოცხლის ბოლომდე ამ კათედრის პროფესორი იყო.

შოთა ძიძიგური 1971 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წელს კი ნამდვილ წევრად. იმავე წლიდან იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

შ. ძიძიგური წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ის იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი თუ თავმჯდომარე: წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა ენათმეცნიერების დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სპეციალიზებულ საბჭოს თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას, ბასკური ენისა და კულტურის საზოგადოებას, იყო თსუ და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო უურნალის „გეორგიკის“ რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამომავალი უურნალების „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ წელიწდეულისა და „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერიის) რედაქტორის მოადგილე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაკტორის წევრი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და სხვ.

აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობისათვის შოთა ძიძიგური სათანადოდ იყო დაფასებული, იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, მათ შორის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და აკადემიკოს სერგეი ვავილოვის მედლებით. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

შოთა ძიძიგური ავტორია ოთხასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის 30-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. ამ ნაშრომთა თემატიკა მრავალმხრივია, კერძოდ, მათში გაშუქებულია ქართული ენის გრამატიკის, ისტორიის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ონომასტიკის, აგრეთვე, ზოგადი ენათმეცნიერების, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები.

პირველი სამეცნიერო წერილი „ქართული სალიტერატურო ენა“ და პირველი წიგნი, სახელმძღვანელო „ქართული გრამატიკა პუნქტუაციითურთ“ (არნ. ჩიქობავას რედაქტორობით) შოთა ძიძიგურმა ოცი წლის ასაკში გამოაქვეყნა 1931 წელს.

შ. ძიძიგურის საკანდიდატო დისერტაციას, „ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“, რომელიც მან 24 წლის ასაკში დაიცვა მაღალი შეფასება მისცეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: ი. მეშჩანინოვმა, ა. შანიძემ და კ. დონდუამ. ეს ნაშრომი გადამუშავებული სახით 1946 წელს გამოქვეყნდა „იბერიულ-

კავკასიური ენათმეცნიერების“ | ტომში სათაურით: „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში“.

ნაშრომში დადგენილია, რომ ქართული (ასევე ზანური) ენის ხუთი ხმოვანი იძლევა 25 კომბინაციას და ეს კომბინაციები ხმოვანთა კომპლექსების 3 ჯგუფს ქმნიან. ესენია: პირველი – ფართო ხმოვანს პლუს ვიწრო ხმოვანი; მეორე – ვიწრო ხმოვანს პლუს ფართო ხმოვანი და მესამე – თანაბარი ღიაობის მქონე ხმოვანთკოპლექსები. მკვლევარი შენიშნავს, რომ ეს კლასიფიკაცია გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს, რაც ქართული დიალექტების ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოდგება. კერძოდ, პირველი რიგის კომპლექსები, რომლებშიც რეგრესული ასიმილაცია ხდება, დამახასიათებელია დასავლური კილოების და ზანურისათვის. აღმოსავლურ კილოთაგან ის გვხვდება თუშურში, მოხეურსა და ფერეიდნულში. მეორე რიგის კომპლექსები დისიმილაციის გზით დიფთონგიზაციისაკენ მიისწრაფის, რაც დამახასიათებელია მთლიანად ქართული ენისა და ზანურისათვის. მესამე რიგის კომპლექსებში იდენტური ხმოვნები მიისწრაფის შერწყმისაკენ, **ო** და **ე** ხმოვნები კი აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში სხვადასხვაგვარ ცვლილებებს განიცდიან, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ დიალექტურად ისინი სხვადასხვა ღიაობისანი არიან. ჩანს, რომ ყველა რიგის ხმოვანთკომპლექსები სხვადასხვა გზით ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ. ქართული კილოები კი ამ მხრივ სხვადასხვა საფეხურზე დგანან.

საერთოდ, დიალექტოლოგია შოთა ძიძიგურისათვის კვლევის მნიშვნელოვანი უბანია. იგი 1929 წლიდან წლების მანძილზე კრებდა დიალექტოლოგიურ მასალას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და სწორედ მის მიერ შეკრებილ მასალას ემყარებოდა მკვლევრის სამეცნიერო დასკვნები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია წიგნში „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიდან“, თბ., 1954. ხოლო უშუალოდ დიალექტური მასალა წარმოდგენილია წიგნებში: „ქართული დიალექტების ქრესტომა-

თია ლექსიკონითურთ“, თბ. 1955 და „ქართული დიალექტოლოგის მასალები“, თბ. 1974.

შოთა ძიძიგურის ნაშრომთა მაღალი მეცნიერული დონე ცნობილია და აღიარებულია როგორც ჩვენში, ასევე მის ნაშრომებს ხშირად იმოწმებდნენ და მაღალ შეფასებას აძლევდნენ უცხოელი ქართველოლოგები: ჰაინც ფენრიხი, რენე ლაფონი, იულიუს ასფალგი და სხვები.

შოთა ძიძიგურის ფუნდამენტური მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ ქართული სინტაქსის საკვანძო საკითხებს ეხება. მასში, ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემებზე დაყრდნობით, განხილულია კავშირების სტრუქტურა, დანიშნულება, გავრცელებისა და ხმარების არე, გარკვეულია მათი ეტიმოლოგია, ქართული რთული წინადადების წარმოქმნის გზები; ყოველივე ამან ავტორს საშუალება მისცა შეემუშავებინა ახალი კონცეფცია ზოგადად სინტაქსური კონსტრუქციების განვითარების გზების შესახებ. კერძოდ, ის, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არა უცხო უმწერლობო ენებისათვის, ანდა იმ ენებისათვის, რომლებსაც მწიგნობრობა არც თუ დიდი ხნის წინ შეუქმნიათ. საყურადღებოა, რომ ამგვარი კონსტრუქციები, ავტორის აზრით, დიალექტთა შინაგანი განვითარების შედეგიცაა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ავტორის დებულება, რომ ქართულ ენაში თანწყობა ქვეწყობის შემდგომი განვითარებისაა და რომ ქართული სალიტერატურო ენის ადრეულ ეტაპზე V-VI საუკუნეების ქართულში ჰიპოტაქსი სინტაქსური ნორმაა, რაც შედეგია სამწერლობო ენის ხანგრძლივი ტრადიციისა.

შოთა ძიძიგურის ცნობილ მონოგრაფიაში „ქართული ენა“ წარმოდგენილია ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის, ქართველი ხალხის, ქართული ენის და ქართული ანბანის წარმოშობის საკითხები; ჩამოთვლილი და აღწერილია ქართული ენის ძეგლები, საუბარია ქართული ენის შესწავლის ისტორიაზე ჩვენში და საზღვარგარეთ. ნაშრომი თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ძალზე დიდია შოთა ძიძიგურის დამსახურება ქართველი კლასიკოსების ენის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამოკვლევები: „შოთა რუსთაველის ენის საკითხები“, „სულხან-საბაორბელიანის „სიტყვის კონა“, „დავით გურამიშვილის ენა“, „ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული“, „აკაკი და ქართული ენა“, „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა“, „ვაჟაფშაველას ენის პრობლემა“, „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“, „ენა და ლიტერატურა“, „მწერლის ენა“. ამ ნაშრომებში განხილულია გამოჩენილ ქართველთა მწერალთა ენობრივი თავისებურებანი და, ამავე დროს, ახლებურადაა წარმოდგენილი მათი ღვანწლი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში.

შოთა ძიძიგურს ეკუთვნის მონოგრაფიები ცნობილი ენათმეცნიერების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, კერძოდ: „ნიკო მარი – ქართული კულტურის მკვლევარი“, „აკაკი შანიძე“, „გიორგი ახვლედიანი“. ამ ნაშრომებში განხილულია გამოჩენილ ენათმეცნიერთა ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფაქტი და მათი დამსახურება ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართული ენის შესწავლის საქმეში.

ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების გასაგები და ყველასათვის ხელმისაწვდომი ცნობებია მოცემული შოთა ძიძიგურის ნაშრომებში: „საენათმეცნიერო საუბრები“ და „ქართული ენის თავგადასავალი“.

შოთა ძიძიგურმა ჩაუყარა საფუძველი ბასკურ-ქართული ურთიერთობის კვლევას საქართველოში. მისმა ნაშრომებმა „ბასკები და ქართველები“ დაუდო სათავე ქართული ბასკოლოგიის სკოლის ჩამოყალიბებას.

შ. ძიძიგურს მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ფოლკლორშიც. მან გასული საუკუნის 40-იან წლებში პირველმა მიაქცია ყურადღება ნართული ეპოსის კვალს ქართულ ფოლკლორში, ხოლო 1971 წელს ცალკე წიგნად გამოსცა მონოგრაფია რუსულ ენაზე: „ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები (გამოკვლევა და ტაქსტები)“.

აკადემიკოსი შოთა ძიძიგური წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც მას ბევრი ასპირანტი და ახალგაზრდა სპეციალისტი ჰყავს აღზრდილი, ასევე ბევრის რეცენზენტი და ოფიციალური ოპონენტი ყოფილა. მის მიერ აღზრდილი კადრები დღესაც წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში. თქვენი ამჟამინდელი მომხსენებელიც ერთი მათგანია, რომელიც ბატონი შოთას მხარდაჭერითა და თანადგომით ყალიბდებოდა მომავალ სპეციალისტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე.

ბატონი შოთა ყოველთვის ენერგიული, ხალისიანი, ახალი საქმის წამოსაწყებად შემართული იყო და ასეთი დარჩება მისი კოლეგებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების მეხსიერებაში.

შოთა რიძიგული

ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში¹

ხმოვნები (რიცხვით ხუთი: ა, ო, უ, ე, ი) კომპლექსთა შემ-
დეგს კომბინაციებს გვაძლევენ: ა+ა, ა+ო, ა+უ, ა+ე, ა+ი; ო+ო, ო+
ა, ო+უ, ო+ე, ო+ი; უ+უ, უ+ო, უ+ა, უ+ე, უ+ი; ე+ე, ე+უ, ე+ო, ე+ა,
ე+ი; ი+ი, ი+ე, ი+უ, ი+ო, ი+ა (სულ 25 კომბინაცია). გამოვარკვი-
ოთ: რა ფონეტიკურ სახეცვალებას განიცდიან ეს კომპლექსები
ქართულში დიალექტურად და ზანურ ენაში. დავალაგოთ, კვლე-
ვის გაადვილოების მიზნით, წარმოდგენილი 25 კომბინაცია ხმო-
ვანთა ღიაობის მიხედვით. ამ შხრივ ძირითადად კომპლექსთა
სამ ჯგუფს მივიღებთ: ერთია კომპლექსები, სადაც უფრო ფარ-
თო ხმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო (ფართო+ვიწრო), მეორეა –
კომპლექსები, რომლებშიც უფრო ვიწროს მოსდევს უფრო ფარ-
თო ხმოვანი (ვიწრო+ფართო) და მესამეა – კომპლექსები, სადაც
თანაბარი ღიაობის ხმოვნებია: აქვე შემოვა იდენტური ხმოვნე-
ბიც. ამგვარად გვექნება A, B და C რიგი:

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების სა-
ჯარო სხდომაზე 1943 წლის 7 მაისს. იხ. იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერება, I თბილისი, 1946, გვ. 19–34.

A	B	C
ა+ი	ო+ა	ო+ე
ა+უ	ე+ა	ე+ო
ა+ე	ი+ე	ი+უ
ა+ო	ი+ო	უ+ი
ო+ი	ი+ა	ა+ა
ო+უ	უ+ე	ო+ო
ე+ი	უ+ო	ე+ე
ე+უ	უ+ა	უ+უ
		ი+ი

ხმოვანთა კომპლექსების ამგვარი დალაგება მხოლოდ ტექ-ნიკური მოსაზრებით არ აისწება: ეს კლასიფიკაცია გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე A რიგის, B რიგისა და C რიგის კომპლექსები.

A რიგის კომპლექსები

აქ ასეთი შესამებაა: **ა ო ე – ო ი უ**’სთან. წინამავალ სამს (ა ო ე) აკლია ი უ, და ეს ბუნებრივია: უკანასკნელი უკიდურესად ვიწრო ხმოვნებია, A რიგი კი ჯერ ფართოსა და შემდეგ ვიწრო ხმოვნებს შეიცავს. ცალ-ცალკე ა’ს ეხამება ი უ ე ო, ო’ს ი უ და ე’ს – ი უ.

ქართულ კილოთა მასალების მიხედვით ირკვევა, რომ, როდესაც ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი, ადგილი აქვს, როგორც წესი, რ ე გ რ ე ს უ ლ ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს: მომდევნო ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამავალ უფრო ფართო ხმოვანს. სათანადო ფონეტიკური პროცესი თავს იჩენს უმთავრესად პრევერბისეული ხმოვნების ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას, იშვიათად სუფიქსებში და კიდევ უფრო იშვიათად ძირში.

ა რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესები ძირითადად დასავლური კილოებისთვისაა ნიშანდობლივი; ვინრო ხმოვნების (უ ი) მასიმილაციებელი ძალა უმთავრესად აქ იგრძნობა. ყველა დასავლური კილოს მიხედვით ყალიბდება შემდეგი ფორმულები: **ა+უ → ო+უ → უ+უ → ჟ;** **ა+ი → ე+ი → ი+ი → ი;** მაშასადამე, **ა+უ – სგან** ვიღებთ უ-ს, **ა+ი – სგან** ი-ს საშუალო საფეხურების resp. ნაწილობრივი ასიმილაციის გზით. ამ მხრივ ერთგვარი მდგომარეობა არ გვაქვს დასავლურ კილოებში. გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით ასეთი სურათია: ქედის მიღმა რაც იქით და იქით მივიწევით (დასავლეთისკენ), მით უფრო საგრძნობია ვინრო ხმოვნების ძალა ასიმილაციის პროცესებში. ტერიტორიული თვალსაზრისით დასავლური კილოები შემდეგს ზოლზე ექცევიან: ზემოიმერულ-ქვემორაჭული – ქვემოიმერულ-გურულ-აჭარული [+იმერხეული].

ავილოთ ფორმულა **ა+უ → ო+უ → უ+უ → ჟ.** ზემოიმერულ-ქვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: **ო+უ (< ა+უ) – ს** საფეხურზე დგას: გოუგზავნა, წოუყვანია, ჩოუტანია... ქვემოიმერულშიც ნაწილობრივი ასიმილაციაა ძირითადად, მაგრამ იშვიათად სრულიც არის: **(ა+უ→) ო+უ → უ+უ:** გ უ უ გ ზ ა ვ ნ ი ა, წ უ უ ყ ვ ა ნ ი ა, ჩ უ უ ტ ა ნ ი ა... გურულში სრული ასიმილაციაა ძირითადად, იშვიათად ნაწილობრივიც, აჭარულში სრული ასიმილაციის ნიადაგზე გრძელ ხმოვანს ვიღებთ ძირითადად: **უ+უ → ჟ.** გ ჟ გ ზ ა ნ ა, წ ჟ ყ ვ ა ნ ი ა, დ ჟ ბ ა რ ა, დ ჟ წ ვ ა, გ ჟ თ ხ ა რ ა, ჟ შ ვ ა, ჩ ჟ წ ყ ო, ჩ ჟ გ ო რ დ ე ბ ი ო¹, მაგრამ პარალელურად (თუმცა არა ისე სისტემატურად) გვხვდება სრული ასიმილაცია და იშვიათად ნაწილობრივიც.

¹ ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად. 1936, გვ. 14.

ავიღოთ მეორე ფორმულა: **ა+ი** → **ე+ი** → **ი+ი** → **ძ**. ზემოიმე-
რულ-ქვემორაჭულში ნაწილობრივი ასიმილაციაა: (**ა+ი** →) **ე+ი**:
წ ე ი ღ ო, გ ე ი ქ ნ ი ა ... ქვემოიმერულსა და გურულშიც ასევეა,
აჭარულში კი სრულია: **ი+ი** → **ძ**: გ ი ქ ნ ი ა ...¹ აქედან ჩანს, რომ
უ ი-ს მაასიმილაციებელი ძალა უფრო და უფრო იზრდება და-
ხავთ ის მიმართ კუთხით.

სექტა

<p>ა+ო → ო+უ → უ+უ → ე</p> <p>აშოსაგამი კაბრძლება აშოსაგამი თანამდებობა</p> <p>(გეგებული მუნიციპალიტეტი, თბილისის მთავრობა და გეგებული მუნიციპალიტეტი – ლილი მუნიციპალიტეტი)</p>	<p>ა+ი→ე+ი→ი+ი→ე</p> <p>აჭარული (ფართისაც) აჭარული (ფართისაც) აჭარული (ფართისაც) აჭარული (ფართისაც)</p> <p>გეგებული (მირითადაც), აჭარული (ფართისაც), გეგებული (ფართისაც). აჭარული (ფართისაც), გეგებული (ფართისაც). აჭარული (ფართისაც), გეგებული (ფართისაც).</p>
--	---

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ ქვემომერულის სამტრედიული მეტყველება: აქ ძალაშია **თ+ი** [**<- ე+ი <-ა+ი**]: წილე, გირკეთე, ჩილიტანეს, იიკიდოს და მისთ., მაშინ როდესაც ეს ფორმულა არ ახასიათებს არათუ ქვემომერულს საერთოდ, არამედ მის გეოგრაფიულ გაგრძელებას –


¹ აჭარულში უფრო ხშირია სრული ასიმილაცია, როცა ხმოვნებს შორის თანხმოვანია დიმინახვენ, დიგიჭირვენ, იმიკიდვა, წიმილო. არის გარდამავალი საფეხურებიც: ჩემიდვა <– ჩამიდვა, გეგუეთა <– გაგიკეთა, წემილო <– წამილო და მისთ. სრული ასიმილაციის მაგალითები, როცა თანხმოვანია გამყოფი, სპორადულად თუშურშიკ დასტურდება (გიგიმარჯოს და მისთ.).

გურულსაც. სამტრედიული აქარულს ენათესავება ამ ნიშნით; გეოგრაფიული უწყვეტობა აქ არაა. რაც შეეხება **უ+უ** [**<-ო+უ** **<-ა+უ**]—ს, რომელიც ძირითადად სამტრედიულისთვის (ქვემოიმე-რულისთვის კი, საერთოდ, **უ+უ** არაა ძირითადი), იგი შეიძლება ახსნილიყო გურულის (ზუსტად – ზემოგურულის) გავლენით.

გათვალისწინებული ფორმულები აღმოსავლურ კილოთა-გან თუშურს, ფერეიდნულსა და მესხურ-ჯავახურს ახასიათებთ: სპორადულად მოხეურმიცაა.

ნიმუშები თუშურიდან

- ი 
 - ა+ი->*ე+ი->ი+ი->წ(>ი):** თითოებს, წითილ, გითიმაგ რებს, ღიკიდ, წიღყვანებუ, დიმალენთანუ,
 - დიმთვლების, დიმფარ, (გაგიმარჯოს, დიგიფიქრავ)...
 - ე+ი->ი+ი->წ (>ი):** შიდარ, შიტან... შიარ...
 - ო+ი->*ე+ი->ი+ი->წ (ი)** მიდიგონ¹ (|| მიდგონ), ჩამიტან,
 - წამილ... მიგონ...

- უ 
 - ა+უ->*ო+უ->უ+უ->შ (უ)** დუოუნყეს (|| დშინყეს), დუოუძახ (|| დშიძახ), წუთუტან (|| წშიტან), ჩშიდვეტავ,
 - ჩშიდეგს, წშიყიდეს, დშეკარ, ა ოსთან ჩშისაფრდეს...
 - დუკარ, გუკვირდ...
 - ო+უ->უ+უ->შ (>უ)** მშიკლავს, მუოუკლეს, გამშ-იტანეს, გამშიჭრიან, ჩამშიხედავ.. მუტანს, მუკლავს...

¹ ამ ნიადაგზე მო-პრევერბი მი-დ იქცევა და ამით ემთხვევა მი-პრე-ვერბს: მიიტანე-მოიტანე და მისთ.

უკანასკნელი საფეხური – მარტივი ო უ-ს მიღება (მიიგონ, მუკლავს...) მეტად იშვიათია.

ფერეიდნულში ო-ს გავლენა არ ჩანს, მაგრამ უ კი იწვევს როგორც ნანილობრივს, ისე სრულს დამსგავსებას; მაგ.: ჩ ო უ - ყ ა რ ო ნ, დ ო უ წ ე რ ა, დ ო უ რ ი გ ე... მ უ გ უ კ ლ ე ს, მ უ - გ უ თ ხ ო ვ ა¹... (ამ გზის გავლით: მ ო გ ვ ი კ ლ ე ს → მ ო - გ უ კ ლ ე ს → მ უ გ უ კ ლ ე ს...) როგორც ჩანს, აქ თანხმოვანია ხმოვნებს შუა.

მესხურ-ჯავახურიდან: ა+უ → ო+უ: დ ო უ ძ ა ხ ე ს, გ ა დ ო უ ტ ა ნ ი ა ო+უ → უ+უ: მ უ უ ტ ა ნ ი ა, მ უ უ რ - ბ ე ნ ი ა ... ა+ი → ე+ი: დ ე ი ძ ი ნ ა, გ ე ი ქ ც ა... ალნიშნულია, რომ ეს დასავლური ნორმა ჭოროხის ხეობის მეტყველების შენატანია მესხურ-ჯავახურში.²

ა რიგის სხვა კომპლექსებიდან ა+ო იძლევა ო+ო-ს (და-სავლურ კილოებში ვადასტურებთ: მ უ შ ო ო ფ (მუშაობა), გ უ ლ ო ო ფ, ვ ბ უ ქ ნ ო ო ფ..; ე+უ → უ+უ → ჟ (დასავლ.: შ უ უ თ ა ნ ხ მ ე, შ უ უ კ ა რ ი, უ უ ბ ნ ე ბ ო დ ა, შ უ უ ს რ უ ლ ა, შ უ უ დ გ ა... აჭარ.: შ ჟ კ ი თ ხ ა ვ ს, შ ჟ დ გ ა);³ ო+ი → ე+ი (დასავლ.: მ ე ი ტ ა ნ ა, ნ ა მ ე ი ღ ო, ჩ ა მ ე ი ქ ც ა...), და ეს ფაქტი საყურადღებოა, რამდენადაც აქ ე ხმოვანი ო-ზე უფრო ვიწროდ გვევლინება. ა+ე გადადის ე+ე-დ. ამ ფორმულას თანაბრად იზია-

¹ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფ. უნივ. მოამბე, VII, გვ. 207–210.

² შოთა ძიძიგური, მესხური დიალექტის ალწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით: ენიმეი-ს მოამბე, გვ. 141.

³ ჯ. ნოღაიდელი, იქვე, 14; ფერეიდნულში შოუნახე, შოუტყვევით, შო-უტივეო... არ უნდა იქნეს ახსნილი, როგორც ე+უ->ო+უ; აქ შა პრე-ვერბია (და არა შე-ს ამოსავალი და მისი ა განიცდის ასიმილაციას მომდევნო უ-სთან (იხ. ა. ჩიქობავა, დასახ.შრ., გვ. 207).

რებენ აღმოსავლური და დასავლური კილოები (დ ე ე ხ ს ე ნ ი, ნ ე ე ღ ო, ჩ ე ე ნ ყ ო...).

ზემოთ განვიხილეთ **ა+ი** და **ა+უ** კომპლექსების სახეცვა-ლებანი პრევერბის ხმოვანსა და ზმნის ფუძისეული ხმოვნების შეხვედრის პირობებში. რა მდგომარეობაა სიტყვის ბოლოს? ეს ეხება **ა+ი-ს**.

—ა ბოლოკიდურიან სახელზე სახელობითის **ი-ს** დართვის შედეგად მიღებულ აი კომპლექსში ჩვეულებრივ არა აქვს ადგილი მოსალოდნელ რეგრესულ ასიმილაციას, როგორც ეს ხდება პრევერბის ხმოვნისა და ფუძისეული ხმოვნის აი კომპლექსში. მაგრამ, თუ ეს ბოლოკიდური **ა (||ია)** კნინბობითის სუფიქსია, მაშინ ძალაშია დასავლურ კილოებში ზემოთ გათვალისწინებული წესი: სახელობითის **ი** იწვევს უმთავრესად ნაწილობრივ ასიმილაციას (**ა→ე**) და შემდეგ შესაძლოა გამვლენელი **ი** დაიკარგოს: იგულისხმება: **ძ ა მ ი ა +ი → ძ ა მ ი ე ი → ძ ა მ ი ე,** ტო მარა +ი-> ტო მარე ი-> ტომარე-ს¹ ტიპის ნიმუშები. ამის მაგალითები ბევრია (უცფათე, ურემე, ბაბუე, ბებიე, ბებია, დაიე, ლობიე ...). განსაკუთრებით საგრნობია ეს წესი საკუთარ სახელებში: ვახტანგე, დათე, პავლი, მელინე, მელინგე, ნემინა: იქ შემონაბულია არქაული წარმოება: ურემა, ლობია, ბაბუა, ისიდე, თორე, თარე ი²... ქვემოიმერულ-ზემოგურულისათვის ეს მოვლენა ჩვეულებრივია. ქვემოგურული და აჭარული ამ მხრივ ერთ წრეს ჰქმნიან: იქ შემონაბულია არქაული წარმოება: ურემა, ლობია, ბაბუა, ისიდე, თორე, თარე ი²... ქვემოიმერული გეოგრაფიულად უკავშირდება ზემოგურულს; ქვემო-

¹ III. B. Дзидзигури, К характеристику нижнеимерского говора груз. языка: «Памяти акад. Н.Я. Марра», 1939, гл. 125.

² სერ. უღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 44–45.

გურული უფრო ახლოს დგას აჭარულთან. ეს ტერიტორიული სიახლოვე სრულიად ცხადს დიალექტოლოგიურ შედეგს იძლევა: ზემოგურულს მეტი აქვს საერთო ქვემომერულთან, ვიდრე ქვემოგურულთან, რომელიც, თავის მხრივ, აჭარულს ენათესავება მთელი რიგი არსებითი დიალექტური ნიშნებით.

თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს ბოლოკიდური ფუძისეული –ა’ს დამსგავსებისა სახელობითის –ი’სთან, ყოველ შემთხვევაში ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე: ბ ა ღ ა ნ ე (<– ბ ა ღ ა ნ ა ი), ყ ვ ე ღ ე (<-ყ ვ ე ღ ა ი), ბ ა ბ ე (<-ბ ა ბ ა ი), დ ა ნ ე (<-დ ა ნ ა ი), კ ვ ი რ ე (<-კ ვ ი რ ა ი) და სხვა რამდენიმე.

ამ ფორმათა პარალელურად იმავე კილოურ ერთეულებში დაცულია სახელობითის ი– ჩამოუცლელი ფორმებიც: ტ ო - მ ა რ ე ბ ი, ბ ე ბ ი ე ი, დ ა ნ ე ი....

ამრიგად, ქართულ კილოებში A რიგის კომპლექსებში მოქმედია რეგრესული ასიმილაციის წესი.

როგორია საქმის ვითარება ზანურში?

ჭანურისათვის არნ. ჩიქობავას დადგენილი აქვს ფორმულები: **ა+უ=უ, ა+ო=ო, ო+უ=უ, ა+ი=ი, ე+ი=ი, ო+ი=ი¹**. ყველა ესენი A რიგის ფორმულებია.

მაგალითები:

უნდა ყოფილიყო:	არის:
გონა-ულუ	გონულუ ‘გამოართვა’
მენდა-ულუ	მენდულუ ‘წაულო’

¹ ამავე რიგში ავტორს მოცემული აქვს: ო+ო=ო, ო+ე=ე, ო+ა=ა: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკ. ანალიზი, ტფ. 1936, გვ. 31–35. ამათ ქვევით თავ-თავის ადგილას შევეხებით.

$\textcircled{a} + \textcircled{o} = \textcircled{m}$	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{e}\text{ომეშა-ოხუნეენან}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ოჩქუ}$</p> </td><td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{a}\text{მეშოხუნეენან}$ ‘ჩაუსვამთ’, ‘ჩაუმარხავთ’</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდოჩქუ}$ ‘გაგზავნა’</p> </td></tr> </table>	<p>$\textcircled{e}\text{ომეშა-ოხუნეენან}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ოჩქუ}$</p>	<p>$\textcircled{a}\text{მეშოხუნეენან}$ ‘ჩაუსვამთ’, ‘ჩაუმარხავთ’</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდოჩქუ}$ ‘გაგზავნა’</p>
<p>$\textcircled{e}\text{ომეშა-ოხუნეენან}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ოჩქუ}$</p>	<p>$\textcircled{a}\text{მეშოხუნეენან}$ ‘ჩაუსვამთ’, ‘ჩაუმარხავთ’</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდოჩქუ}$ ‘გაგზავნა’</p>		
$\textcircled{o} + \textcircled{u} = \textcircled{u}$	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{d}\text{ო-უწუ}$</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდო-უდგუ}$</p> </td><td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{u}\text{უწრა}$ ‘უთხრა’</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდუდგუ}$ ‘დაუდგა’, „ქე დაუდგა“ </p> </td></tr> </table>	<p>$\textcircled{d}\text{ო-უწუ}$</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდო-უდგუ}$</p>	<p>$\textcircled{u}\text{უწრა}$ ‘უთხრა’</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდუდგუ}$ ‘დაუდგა’, „ქე დაუდგა“ </p>
<p>$\textcircled{d}\text{ო-უწუ}$</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდო-უდგუ}$</p>	<p>$\textcircled{u}\text{უწრა}$ ‘უთხრა’</p> <p>$\textcircled{e}\text{ოდუდგუ}$ ‘დაუდგა’, „ქე დაუდგა“ </p>		
$\textcircled{a} + \textcircled{o} = \textcircled{o}$	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{g}\text{ოლა-ილუ}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ილუ}$</p> </td><td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{g}\text{ოლილუ}$ ‘გაიარა’ (გვერდით)</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდილუ}$ ‘წაილო’</p> </td></tr> </table>	<p>$\textcircled{g}\text{ოლა-ილუ}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ილუ}$</p>	<p>$\textcircled{g}\text{ოლილუ}$ ‘გაიარა’ (გვერდით)</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდილუ}$ ‘წაილო’</p>
<p>$\textcircled{g}\text{ოლა-ილუ}$</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდა-ილუ}$</p>	<p>$\textcircled{g}\text{ოლილუ}$ ‘გაიარა’ (გვერდით)</p> <p>$\textcircled{m}\text{ენდილუ}$ ‘წაილო’</p>		
$\textcircled{e} + \textcircled{o} = \textcircled{o}$	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{e}\text{ოგე-იდგუ}$</p> <p>$\textcircled{g}\text{ე-იქტუ}$</p> </td><td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{e}\text{ოგიდგუ}$ ‘დაიდვა’, „ქე დაიდვა“</p> <p>$\textcircled{g}\text{იქტუ}$ ‘წაიქცა’</p> </td></tr> </table>	<p>$\textcircled{e}\text{ოგე-იდგუ}$</p> <p>$\textcircled{g}\text{ე-იქტუ}$</p>	<p>$\textcircled{e}\text{ოგიდგუ}$ ‘დაიდვა’, „ქე დაიდვა“</p> <p>$\textcircled{g}\text{იქტუ}$ ‘წაიქცა’</p>
<p>$\textcircled{e}\text{ოგე-იდგუ}$</p> <p>$\textcircled{g}\text{ე-იქტუ}$</p>	<p>$\textcircled{e}\text{ოგიდგუ}$ ‘დაიდვა’, „ქე დაიდვა“</p> <p>$\textcircled{g}\text{იქტუ}$ ‘წაიქცა’</p>		
$\textcircled{o} + \textcircled{o} = \textcircled{o}$	<table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{d}\text{ო-ინჯირა}$</p> <p>$\textcircled{d}\text{ო-იძიცუ}$</p> </td><td style="width: 50%; vertical-align: top;"> <p>$\textcircled{d}\text{ინჯირა}$ ‘დაწვე’</p> <p>$\textcircled{d}\text{იძიცუ}$ ‘გაიცინა’¹</p> </td></tr> </table>	<p>$\textcircled{d}\text{ო-ინჯირა}$</p> <p>$\textcircled{d}\text{ო-იძიცუ}$</p>	<p>$\textcircled{d}\text{ინჯირა}$ ‘დაწვე’</p> <p>$\textcircled{d}\text{იძიცუ}$ ‘გაიცინა’¹</p>
<p>$\textcircled{d}\text{ო-ინჯირა}$</p> <p>$\textcircled{d}\text{ო-იძიცუ}$</p>	<p>$\textcircled{d}\text{ინჯირა}$ ‘დაწვე’</p> <p>$\textcircled{d}\text{იძიცუ}$ ‘გაიცინა’¹</p>		

¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., გვ. 31–34.

ასიმილაციას შეიძლება ადგილი ექნეს თანხმოვნით გაყრილ ხმოვნებს შორისაც (ისევე როგორც ქართულ კილოებში):

უნდა ყოფილიყო არის

ქოგონაულუ	ქაგუნულუ <– ქოგონულუ ‘გამოართვა’
დოლოუნქინუ	დულუნქინუ <– დოლუნქინუ ‘მოუქნია’
ეშაიტუ	იშიტუ <– ეშიტუ ‘ადიოდა’ (ძიგ)

თანხმოვნით გაყრილმა ხმოვნებმა შეიძლება მოგვცენ ნაწილობრივი ასიმილაციაც:

უნდა ყოფილიყო არის

დოვიმბონით	დევიმბონით ‘დავიბანეთ’
დომიბალუნ	დემიბალუნ ‘მეყოფა’ ¹

აღსანიშნავია, რომ ჭანურში შემონახულია ამოსავალი ფორმებიც, სადაც „პრევერბისეული ხმოვანი უცვლელადაა წარმოდგენილი ფუძისეული ხმოვნის წინ. მაგ.: ვარ დაიჯერუ (“არ დაუჯერა”)“ და მისთ².

როგორც ვნახეთ, ყველა ეს ფორმულა ამავე დროს დამახასიათებელია ქართული კილოებისთვისაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჭანურში ასიმილაციის პროცესი დასრულებულია, გარდამავალი სახეობები იშვიათია. მეტიც: აქ სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი ხმოვანი არათუ შერწყმულია და მიღებულია გრძელი ხმოვანი, როგორც აჭარულ-თუშურშია, არამედ ეს „შერწყმა“ ერთ ხმოვანშია გადაზრდილი. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერთი ხმოვანი მივიღეთ არა ასიმილაციის გზით, არამედ წინა ხმოვნის დაკარგვის შედეგადო, მაგრამ ასე-

¹ არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 38.

² იქვე.

თი დასკვნის საწინაამდეგოდ ლაპარაკობენ: а) ნაწილობრივი ასიმილაციის ფაქტები და ბ) ჭანურში ელიზის წესი (მომდევნო ხმოვნის დაკარგვა).¹

პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსება ფუძის ხმოვანთან მეგრულშიც თითქმის ჭანურისებურია. აქ ვადასტურებთ A რიგის კომპლექსების შემდეგ ფორმულებს: ო+უ->ი+ი || ი, ე+ი ->ი+ი, ა+ი ->ე+ი, ა+ე->ე+ე, ა+უ->ო+უ->უ+უ.

უნდა ყოფილიყო

არის

$\left. \begin{array}{l} \text{ქოიბთხიი} \\ \text{ქიდიბთხიი} \end{array} \right\}$ $\text{ო+ი=იი} \text{ი}$ $\left. \begin{array}{l} \text{ქოდოივხვი} \\ \text{მოივრქიი} \end{array} \right\}$	$\begin{array}{l} \text{‘ვითხოვე’} \\ \text{‘დავემხვე’} \\ \text{‘მოვიქნიე’} \end{array}$
---	---

პარალელურად

ქოდოივხვი ქომოივლი	$\begin{array}{l} \text{ქიდივხვი ‘დავემხვე’} \\ \text{ქომივლი ‘მოვიტანე’} \end{array}$
---	--

ომს. ყიფშიძე ამ პარალელურ ფორმათა შესახებ წერს: **иногда гласный предлога совершенно отпадает²** ეს არაა მისაღები.

ე+ი=იი ა+უ=უ+უ ა+ი=ე+ი	$\begin{array}{l} \text{ქემეივლი} -> \text{ქიმიივლი ‘მივიტანე’} \\ \text{გაუთებუ} -> \text{გუუთებუ ‘გაუთავებია’} \\ \text{ვაითმართენა} -> \text{ვეითმართენა, ‘არ} \\ \text{გამოგვესვლება’} \end{array}$
---	---

¹ არნ. ჩიქობავა, დასახელ. შრ., გვ. 31.

² Грамм. мингр. Языка, §115.

ამავე რიგისაა: დ უ უ ძ ა ხ ი (<— დ ო უ ძ ა ხ ი) ‘და უ ძ ა ხ ე’, მ უ უ ლ ა (<— მ ო უ ლ ა) ‘მოდიან’, ვ ო უ ძ ი რ გ (<— ვ ა უ ძ ი რ გ)’ ა რ უ ნ ა ხ ა ვ ს’ და მისთ. (შდრ. იმერული რ ე ი ქ ნ ა <— რ ა ი ქ ნ ა, რ ო უ ყ ა ვ ი <— რ ა უ ყ ა ვ ი).¹

შეიძლება დავასკვნათ. A რიგის კომპლექსებში, სადაც ვიწ-რო ხმოვანი მოსდევს უფრო ფართო ხმოვანს, ადგილი აქვს **რეგ-რესულ ასიმილაციას**: ვიწრო ხმოვნები იმსგავსებენ ფართო ხმოვნებს. ეს კანონზომიერება გატარებულია ქართული ენის დასავლურ კილოებში ძირითადად, აღმოსავლურ კილოთაგან – თუშურსა და ფერეიდნულში (მოხეურშიც) და ენათაგან – ზანურში. ქართული კილოებიდან ყველაზე შორს წასულა თუშური და აჭარული და ამით ისინი უახლოვდებიან ზანურს; დანარჩენი დასავლური კილოები გარდამავალ საფეხურზე დგანან.

B რიგის კომპლექსები

B რიგის კომპლექსებში ვიწრო ხმოვანს მოსდევს უფრო ფართო (ვიწრო+ფართო); იგი საპირისპიროა A რიგისა. ესენია: ო+ა; ე+ა; ო+ე, ო+ო, ო+ა; უ+ე, უ+ო, უ+ა.

ამ შემთხვევაში – ქართული კილოების მიხედვით – ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებას. ჩანს, მომდევნო ფართო ხმოვანი ვერ იჩენს საასიმილაციო ძალას; პირიქით, საქ-მე გვაქვს დისიმილაციასთან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელო-ბით. უფრო ზუსტი კვალიფიკაცია ამ მოვლენისა იქნება, თუ ვიტყვით, რომ აქ მიდრეკილებაა **დიფთონგიზაციისაკენ**; ხმო-ვანთა ჯგუფი, რომლის პირველი ნაწილი ვიწროა და მეორე ნაწი-

¹ იოსებ ყიფშიძე, გრამ. მინგრ. ენა, §115, და ასიმილაციისა და დი-სიმაილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 7.

ლი ფართო, ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროვების გზით.

В რიგის კომპლექსების განვითარების გზა ასეთია:

ო+ა->უ+ა->ტ+ა->ვ+ა (->ა)

ე+ა->ი+ა->ღ+ა

ი+ე->ღ+ე

ი+ა-> ღ +ა

უ+ე->ტ+ე (->ვ+ე)

უ+ა->ტ+ა (->ვ+ა)

(იო, უო ჯგუფები პრევერბებში არ არის).

თა კომპლექსის სახეცვალების პირველი საფეხური უა საერთოა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლურში უმთავრესად სიტყვის ბოლოში ხდება ეს, დასავლურში – უმთავრესად პრევერბებში. ივარაუდება ამ ტიპის ნიმუშები: მუახერხოს, მუაწია, გამუაღვიძა, გამუარდება... გიგუა, ბერუა, სანდრუა, შაქრუა... გოგუები, პალუები (rogore ვხედავთ სიტყვის ბოლოს ამ კომპლექსების ცვალება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში იჩენს თავს).

თა-ს განვითარების მეორე საფეხურის –ტა (თა-> უა->ტა)-ს ნიმუშები ძირითადად დაცულია აჭარულში; მაგ.: მ ტ ა ქ ვ ს (<- მ უ ა ქ ვ ს <-მოაქვს), მ ტ ა ყ ვ ა ნ ი ა (<-მ უ ა ყ ვ ა ნ ი ა <- მ ო ა ყ ვ ა ნ ი ა), ჩ ა მ ტ ა დ ე ბ ი ე ს (<-ჩ ა მ უ ა დ ე ბ ი ე ს <- ჩ ა მ ო ა დ ე ბ ი ე ს), ა ღ მ ტ ა ჩ ე ნ თ (<-ა ღ მ უ ა ჩ ე ნ თ <- აღმოაჩენთ). აქვე შემოდის: გ ა მ ტ ა, მ ო გ თ ს ტ ა ...¹ როგორც ჩანს აჭარულში უკვე მიღებულია დიფთონგი.

¹ ჯ. ნოღაიდელი, დასახელ. შრ., გვ.10. მაგალითები შემოწმებულია და დადასტურებულია ჩემ მიერ.

გურულსა და ქვემოიმერულში სპორადულადღა გვხვდება ამ ტიპის მაგალითები: გ ა დ მ უ ა რ დ ა, მ უ ა ნ ე რ ა ...¹

შემდეგი საფეხურია უმარცვლო უ-ს თანხმოვანში გადაზრდა: ჟა →ვა. ეს კარგად ჩანს გვარების მაგალითში: გ ო გ - ვ ა ძ ე <-გ ო გ უ ა ძ ე <-გ ო გ უ ა ძ ე <-გ ო გ ო ა ძ ე; ბ ო ც ვ ა - ძ ე <-ბ ო ც უ ა ძ ე <-ბ ო ც უ ა ძ ე <- ბ ო ც ო ა ძ ე. დღეს იხმარება გ ო გ ვ ა ძ ე და გ ო გ უ ა ძ ე'ც, მეორე მაგალითიდან კი - ბ ო ც ვ ა ძ ე.

ამ კომპლექსიდან საბოლოოდ ა-ს მიღების შემთხვევები ქართულ კილოებში საერთოდ არ გვაქვს, ოღონდ ძლიერ იშვიათად შესაძლებელია იყოს თუშურში: მ ა ვ გ ო ნ დ (<- მ ო ა გ ო ნ დ ა), მ ა წ ე რ წ (<-მ ო ა წ ე რ წ ა).

ეა→ია მეტად გავრცელებულია კილოებში და ამავე დროს საამისო ფაქტები სალიტერატურო ენისთვისაც არაა უცხო. ჩვეულებრივია კილოებში ასეთი ფორმები: შიატყო, შიადარე, შიასრულა და სხვ. განსაკუთრებით ფშაურშია ეს წესი მოქმედი, ოღონდ უმთავრესად სიტყვის ბოლოს. აქედან შესულია ვაჟას ნაწერებშიც. მაგალითები ვაჟადან: ვ ი ჯ დ ი ა, მ წ ა რ ი ა, ა გ რ ი ა, გ ა დ მ ო ვ ს თ ე ლ ი ა, შ ა ი რ ც ხ ვ ი ნ ი ა, შ ა - მ ი ბ რ ა ლ ი ა, დ ა ვ ა ს რ უ ლ ი ა, ლ ო ნ ი ა, ლ ა მ ი ა, გ ა გ - ვ ა კ ვ ი რ ვ ი ა, ხ ვ ა ლ ი ა, მ თ ვ ა რ ი ა, დ ა გ ვ ი ფ ა რ ი ა, შ ე ი წ ყ ა ლ ი ა, მ ო ა რ ჩ ი ნ ი ა, მ ც ი რ ი ა, დ ა უ ჯ ე რ ი ა... უნდა ყოფილიყო: ვ ი ჯ დ ე ა, მ წ ა რ ე ა, ა გ რ ე ა...² სალიტერატურო ენიდან: მიამა (გიამა, იამა), გიახელი, ქრისტიანი (<-ქრისტეანი)... საერთოდ იან-სუფიქსი, რომე-

¹ ოტ. კახაძე, ოკრიბულის ზოგიერთი თავისებურება.

² ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი (-ეა): ვაჟა-ფშაველა, III, 1930.

ლიც აღნიშნავს ყოლა-ქონებას, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს,¹ მიღებული ჩანს ეან-ისაგან. აქაც ძალაშია აღნიშნული წესი.

შემდგომი საფეხური და აჭარულში დასტურდება: შდახტება, შარგებენ...²

იე->იე-ს მაგალითები აჭარულსავე დაუცავს: დაეძინა, ჩაეყვანა...³ იქვეა ია->ია-ს ასეთი ფორმები: მიატუა, მიაყარა...

უა და უე კომპლექსები პრევერბებში არ გვხვდება (მხედველობაში არ ვიღებთ, თუ უ მიღებულია ო-ს დავიწროების გზით). სამაგიეროდ, სხვა პოზიციაში ესენი ჩვეულებრივია. ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ საზოგადო ქართული ენის ფაქტები. ძვ. ქართულში რომ უმარცვლო უ ინერება ხმოვნების წინ – თუალი, სხუა, საყუარელი, ჯუარი, სიტყუა, თქუა, მოქუედ, შუენიერი, ქუეყანა, ვაჩუენოთ, დაისუენა, შუენის... ამ ნიადაგზე აიხსნება. შემდგომი საფეხურია **უ-სგან ვ-ს** მიღება (თვალი... ვაჩვენოთ....).

მეგრულსა და ჭანურში B რიგის კომპლექსებიდან მოქმედია ეა კომპლექსი. იგი იძლევა, როგორც ეს მოსალოდნელია, ია'ს მეგრულში და და'ს ჭანურში.

არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში ე+ა=ვ+ა-ს მიიჩნევს ასიმილაციად (გვ. 36), მაგრამ აქ პირუკუ პროცესი ჩანს: მომდევნო ფართო ხმოვნის (ა-ს) წინამავალი ვიწრო ხმოვანი (ე) კიდევ უფრო ვიწროვდება დიფთონგიზაციის საერთო წესის მიხედვით.

¹ ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი 1, 1942, §163.

² ჯ. ნოღაიდელი, დასახელ. შრ., გვ. 8. მაგალითები შემოწმებულია ჩემ მიერ.

³ იქვე.

მაგალითები ჭანურიდან:

უნდა ყოფილიყო:

არის:

ქოგე-აკზუ

ქოგდავნუ ‘ხელში ეცა’

გე-ანჭუშუ

გაანჭუშუ ‘დაწვდა, დაიწია’

მაგალითები მეგრულიდან:

უნდა ყოფილიყო

არის:

ქოგე-აგერეტუ ქოგდაგერეტუ
‘დაჩვეოდა’¹

წოხოლე-ანი წოხოლიანი
‘წინანდელი’

ბადე-ამი

ბადიამი² ‘ბადიანი’

როგორც ვხედავთ, სათანადო კომპლექსში მეგრულში ჯერ კიდევ არ არის მიღებული დიფთონგი (**ე+ა →ი+ა**), ხოლო ჭანურში უკვე გამომუშავებულია იგი (**ე+ა→ქ+ა**).

ჭანური კიდევ უფრო შორს მიდის: დიფთონგიზაციის პროცესის გზით საბოლოოდ მიღებულია ერთი ხმოვანი, ე. ი. დაკარგული ჩანს დიფთონგის სუსტი ნაწილი. ეს მუღავნდება ოა კომპლექსის მაგალითზე. არნ. ჩიქობავას მოცემული აქვს **ო+ა=ა** ასიმილაციის ფორმულების მწკრივში. ავტორის აზრით, ამ კომპლექსში ხდება რეგრესული ასიმილაცია (მომდევნო **ა** იმსგავსებს წინამავალ **ო-ს**, ვღებულობთ **აა-ს**, შემდეგ **პ-ს** და საბოლოოდ **ა-ს**). იგი ასახელებს შემდეგს მაგალითებს:

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 37

² И. Кипшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка, § 126 d, e.

უნდა ყოფილიყო:	არის:
მო-ატუდორენ	მატუდორენ ‘სცემია სუნი’
დო-ასვეს	დასვეს ‘წაეცხოთ’, „წაესვათ“
ქოგო-ანწკუ	ქოგანწკუ თოლი ‘აეხილა თვალი’, „გაეხსნა“ თვალი
ქო-ამაფთი	ქამაფთი ‘დავდექი’ „ამოვედი“
ქომო-აღუ	ქომაღუ თელი ‘მოედო მავთული’
მო-ადევეეტუ	მადევეეტუ ‘მოსდებოდა’ ¹

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ასიმილაციას არა აქვს ადგილი. საერთოდ მომდევნო ფართო ხმოვანი არ იმსგავსებს წინამავალ უფრო ვიწრო ხმოვანს. ასეთ შემთხვევაში „დისიმილაცია“, უფრო ზუსტად – დიფორმინგიზაციაა, რა გზითაც მივიღეთ, საბოლოო ანგარიშში, ა. ფორმულა ასე წარმოიდგინება: ო+ა->უ+ა->შ+ა->ვ+ა->ა. მაშასადამე, ამ ჯგუფის პროცესი ვრიგს მისდევს. რომ ეს ასეა, კარგად ჩანს იმავე ჭანურის არქაული ფაქტებიდან:

უნდა ყოფილიყო:	არის:
დო-აჭუ	დვაჭუ ‘დაეწვა’
ქოდოლო-აქიტეს	ქოდოლვაქიტეს ‘გადაეხვივნენ’ ჩაეხუტნენ
დო-ალოდუ	დვალოდუ ‘დაემართა’
დო-აფისუ	დვაფისუ ‘დაესვარა’ ²

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ. 1936, გვ. 35.

² იქვე.

სწორედ ამ მაგალითებშია შემონახული გარდამავალი საფეხური, და ეს ამტკიცებს, რომ **თა** კომპლექსი დავიდა ა-მდის არა ასიმილაციით, არამედ წინამავალი **თ-ს** დავიწროებისა და მისი ვ-დ ქცევისა და საბოლოოს მისი დაკარგვის გზის გავლით. სხვაგვარად „ვინიანი ფორმების“ (დვაჭუ და მისთ.) ახსნა გაგვიჭირდებოდა. არნ. ჩიქობავა „ვინიანი ფორმების“ შესახებ შენიშნავს: „ა-ს წინ პრევერბისეულმა **თ-მ** შეიძლება ნაწილობრივი ასიმილაცია განიცადოს და ვ-დ იქცეს: **თ+ა=ვა**¹ ნამდვილად, ა-მ რომ **თ** დაიმსგავსოს, იგი უნდა გააფართოვოს, აქ კი **თ-ს** ვ-დ ქცევა (ჯერ სრული **უ-სა** და შემდეგ უმარცვლო **უ-ს** მიღება) დავიწროების პროცესის შედეგია.

ამგვარად, **თა** კომპლექსის სახეცალების მიხედვით ჩანს, რომ ჭანურში დიფთონგიზაციის პროცესის შედეგად ორი ხმოვნის კომპლექსი დაყვანილია ერთ ხმოვანზე.

C რიგის კომპლექსები

აქ შემოდის თითქმის თანაბარი ღიაობის მქონე ხმოვანთა და, ამასთანავე, იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები.

თე კომპლექსის ფონეტიკური განვითარება დასავლურ კილოებში A რიგის კომპლექსთა კანონზომიერებას მისდევს: ადგილი აქვს რევრესულ ასიმილაციას: მ ე ე ლ ი, გ ა მ ე ე კ ი დ ა, ჩ ა მ ე ე ს ს ნ ა, შ ა მ ე ე თ ვ ა ლ ა, პ ე ვ ე ტ ი ('პოეტი': **ჰ** ჩართულია) და სხვ. აღმოსავლურ კილოებში ეს კომპლექსი B რიგის წესს გასდევს: ადგილი აქვს წინამავალი ხმოვნის დავიწროებას (resp. დიფთონგიზაციის პროცესს): მ უ ე ლ ი თ, გ ა მ უ ე-კ ი დ ა, ჩ ა მ უ ე ს ს ნ ა, მ ა ვ ი წ რ უ ე ბ თ, გ ო გ უ ე ბ ი, გ რ უ ე ბ ა, დ ა ი ტ უ ე ბ ს, ინდუეთი, პ უ ე ტ ი და სხვ. შდრ. პარალელური ფორმები:

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ. 1936, გვ. 35.

დასავლური: **აღმოსავლური:**

მეელი	მუელი
გამეეკიდა	გამუეკიდა
პევეტი	პუეტი ¹

როგორც ჩანს, **თ** და **ე** ხმოვნებს შორის ღიაობის მხრივ დიალექტურად განსხვავებაა: დასავლურ კილოებში **ე** ვიწროა **თ**-სთან შედარებით, აღმოსავლურში – პირიქით: **თ** უფრო ვიწროა **ე**-ზე. რომ ასე უნდა იყოს კარგად მუღავნდება იმ შემთვევაშიც, როცა ხმოვნების ადგილი შენაცვლებულია კომპლექსში: **ე+თ.** დასავლურში ჭარბობს ასეთი ფორმები: მიორე, მდგომარიობა, შდრ. მოორე, მდგომარობა და სხვა. მეგრულ-ჭანური დასავლურ კილოებს უჭერს მხარს: **ე** ვიწრო ჩანს **ო**-ზე: ეო კომპლექსი ვ რიგისას ეკედლება: **ე+თ→ი+თ||თ+თ.**

მაგალითები მეგრულიდან: **არის:**

უნდა ყოფილიყო:

მე-ოხექ	მიოხექ ‘ჩანხარ’
მე-ოჯინი	მიოჯინი ‘შეხედე’
გე-ორთუ	გიორთუ ‘ახურვს’ ²
მაგალითები ჭანურიდან:	არის:
უნდა ყოფილიყო:	

გე-ობუნ	გთობუნ ‘კიდია მას’
გე-ობუნ	ოოფშუ ‘აავსო’
გე-ოლუ	გთოლუ ‘ჩამოვარდა’
გე-აჯინუ	გთაჯინუ ‘დააწვა’
ქოგე-ოხუნუ	ქოგოხუნუ ‘დასვა; (ურემზე) ¹

¹ გურულში ზოგჯერ გვხვდებოდა ოე-> უე’ს რიგის მაგალითები, რაც შეიძლება აიხსნას (ისევე, როგორც სხვა „აღმოსავლური ფორმები“) სამხრეთ საქართველოს გზით შესულად. ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

² И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, § 115.

უი კომპლექსის სახეცვალებანი შემდეგს სურათს იძლევა:

ა) ვინროვდება **უ** და **ვ**-დ იქცევა: **ლელუი→ლელუი→ლელვი.** ასე-
ვეა მიღებული: თაგვი, ნესვი, მოგვი, ბორცვი და მისთ. შესაძლოა
ბ) მომდევნო **ი** დაიკარგოს: საკურველი, სიტყუსგება, მახული,
წუმა და სხვ. ადიშის ძეგლში ასეთი ფორმები არაიშვიათია. უეჭ-
ველია, აქ დიალექტიზმის გამოვლენაა.

სრულიად ბუნებრივია, რომ იდენტური ხმოვნები ისწრაფ-
ვიან შერწყმისაკენ და ვიღებთ ჯერ გრძელ ხმოვანს, შემდეგ კი
ერთ ხმოვანში გადაიზრდებიან. ზანურში ეს პროცესი დასრუ-
ლებულია, თუმცა გრძელი ხმოვნის ნიმუშები, მაგ., მეგრულში,
დღესაც ბევრია. დასავლურ კილოებში გრძელი ხმოვნები გვაქვს.
ამ ტიპის მაგალითები – სათი, საღამობით, დიძინე – ბევრია.

ორი ერთნაირი ხმოვნის განვითარება მხოლოდ შერწყმის
გზით უნდა წავიდეს, – დისიმილაცია დასაშვები არაა. ასე: შეუძ-
ლებელია **იი**, **ოო**, **უუ**, **აა** კომპლექსებმა დისიმილაცია განი-
ცადონ. ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ *a priori* მიუღებელია
ი. ყიფშიძის ვარაუდი, თითქოს მეგრულში **იი** გვაძლევდეს დი-
სიმილაციით **ეი-ს** და **უუ-ოუ-ს**.

ავტორის აზრით, **ნ ყ ი ი** დიალექტურად – დისიმილაციით –
გვაძლევს **ნ ყ ე ი-ს** ‘წყავი’ ჩ ხ უ –ჩხოუ-ს ‘ძროხა’². ასევე
ივარაუდება ზმნებში: ფ თ ქ ვ ი ი გვაძლევს ფ თ ქ ვ ე ი ს, ი ბ -
თ ხ ი ი-ბ თ ხ ე ს-ს, თ ქ უ უ-თ ქ ო უ-ს, ი თ ხ უ უ -ი თ ხ ო უ ს³.
უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ პირუკუ ვითარებაა: ამოსავალია ეს,
ოუ, ხოლო იი, უუ მეორეულია, ასიმილაციით მიღებული. ამ-
დენად: **ნ ყ ე ი** →**ნ ყ ი ი**, ფ თ ქ ვ ე ი →ფ თ ქ ვ ი ი, ჩ ხ ო უ –

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 36.

² იქვე, § 5 c.

³ დასახ. შრ., § 75.

>ჩ ხ უ უ და ა.შ. და მართლაც: უკანასკნელი მაგალითიდან სხვა მხრივაც ჩანს, რომ ამოსავალია ჩ ხ ო უ (შდრ. ქართ. ცხოვარი).

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ კილოებში დადასტურებული ე-ს დისიმილაცია: ე-ე-ი-ე-ე-ფ. აქ მოსალოდნელი იყო ე-ე-ტ-ე, მაგრამ ადგილი აქვს წინა ე-ს დავიწროებას და, ამგვარად, ამ კომპლექსში ძალაშია დიფთონგიზაციის პრინციპი.

ე-ში წინამავალი ე ვიწროვდება შემდეგ კილოებში: მესხურში, მთარაჭულში, თუშურში, გურულში, იმერხეულში, აჭარულში, ნაწილობრივ ქვემოიმერულში. ე-ში განმსგავსების პროცესს ადგილი აქვს ა) პრევერბისეულ ე-სა და ფუძის თავკიდურ ე-ს შეხვედრისას, ბ) შეიძლება პრევერბისეული ე თავისთავად წაასიმილაციარი იყოს, გ) მრავლობითის-ებ-ისა და ფუძის ბოლოკიდური ე-ს შეხვედრის პირობებში.

აი ტიპური მაგალითები: შ ი ე ბ რ ა ლ ა, შ ი ე ყ ა რ ა, შ ი ე - ჭ ა მ ა, შ ი ე ძ ლ ო ს... გ ა მ ი ე კ ი დ ა (<-გ ა მ ე ე კ ი დ ა <- გ ა მ ო ე კ ი დ ა), გ ა მ ი ე წ ყ ო (<-გ ა მ ე ე წ ყ ო <-გ ა მ ო - ე წ ყ ო), გ ი ე ტ ე ხ ა (<-გ ე ე ტ ე ხ ა <-გ ა ე ტ ე ხ ა), დ ი ე - ძ ი ნ ა (<-დ ე ე ძ ი ნ ა <-დ ა ე ძ ი ნ ა), დ ი ე ც ა (<-დ ე ე ც ა <- დ ა ე ც ა)... კ ლ დ ი ე ბ ი (კ ლ დ ე ე ბ ი), ღ ე ლ ი ე ბ ი (ღ ე ლ ე ე ბ ი), ს ა ქ მ ი ე ბ ი (ს ა ქ მ ე ე ბ ი), ტ ყ ი ე ბ ი (ტ ყ ე ე ბ ი), მ თ ი ე ბ ი (<-მ თ ე ე ბ ი <-მ თ ა ე ბ ი), ვ ი ნ ც ხ ი ე ბ ი (<- ვ ი ნ ც ხ ე ე ბ ი <-ვ ი ნ ც ხ ა ე ბ ი) და მისთ.¹ მხოლოდ აჭარულშია მიღებული დიფთონგი იე: დიეძინა, წიეგება, მიეწყინა.

¹ ზოგ კილოში (მესხურში, აჭარულში, გურულში) ანალოგით –ი-ებ თანხმოვანფუძიანებსაც დაერთვის: რძლიები, ქათმიები, საჭმლიები, ცხვრიები... მ. ხუბუა აქ ი-ს ინფიქსად მიიჩნევს (ზემო აჭარის ენობრ. მიმოხილვა, გვ. 13). ეს შეცდომაა.

მაშასადამე, ეს კომპლექსი ეთიშება იდენტურ ხმოვანთა კომპლექსის წესს – დაყვანილ იქნეს ერთ ხმოვანზე, და დიფთონგიზაციის გზას ადგას. თუ რატომ ხდება ეს, ჯერჯერობით აუხსნელია.

დასასრულ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას.

როგორც დავინახეთ, A რიგის კომპლექსების სახეცვალებას საბოლოოდ მივყავართ ერთხმოვნობამდის: რეგრესული დამსგავსების შემდეგ ორი ერთნაირი ხმოვანი ერთ გრძელ ხმოვანში გადაიზრდება და ბოლოს ვიღებთ ერთ ხმოვანს. ამ უკანასკნელ საფეხურს მიაღწია ზანურმა მეტ-ნაკლებად, ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიდგენენ; წინაუკანასკნელ საფეხურზე დგანან აჭარული და თუშური.

არსებითად ამავე გზას ადგას B რიგის კომპლექსები: ხმოვანთა კომპლექსები ერთხმოვნობისკენ მიემართება, ოღონდ დიფთონგიზაციის გზით.

ამგვარად, ხმოვანთა კომპლექსებში ასიმილაციისა და დისიმილციის (resp. დიფთონგიზაციის) საბოლოო შედეგი, მუხედავად ამ პროცესის დიამეტრული სხვაობისა, ერთი და იგივეა: ორივე გზა მიემართება ერთ ხმოვანზე დაყვანისაკენ. პირველი გზა გულისხმობს სრული დამსგავსების საფეხურის გავლით ორი ხმოვნის ერთ ხმოვანში შერწყმას და მასისიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას, მეორე გზა კი – ერთი ხმოვნის დაკარგვას დიფთონგის საფეხურის გავლით და მადისიმილაციებელი ხმოვნის უცვლელად დარჩენას. ესაა ხმოვანთა კომპლექსების „გამარტივების“ ორი საშუალება, ხოლო B რიგისაში, პირიქით, „დისიმილაციაა“ მოქმედი, – აქ ვიწრონი კიდევ უფრო ვიწროვდებიან და დიფთონგის გზის გავლით გამარტივებას აღნევენ.

თუშური და აჭარული პარალელი ვიწრო ხმოვნების მასიმილაციებელი ძალის მხრივ საყურადღებოა ქართული დიალექტოლოგისათვის. ირკვევა, რომ ვიწრო ხმოვნების **იუ-ს** ძალა არ

ყოფილა მარტოოდენ დასავლური კილოების ნიშანდობლივი თვისება, იგი აღმოსავლური კილოებისთვისაც არა ჩანს უცხო.

დასავლური კილოების კანონზომიერება – ვიწრო ხმოვნების დიდი ძალა ასიმილაციის პროცესებში – ეგზომ დამახასიათებელი ამავე დროს მეგრულ-ჭანურისათვის, არ შეიძლება ახსნილ იქნეს, როგორც ზანიზმი. თუშურის (და, აგრეთვე მეტნაკლებად სხვა აღმოსავლური კილოების) მონაცემები გვაიძულებენ ეჭვის თვალით მოვეკიდოთ ამ მხრივ მხოლოდდამხოლოდ ზანურის გავლენას.

ასიმილაციის პროცესებში ვიწრო ხმოვნების განსაკუთრებული როლის საკითხთან შინაგან კავშირშია თუშურის (და ზოგჯერ სხვა მთის კილოების) წესი ხმოვანთა დავიწროება-დაკარგვისა არაასიმილაციურ გაემოცვაში.

თუშურში მიდრეკილებაა ბოლოკიდური ხმოვნების თას დასუსტება-დაკარგვისკენ. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი თავეულებრივ ვიწროვდება უმარცვლო უ-დ: იყ, ყოფილი ყურადღება წოდებითის თ: ბიჭყ, ვაჟების ძუღვი: იჩყ, დოჭყ, თეჭყ... ვიწროვდება ხმოვანი უძღვის (როცა ეს თ წოდებითი ბრუნვის ნიშანია, ან სხვათა სიტყვის თარის), მაშინ ბუნებრივია, ამ პროცესს მითუმეტეს ექნება ადგილი: ღოროჟ (წოდ.), ბიჭაჟ (წოდ.). სხვათა სიტყვის თავეულებრივ უმარცვლო უ-დაა ქცეული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუშურს ძალიან უყვარს სხვათა სიტყვის თ->ჟ-ს ხმირი გამოყენება. ჟ (<-ო) ისმის არა მარტო ფრაზის ბოლოს, არამედ თითქმის ნინადადების ყოველი წევრის ბოლოს: „უთხარ: მიდიჟე, ჩენაჟ მზად ვართაჟ; იფიქრ, რო თუშებიჟ ისეთად ხალხიაჟ, ჯერ არაფერს იტყვიანსაჟ, თუ თქვიანაოდ’ გადაცხადებენაჟ; მეშეჟიდე წელსაჟ ტყემაჟ ფოთოლ ალარ გამიდსხაჟ,

ხალხის სუ მთა-წვერთ მექედვაშ, წყლებიცა დაშრაშ, – იმაშინ-დელიაშ, დიდ მთებშიგ რო ნაფუძრებიაშ...“ ხევსურული უფრო შორს მიდის: ჟ-ს ვ-დ აქცევს. აქ სხვათა სიტყვის მაწარმოებელია არა ავ, არამედ ვ, რომელიც ო-სგან მომდინარეობს, ხოლო წინა-მავალი ა სხვა წარმოშობისაა: იგი მთის კილოებში გავრცელებული მავრცობი ა არის, რომელსაც ჩვენ „ზმის მავრცობ ა-ს“ ვუწოდებთ. მაგ.: გვიშველეთა, იღებსა, მოხკლავსა, მიგიღესა, ამბობა, უბოძეთა, ეღირსებოდესა, იღებდენა და მისთ. სხვათა სიტყვის ო-ს დართვა დკავშირებულია ამ მავრცობის გამოვ-ლენასთან; ამისვე გავლენით ო ვიწროვდება ჟ-დ: მიგიღებაშ (მიგიღებო), ამბობაშ (ამბობო) და მისთ. ეგევე უ ირიბი მეტყვე-ლების კონსტრუქციაში შეიძლება შეეხამოს ი ე ო ხმოვნებს სახელებში: შვილიშ (შვილიო), სიკეთეშ (სიკეთეო), გოგოშ (გო-გო) და მისთ. ხევსურულში იქნებოდა; შვილივ, სიკეთევ...

ა-ზე დაბოლოებული სიტყვებიც ამავე წესს ემორჩილებიან. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ა ვიწროვდება გ-დ, ან სულ იკარგება: დამიძახ, გააკეთ, ეპირ, გაუკვირდგ და მისთ. ანა-ლოგიური მდგომარეობაა ზანურში. უფრო ხშირია დაკარგვის შემთხვევები: დამიძაც, გააკეთ... მაშასადამე, ვიღებთ თანამიმ-დევრობას: ა->გ->0. სამივე სახეობა დასტურდება; სჭარბობს მესამე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ა უმთავრესად იკარგება, უკეთუ იგი ფორმანტია (მაგ., პირის ნიშანი), ხოლო თუ ფუძისეულია, ხელუხლებლად რჩება (ე.ი. არის დედა, მამა და არა დედ, მამ..., მაგრამ: გააკეთ...).

თუ რა ფონეტიკური ფაქტორია ის ფაქტორი, რომელიც თანაბრად განსაზღვრავს უკიდურეს აღმოსავლურ კილოს – თუშურს და უკიდურეს დასავლურ კილოს – აჭარულს ხმო-

ვანთა ცვლილებების თანაბრობის მხრივ, ამაზე მსჯელობა არ შემოდის ამ წერილის ფარგალში. აქ ვიტყვით, რომ შესაძლებელია გავითვალისწინოთ **მეტყველების სწრაფი ტემპი, რომელიც საერთოა ამ ორი ღიალექტური ერთეულისათვის ისევე, როგორც მეგრულ-ჭანურისათვისაა იგი ნიშანდობლივი; აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მახვილს ენიჭება. ამ კითხვის გარკვევას შევეცდებით სხვა დროს.**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. ქართულში ხუთი ხმოვნის ერთურთთან შეხამებით წარმოიქნება 25 კომპლექსი. ღიაობის მიხედვით დალაგებისას 3 რიგი მიიღება: A რიგი, რომელშიც ფართოს მოსდევს ვიწრო, B რიგი, რომელშიც ვიწროს მოსდევს ფართო, და C რიგი, რომელშიც თანაბარი ღიაობისა და იდენტური ხმოვნებია.

2. სამივე რიგი ფონეტიკური თვალსაზრისით გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს.

A რიგის კომპლექსებში (**ფართო+ვიწრო**) ადგილი აქვს რეგ-რესულ ასიმილაციას. ეს მოვლენა დამახასიათებელია დასავლური კილოებისთვის და ზანურისათვის, აღმოსავლურ კილოთაგან კი – თუშურისათვის და ნაწილობრივ მოხეურ-ფერეიდნულისათვის.

B რიგის კომპლექსებში (**ვიწრო+ფართო**) ადგილი აქვს დი-სიმილაციას, უკეთ – დიფთონგიზაციისკენ მიდრეკილებას: წინა-მავალი ვიწრო ხმოვანი ფართოსთან მეზობლობაში კიდევ უფრო ვიწროვდება. ეს დამახასიათებელია მთლიანად ქართული ენისათვის და ამასთანავე ზანურისათვის.

C რიგის კომპლექსები ისწრაფვიან შერწყმისაკენ, თუ იდენტური ხმოვნებია, მაგრამ სალიტერატურო წარმოთქმის თვალსაზრისით თანაბარი ღიაობის (**ოე**) ხმოვნები სხვადასხვა პროცესს განიცდიან: აღმოსავლურ კილოებში **ოე** B რიგს გასდევს

(ოე->უე), მაშასადამე, **ო** ვიწროა **ე**-ზე; დასავლურ კილოებსა და ზანურში კი **ოე** A რიგს გასდევს (ოე->ეე) ძირითადად, –მა-შასადამე, **ე** ვიწროა **ო**-ზე. ასევე: **ეო** აღმოსავლურ კილოებში უმთავრესად A რიგის კანონზომიერებას ავლენს (**ეო**->**ოო**), ხო-ლო დასავლურ კილოებსა და ზანურში B რიგის წესს იზიარებს (**ეო**->**იო**->**ოო**). ამგვარად: თუ სწორია **ე** და **ო** ხმოვნების თა-ნაბარი ღიაობა სალიტერატურო მეტყველების თვალსაზრისით, დიალექტურად ისინი სხვადასხვა ღიაობისა ჩანან.

3. ხმოვანთა სამკუთხედის პრინციპი (ერთ ხაზზეა **ა-ე-ი** და მეორეზე – **ა-ო-უ**) გატარებულია ასიმილაციის პროცესებშიც: აი კომპლექსში ასიმილაცია ხდება **ეი**-ს საფეხურის გავლით (და არა **ოი**-სა), ხოლო **აუ**-ში **ოუ**-ს გზა უნდა განვლოს კომპლექსმა, რათა **უუ**-ზე დაიდეს (და არა **ეი**-ს გზით წავიდეს).

4. ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო სა-ფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა. საამისო გზა სხვადასხვა-გვარია: A რიგის კომპლექსი ამას აღწევს ასიმილაციის გზით (**აუ**->**ოუ**->**უუ**->**ჟ**->**უ**), B რიგის კომპლექსი დიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით (**უა**->**ჟა**->**ვა**->**ა**), C რიგის კომპლექ-სი – შერწყმის გზით (**აა**->**შ**->**ა**).

კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე. ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართ. კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ამათში ყველაზე შორს წასულან თუშური და აჭარული, სადაც გრძელი ხმოვანია გამომუშავებული უკვე (ერთი ხმოვანი ძალზე იშვაათია).

5. A, B, C რიგის კომპლექსთა ფონეტიკური პროცესების სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინება გამოდგება ქართულ კილოთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნად.

ერთი ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობისათვის

ძველ ქართულ ხელნაწერებში არაერთი პალეოგრაფიული ტერმინი გვხვდება, მათი ერთი ნაწილი აღნიშნავს ხელნაწერი წიგნის გვერდის გარკვეული ნაწილს („აშია“, „კიდე“, „პატივი“, „დანაშთენი მქადრისაა“), მასზე განთავსებულ ტექსტს („კიდური“, „კიდეთა ნარჩერილი“, „სხოლიო“, „მკადრი“, „მთარგმნელის მოზრახული“, „ანდერძი“, „ნინაბჭე“, „კიმენ-სხოლიონი“, „თარგმანი“, „თარგმანიანი“), ან მათი განთავსების წესს („კიდეთა ზედა ნარჩერა“, „გარემონერა“, „მოთხვითად წერა“, „მართლგანყობა“). წინამდებარე სტატიაში ჩვენ ხელნაწერი წიგნის გვერდის გარკვეული ნაწილის აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინს, „პატივს“, შევეხებით.

ქართულ წერილობით წყაროებში პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობით ამ სიტყვის ხმარების სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული. მას ვხვდებით: იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ქართული თარგმანისთვის ეფრემ მცირის მიერ დანერილ წინასიტყვაობაში (A24, 1r-4v; დამასკელი, 1976, 66-70; თვალთვაძე, 2009, 200-204); ვანის სახარების ანდერძში (A1335, 266v; იმნაიშვილი, 1979, 53); ალავერდის ოთხთავის ხელნაწერის გადამწერის ანდერძში (A484, 10r, 314v; აღნერილობა, II₁, 212-213); Q105 ხელნაწერის გადამწერის ანდერძში (აღნერილობა, I, სურგულაძე, 1978, 66) და ერთ ათონურ ხელნაწერში დაცულ პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებზე დართულ მთარგმნელის ანდერძში, სადაც ეფრემ მცირე ორჯერ იყენებს ტერმინ „პატივს“ (Ath. 18, 235-238; თვალთვაძე, 2009). ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში „პატივი“ აღნიშნავს ხელნაწერის გვერდის

გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, იმ ნაწილს, რომელზეც ტექსტი, ან უფრო სწორად, ძირითადი ტექსტი, არ იწერება და თავისუფალი რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ხელნაწერი წიგნების დიდ უმრავლესობაში ის ადგილი, რომელიც ფურცელზე ტექსტის დაწერის შემდეგ დაუწერელი რჩება, აუთვისებელია, მაგრამ ფურცლის ამ თავისუფალ სივრცეს ინტესიურად იყენებდნენ ის მთარგმნელები, გადამწერები და კომენტატორები, რომელთაც ძირითად ტექსტთან ერთად მათ შესახებ სხვათა მიერ დაწერილი ტექსტის, ტექსტის შესახებ ტექსტის (განმარტებების, კომენტარების) მიწოდებაც სურდათ „გამომეტიებელი მკითხველისათვეს“. განსაკუთრებით მრავლად გვაქვს ასეთი ხელნაწერები XI საუკუნიდან.

ბიზანტიური მწერლობის ძეგლების ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მთარგმნელ-კომენტატორის, ეფრემ მცირის, თარგმანების შემცველი ხელნაწერებისა და მათზე დართული კოლოფონების შესწავლისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ითანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ წინასიტყვაობის ერთმა მონაკვეთმა, სადაც ეფრემი წერს: „...ვითარდა ვისწავეთ ჩუენ ესე ოთხას ოცთა მათგან წიგნთა თეოდორე პატრიარქისა მიერ სკმეონებიდას შენირულთა, რომელთა შინა არარა პრთავს საგალობელი, თვინიერ ყოველნივე საკითხავნი არიან – გარეშენი და საეკლესიონი და საჭიროასა სიტყვასა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უნერია, ხოლო „შეისწავენი“ და „განსაზღვრებად“ „განჩინებითურთ“ და „სამეცნიერო ესე“ არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძნულთა უნერიან კიდესა, რადთა რაუამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უწმდეს მიმყოვრებული უამი, ანუ ყოველსავე გარდაკითხვად“ (A24, 3r; დამასკელი, 1976, 68, თვალთვაძე, 2009, 202).

მოცემულ ტექსტში ხელნაწერი წიგნის გვერდის გარკვეული ნაწილის აღმნიშვნელი ორი ტერმინია ნახამარი – „პატივი“ და

„კიდე“ და აშკარაა, რომ ისინი ხელნაწერის ფურცლის სხვა-დასხვა ნაწილის აღსანიშნავად არის გამოყენებული, რადგან ეფ-რემ მცირის განმარტებით, „პატივთა ზედა იწერება საჭიროება სიტყვის თარგმანი“, ხოლო კიდეთა ზედა – „შეისწვენი“, გამ-საზღვრებად“, „განჩინებად“ და „სამეცნიერო ესე“.

აღნიშნული ტერმინების შესახებ სამეცნიერო ლიტერატუ-რაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული: ივანე ჯავახიშვილის აზრით, „პატივი“ ასონაკლებობის აღმნიშვნელი ნიშნის სახელია: „ასოს ან მარცვლის ნაკლებობის მაჩვენებელ ნიშანს „პატივი“ ან „ქარაგმა“ ეწოდებოდა“ (ჯავახიშვილი, 1949, 137). მისი აზრით, ეფრემ მცირის ზემოთ მოყვანილი ანდერძის იმ ნაწილში, სადაც ეს ტერმინია ნახმარი, გადამწერებს შეცდომა დაუშვიათ: „ნინა-დადება ვვონებ გადამწერთაგან დამახიჯებული უნდა იყოს და დედანში ალბათ ასე ეწერებოდა „პატივითა კიდეთა ზედა წიგ-ნისათა უნერიაო“. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში განმარტებას კიდეებზე წერდნენ დაქარაგმებული სიტყვით“ (ჯავახიშვილი, 1949, 138).

ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვას სპარსული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს, რომელიც „თავსაკრავს“, უკეთ, „შუბლსაკ-რავს“ აღნიშნავს, შემდეგში კი თანამდებობასაც: „პატივი სპარ-სული სიტყვაა და თავსაკრავსა და თანამდებობას ნიშნავდა. სომხურშიც შემოსული იყო, სადაც ქართულის მსგავსად, სხვათა შორის, სიტყვის შემოკლების ნიშანსაც ეწოდებოდა“, – შენიშ-ნავს იგი (ჯავახიშვილი, 1949, 138). ტერმინ „კიდეს“ შესახებ კი მკვლევარი წერს: „კიდე ძევლად ეწოდებოდა ტექსტის ოთხივე მხრივ დაუნერელ ზოლებს... შემდგომში ქართულ მწერლობაში „კიდეს“ მაგიერტერმინად „არშია“ შემოდის“ (იქვე, 64).

ტერმინ „პატივის“ მნიშვნელობა საგანგებოდ შეისწავლა თამარ ხაუმიამ (ხაუმია, 1953, 221-227), რომელმაც ეფრემ მცირის ამ ანდერძისა და ვანის სახარების ანდერძის მონაცე-მების გათვალისწინებით, სადაც ეს ტერმინი ასეთ კონტექსტშია: „ან ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პოოთ ეგრე დანერეთ წენტილითა

და პატივთა ზედა მეორითა სიტყვა (A1335,266v), დაადგინა, რომ „პატივი“ ქარაგმის აღმნიშვნელი ტერმინი არ არის და ეფრემის „პატივთა ზედა“ ნიშნავს „აშიათა ზედას“, „პატივი კი უდრის აშიას“ (ხაუომია, 1953, 226), ოღონდ მცირე სხვაობა ამ ორ სიტყვას შორის, მისი აზრით, მაინც შეინიშნება: „პატივი იგივე აშიაა... მხოლოდ მცირე ნიუანსით, რომელშიც შესაძლებელია ზემო და ქვემო აშიები იგულისხმებოდეს, ისე როგორც ვანის სახარებაშია ეს თვალსაჩინოდ წარმოდგენილი, ხოლო „კიდე“ უდრიდეს ასწვრივ ზოლს, რომელიც ხელნაწერის სკეტჩს შორისაა მოთავსებული და მის კიდეებს ასდევს“, – შენიშნავს სქოლიოში მკვლევარი. „პატივი“ რომ ხელნაწერის აშიის ზედა და ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი პალეოგრაფიული ტერმინია, ამის შესახებ ვარაუდს მკვლევარი ნაშრომის დასკვნაშიც გამოთქვამს: „ამრიგად, პატივი ორივე ტექსტის მიხედვით (ეფრემის წინასიტყვაობა და ვანის სახარების ანდერძი დ.თ.) ხელნაწერის აშიას (შესაძლებელია მხოლოდ ზემო და ქვემო აშიას) ეწოდებოდა“ (ხაუომია, 1953, 227).

თ. ხაუომიას აზრს იზიარებენ და პატივი ხელნაწერის ფურცლის ზედა და ქვედა კიდეების აღმნიშვნელად მიაჩნიათ სხვა მკვლევრებსაც (ი. აბულაძეს, მ. სურგულაძეს, კ. დანელიას და ზ. სარჯველაძეს). ილია აბულაძის განმარტება (აბულაძე, 1973, 338) ეფუძნება ალავერდის ოთხთავის (A 484) გადამწერის ანდერძს: „განთესული არღარა დავწერენ... პატივიცა ნიგნისა დაუშუერდებოდა“ (A 484, 10r; 314v).

მ. სურგულაძეც ნაშრომში „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“ თ. ხაუომიას გამოკვლევაზე დაყრდნობით ტერმინ „პატივს“ ასე განმარტავს: „პატივი ნიშნავს აშიას, კიდეს (კერძოდ, გვერდის ზედა და ქვედა კიდეებს) და, მისი აზრით, „ამ მნიშვნელობით ესმის იგი ეფრემ მცირესაც“ (სურგულაძე, 1978). პატივი ხელნაწერი ფურცლის ზედა და ქვედა აშიის აღმნიშვნელად მიაჩნიათ ქართული პალეოგრაფიის სახელმძღვა-

ნელოს ავტორებს: კ.დანელის და ზ. სარჯველაძესაც (დანელია, სარჯველაძე, 2007, 300-301).

ჩვენი მოსაზრება ზემოთ წარმოდგენილისაგან განსხვავებულია, რაც ეფრემ მცირის იმ კოლოფონებში წარმოდგენილი მასალის ანალიზს ეფუძნება, რომელიც ზემოთ დასახელებული მკვლევრების მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული, რადგან მაშინ ეს ანდერძები გამოქვეყნებული არ იყო.

ტერმინი „პატივი“, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ თარგმანისათვის დაწერილი წინასიტყვაობის გარდა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (A 24, 3r), კიდევ ორჯერ გვხვდება ეფრემ მცირის ანდერძში, რომელიც მთარგმნელს პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებისათვის დაურთავს. ეს ანდერძი ერთადერთ ათონურ ხელნაწერშია (Ath.18,235–238; თვალთვაძე, 1988, 210–221; თვალთვაძე, 2009, 210–212) დაცული და მასში მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მას პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების თარგმნისას დედნად გამოუყენებია იოანე ოქროპირის კომენტარების მიხედვით კირილე ალექსანდრიელის მიერ კატენიური წესით შედგენილი თხზულება, სადაც კიმენური ტექსტი ხელნაწერის შუაში იყო ნაწერი, ხოლო ეპისტოლეთა მუხლების განმარტებები კი ხელნაწერის აშიაზე ოთხივე მხარეს იყო მოთავსებული. ეფრემი ასეთი წესით წერას „გარემონერას“ ან „მოთხვითად“ წერას უნოდებს (იქვე).

მოვიყვანთ ეფრემის ანდერძის ტექსტიდან ფრაგმენტს: „ვისმე მოსწრაფესა ეთხოვა დიდისა კურილესგან, რათა **პატივთა ზედა** სამოციულოსა წიგნისათა წარუნეროს შემოკლებული ძალი ხიტკაცსა, რათა აქუნდეს მას ერთ წიგნად პავლეთარგმნიანი“ (Ath. 18,236, თვალთვაძე, 2009, 210–211). აქ „პატივთა ზედა“ კომენტარების წარწერა აშკარად გულისხმობს „აშიათა ზედა“ მათ მოთავსებას. ცოტა ქვემოთ ეფრემი აგრძელებს: „ვინათაგან გარემონერილი იგი პატივთა და რიცხუთა საძიებელი საეკლესიოდ საკითხავად და საწერელადაც ძნელ იყო, ამისთვის

ვითა თგზ ნმიდისა იოანე ოქროპირის დიდთა თარგმანთა შინაარს მართლგანყობილ, უკრეთ უმჯობესად წამეს ბერთა ჩუენთა და იგი მოთხვითად მოწერილი კურილეს მიერ მართლგავანყვეთ უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა“ (Ath.18, 237; თვალ-თვაძე, 2009, 2012).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტში ტერმინ „პატივის“ მნიშვნელობა ნათელია. ის არ შეიძლება ნიშნავდეს ხელნაწერის აშის მხოლოდ ზემო და ქვემო ნაწილს, როგორც ვარაუდობდა თ. ხაუმია, რადგან „მოთხვითად წერა“ და „გარემოწერა“, როგორც თვითონ სიტყვებიც მიგვანიშნებს, ოთხივე მხარეს დაწერას ნიშნავს. „მოთხვითი – ოთხკუთხი“, ასეა განმარტებული ეს სიტყვა ძველი ქართულის ლექსიკონებში (საბა, 1991, 498; აბულაძე, 1973, 264; ცქიტიშვილი, 1976, 315). ეფრემს სათარგმნად არჩეული თხზულების ისეთი დედანი ჰქონია ხელთ, რომელშიც „პავლეს“ ტექსტში „განუკვეთავად“ ე. ი. გაბმით იყო ნაწერი ხელნაწერის შუაში, ხოლო განმარტებები კი აშეებზე იყო მოთავსებული. მაგრამ თავისი მოძღვრების – საბა თუხარელისა და ანტონი ტბელის რჩევით, ეფრემს ამგვარად „მოთხვითად მოწერილი“ თარგმანება პავლეს ეპისტოლებისა „მართლგაუწყვია“, ე. ი. „პატივთა ზედა“ მოთავსებული განმარტებები პავლეს ეპისტოლეთა შესაბამისი მუხლის შემდეგ დაუწერია.

ამის უმთავრეს მიზეზად ეფრემი ასახელებს იმას, რომ ასეთი „მოთხვითად მოწერილი“ წიგნები „საეკლესიოდ საკითხავად ძნელ-იყო“. ამასთანავე, სირთულეებს ანყდებოდნენ გადამწერებიც („საწერლადცა ძნელ-იყო“), რომლებსაც პატივთა ზედა წარწერილი თარგმანების ანუ კომენტარების „რიცხუთა საძიებელი“ შეიძლებოდა არეოდათ. ამიტომაც უზრუნია ეფრემს და „უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა“ მართლგაუწყვია პავლეს თარგმანებანი (Ath.18, 237; თვალ-თვაძე, 2009, 2012).

ცხადია, ეფრემი აქ ე. წ. კატენური ხასიათის შრომაზე საუბრობს, რომელშიც, როგორც წესი, განსამარტავი ტექსტი, რომელიც ძველ ქართულში ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა „კიმე-

ნით“ ან ქართული „მკუდრით“ ალინიშნებოდა, ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია სქოლიო-კომენტარებით. ამდენად, ეფრემის „პატივთა ზედა“, რა თქმა უნდა, აშიას, ანუ ხელნაწერის ოთხივე მხარეს დაუწერელად დარჩენილ მთელ სივრცეს („დანაშთენს მკუდრისა“) გულისხმობს და არა მხოლოდ მის ზედა და ქვედა ნანილს. ამასთანავე, „პატივი“, რომ აშიას მხოლოდ ზედა და ქვედა ნანილი იყოს, მაშინ, „გარდამოცემის“ წინასიტყვაობის მიხედვით, სადაც ეფრემი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საჭიროა სიტყვასა თარგმანი პატივთა ზედა წერიაო“, ასეთი ძნელი („საჭირო“) სიტყვების განმარტება ხელნაწერის მხოლოდ ზედა და ქვედა აშიაზე უნდა იყოს მოთავსებული, მრავალ ხელნაწერში კი ასეთი განმარტებები, ზედა და ქვედა აშიას გარდა, ნაწერის მარჯვნივ და მარცხნივ დაუწერელად დარჩენილ ადგილებზეცაა მინერილი, რასაც ჩვეულებრივ კიდეს უწოდებენ ხოლმე, რაც გვაფიქრებინებს, რომ „პატივი“ ეწოდება იმ თავისუფალ სივრცეს, რომელიც ხელნაწერის ფურცელზე ძირითადი ტექსტის („მკუდრის“) დაწერის შემდეგ ტექსტის ირგვლივ ოთხივე მხარეს დაუწერელი დარჩა („დანაშთენს მკუდრისა“), ანუ იმას, რასაც დღეს აშიას უწოდებენ.

მაგრამ არის თუ არა პატივი აშიას ზუსტი სინონიმი, თუ მას მაინც აქვს მისგან განსხვავებული ტერმინოლოგიური შინაარსი?

ტერმინი „აშია“ ეფრემის კოლოფონებში არ გვხვდება. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ის შედარებით გვიან დამკვიდრდა ხელნაწერის იმ ნაწილის აღმნიშვნელად, რასაც ჩვეულებრივ „კიდეს“ უწოდებდნენ (ჯავახიშვილი, 1949, 64). ეფრემის კოლოფონებში ეს ტერმინიც („კიდე“) გვხვდება რამდენჯერმე და, ძირითადად, სწორედ აშიას მნიშვნელობით: „არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვა, არამედ კიდესა ნაწერილთა თარგმანთაც; რომელთაგანი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელიმე დედისაგან“ (A24, 2v; დამასკელი, 1976, 67; თვალთვაძე, 2009, 201). აქ „კიდე“ აშკარად აშიას სინონიმია, რომელზედაც, ამ ფრაგმენტის მიხედვით, ძირითადი ტექსტის შესახებ კომენტარი

(თარგმანი) იწერება. „კიდე“ აშის მნიშვნელობითაა ნახმარი შემ-დეგ კონტექსტშიც: „ყოვლად უკერო არს ვისგანმე კიდესა ნარჩერილისა მის თარგმანისა შიგან გარევით დაწერამ, არამედ კიდესა ნარჩერა“ (A24, 3r; დამასკელი, 1976,68; თვალთვაძე, 2009, 202). „უკუეთუ რაიმე ძალისა ვანმაცხადებელი უჩმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ... დავწერო“ (A24, 3r; დამასკელი, 1976, 67; თვალთვაძე, 2009, 202); „რაითა შინა არარა ჩავრთო, არამედ კიდეთა ზედა და თავისა და ბოლოსა ანდერძთა შინა ვიკადრო დაწერად“ (Ath. 18,238; თვალთვაძე, 2009, 2012).

ყველა ზემოთ მოყვანილ კონტექსტში „კიდე“ აშის მნიშვნელობითაა ნახმარი და მასზე, ისევე როგორც „პატივთა ზედა“, იწერება მთარგმნელის შენიშვნა-განმარტებები. აქედან შეიძლებოდა გაგვეკეთებინა ასეთი დასკვნა: დღევანდელი აშის მნიშვნელობით ეფრემ მცირე თავის კოლოფონებში ხმარობს ორ ტერმინს: „პატივს“ და „კიდეს“. უმეტესწილად ისინი სინონიმებია. „პატივთა ზედა ნარჩერილი საჭიროასა სიტყვს თარგმანი“ და „კიდეთა ზედა ადგილ-ადგილ ნარჩერილი თარგმანი“ ეფრემის მრავალ ანდერძში უთუოდ ხელნაწერის ერთსა და იმავე ადგილს გულისხმობს – ძირითადი ტექსტის გარშემო თავისუფალ ადგილს, ანუ აშიას. მაგრამ იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ თარგმანისთვის ეფრემ მცირის მიერ დაწერილ ზემოთ მოყვანილ წინასიტყვაობაში „პატივი“ და „კიდე“ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები არ ჩანს. ისინი აშკარად უპირისპირდება ერთმანეთს. მთარგმნელის თქმით, „პატივთა ზედა“ წერია „საჭიროასა სიტყვს თარგმანი“, ხოლო „კიდეთა ზედა“ – „შეისწავე“, „განსაზღვრებაა“, „განჩინებაა“, და „სამეცნიეროა“. ამ კონტექსტში „პატივად“ იწოდება ხელნაწერის ის ნაწილი, რომელზედაც მთარგმნელის განმარტებები, ტექსტის შესახებ ტექსტი (მეტატექსტი) იწერება, „კიდე“ კი მისგან განსხვავებული შინაარსის მქონე ტერმინია, რომელიც, ასევე, ხელნაწერის გვერ-

დის დაუნერელ, მაგრამ ფუნქციურად პატივისგან განსხვავებულ ნაწილს უნდა აღნიშნავდეს.

საგულისხმოა ამ მხრივ „სამოციქულოს თარგმანებზე“ დართული ეფრემის წინასიტყვაობა, სადაც მთარგმნელი წერს: „ესე-ვითარი სიტყუანი სადაცა შემიცვალებიან კიდესა სტიქონისასა იოტა დამისუამს და შინა სიტყუასა წინათ ესე, ვითარმედ „უსაკუთრესი ესრეთ“. ან უკუც სადაცა კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყვასა ზედა იოტად პჲოო და სიტყუათა თანა „უსაკუთრესი“, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებად პნენებია მას სიტყუასა, რომელ-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაისმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუცლისა პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია...“ (Jer.161r; მარი, 1955, 57). როგორც კ. დანელიამ გაარკვია (დანელია, 1974; 1982, 341-342), „იოტა“ და „უსაკუთრესი“ ეფრემ მცირის მიერ გიორგი ათონელის თარგმნილი „სამოციქულოს“ რედაქტიორებისას გამოყენებული პირობითი ნიშნებია, ამათგან „იოტა“ დაისმის ხელნაწერის კიდეზე, უფრო ზუსტად იმ სტრიქონის გასწვრივ, რომელშიც რაიმე შეცვლილია გიორგისეულ თარგმანში და თანაც აღნიშნულია „უსაკუთრეს ესრეთ არისო“, ასე უმჯობესია, კონტექტს ასე უფრო შეესაბამებაო. ეფრემის ამ ანდერაში ხაზგასმულია, რომ „იოტა“ „კიდესა სტიქონისასა“ დაისმება. „კიდე“ აქ აშიის მნიშვნელობით არაა ნახმარი, რადგან სტრიქონის კიდედ შეიძლება მხოლოდ ის ვიწრო ზოლი მივიჩნიოთ, რომელიც უშუალოდ ნაწერს ასდევს გვერდით და არა ნაწერის ირგვლივ დარჩენილი მთელი თავისუფალი სივრცე, ანუ აშია.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს „კიდეს“ „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაშიც. „შეისწავენი“, „განსაზღვრებად“, „განჩინებად“ და სამეცნიეროვ „იოტას“ მსგავსად პირობითი ნიშნებია, რომლებიც „კიდესა სტიქონისასა“, ანუ ნაწერის გასწვრივ აშიის იმ ნაწილში კეთდება, რომელიც უშუალოდ ტექსტს ასდევს. ამ შემთხვევაში ტერმინ „კიდეს“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ კონტექსტებში, სადაც ის აშიას აღნიშნავს (თვალთვაძე, 2002).

ვიწრო გაგებით „კიდეზე“ („კიდესა სტიქონისასა“) კეთდება საგანგებო ალნიშვნები კომენტატორისა, მთარგმნელისა თუ გადამნერისა, რომლებიც ტექსტის რომელიმე ნაწილის, ან კონკრეტული სიტყვის ვიზუალურად გამოკვეთას ისახავს მიზნად. ფართო გაგებით „კიდეზე“ კი, რაც „პატივის“ („აშის“) სინონომია, „საჭიროვასა სიტყვს თარგმანი“ იწერება, ანუ კომენტატორის, მთარგმნელის თუ გადამნერის, სიტყვიერი კომენტარი, განმარტება თავსდება. ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ წინასიტყვაობის იმ ნაწილში, სადაც ხელნაწერის კიდეებზე მიწერილ „შეისწავეს“, „განსაზღვრებას“, „განჩინებას“ და „სამეცნიეროს“ განასხვავებს „პატივთა ზედა“ მიწერილი „საჭიროვასა სიტყვს თარგმანისგან“, ფაქტობრივად, თხზულების კომენტირების ორ ძირითად სახეს გამოყოფს. ერთია სიტყვიერი კომენტარი (ტექსტის შესახებ ტექსტი), სადაც ტექსტთან დაკავშირებული მრავალი საკითხი შეიძლება იყოს განხილული, რომელიც „პატივთა ზედა“ იწერება და მეორე – თვალსაჩინოებითი კომენტარი, ტექსტის ამა თუ იმ ადგილის ვიზუალურად გამოსაყოფად, მისანიშნებლად გამიზნული პირობით ნიშნები, რომლებიც „კიდესა სტიქონისასა“ დაისმება.

როცა „საჭიროვასა სიტყვის გამოსათარგმანებლად“ დაწერილი კომენტარი, ანუ ტექსტის შესახებ ტექსტი, ვრცელი არაა, „პატივი“ და „აშია“, ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაცაა ხშირად „პატივი“ აშის სინონიმი, მაგრამ როცა კომენტარი ვრცელია და იმავე გვერდზე არ ეტევა, „პატივი“ აშიას არ უდრის. რასაც ადასტურებს ქართულ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერი (Q 105), რომლის გადამნერი შენიშნავს: „ესე ქაღალდი მისთვის დავაგდე, დედას ასრე სჭირდა და თთუენის დასაწყისის პატივი არს“ (სურგულაძე, 1978, 61). „თთუენის დასაწყისის პატივი, „თთუენის“ დასაწყისის კომენტარისათვის განკუთვნილი ადგილია, რომელიც სიდიდის გამო ხელნაწერის იმ გვერდის აშიაზე ვერ დატეულა და მეორე გვერდიც დაუჭერია. როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს, „ხელ-

ნაწერში ამ წარწერას მოსდევს სრულიად დაუნერელი გვერდ-ნახევარი. ასე რომ, პატივი ამ შემთხვევაში ნიშნავს არა მხოლოდ კიდეს, არამედ საერთოდ დაუნერელ თავისუფალ ადგილს“ (სურ-გულაძე, 1978, გვ. 61). მკვლევარის ამ სავსებით სწორ დასკვნას ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ „პატივი“ ნიშნავს არა საერთოდ ხელნაწერის გვერდის დაუნერელ თავისუფალ ადგილს, არამედ კომენტარის (შენიშვნის) განსათავსებლად საგან-გებოდ დატოვებულ თავისუფალ სივრცეს, რასაც გვაფიქრებინებს ამ სიტყვის თავდაპირველი შინაარსიც.

როგორც მიუთითობენ, „პატივი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა (ჯავახიშვილი, 1949, 138; ხაუმია, 1953; სურგულაძე, 1978, 60; ანდრონიკაშვილი, 1966.) და ნიშნავს თავსაბურავს, შუბლსაკრავს. გვიანდელ სპარსულში თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინიცაა. თავსაბურავის მნიშვნელობით ეს სიტყვა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც გვხვდება, კერძოდ, იერემიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის ერთ-ერთ XI საუკუნის იერუსალიმურ ნუსხაში: „და პატივი და აღსაპყრობელი და გრძელი... წარიღეს“ (დანელია, 1992, 214), ხოლო გელათურ ხელნაწერში სიტყვა „პატივი“ შეცვლილია მისი სინონიმით „ხურებით“: „და ხურები და საპყრობილები და გრძელი... წარიხუნეს“. საბას განმარტებით „ხური სამღვდელო თავსაბურავია“ (საბა, 1993, 436), როგორც ჩანს, ის სიტყვა, რომელიც თავისუფლად შეცვალეს გელათურ ბიბლიაში ხურით, ასევე სამღვდელო თავსაბურავის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ე. ი. „პატივი“ ამ კონტექსტში ნიშნავს სამღვდელო თავსაბურავს, სამკაულს. ხოლო სამკაულის აღმნიშვნელი სიტყვის პალეოგრაფიულ ტერმინ „პატივთან“ დაკავშირება სავსებით დასაშვებია, რადგანაც კომენტარი, რომელიც ძირითად ტექსტთან შედარებით წვრილი ხელით სვეტებად იყო წაწერი, ერთგვარად აღმაზებდა, ამკობდა ხელნაწერს და გარკვეულწილად დეკორატიული დანიშნულებაც ჰქონდა. ამდენად შეიძლებოდა თავსამკაულის აღმნიშვნელის სიტყვა „პატივი“, ხელნაწერის სამკაუ-

ლად ქცეული მოთხვითად მოწერილი კომენტარების დასაწერი ადგილის აღმნიშვნელი გამხდარიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
3. აღნერილობა A II₁ – ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II; შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1986.
4. აღნერილობა Q I – ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. I, შედგენილი ელ. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1957.
5. დანელია, 1974 – კ. დანელია, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის: „მაცნე“, (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ., 1974, 4, გვ. 27–47.
6. დანელია, 1982 – კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1982.
7. დანელია, 1992 – კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო კორნელი დანელიამ, თბ., 1992.
8. დანელია, სარჯველაძე, 1997 – კ. დანელია და ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
9. დამასკელი, 1976 – იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976.
10. თვალთვაძე, 1988 – დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, თბ., 1988, გვ. 210-221.
11. თვალთვაძე, 2002 – დ. თვალთვაძე, კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 29, თბ., 2002, გვ. 86-105.

12. თვალთვაძე, 2009 – დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბ., 2009.
13. იმნაიშვილი, 1979 – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.
14. მარი, 1955 – ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955.
15. საბა, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.
16. საბა, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.
17. სურგულაძე, 1978 – მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
18. ცქიტიშვილი, 1976 – ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.
19. ხაუომია, 1953 – თ. ხაუომია, ტერმინ „პატივის“ გამო ქართულ პალეოგრაფიაში: „მიმომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 221–227.
20. ჯავახიშვილი, 1949 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949.

Darejan Tvaltvadze

TOWARD A DEFINITION OF ONE OLD GEORGIAN PALEOGRAPHIC TERM

Summary

The scientific literature presents a lot of considerations about the old Georgian palaeographic term „pativi“. Ivane Javakhishvili defined it as a word denoting a mark of a shortened word (“karagma”). T. Khazhomia studied the data of Vani Gospel and Ephrem Mtsire’s introduction written for

the translation of John the Damascus’ “The Source of Knowledge” and stated that “pativi” could be identified with the term “margin” (“ashia”) with a little difference in meaning – “pativi” denotes only top and bottom margins. T. Khazhomia’s idea is accepted by several researchers: M. Surguladze, I. Abuladze, K. Danelia and Z. Sarjveladze. Moreover, they believe that Ephrem Mtsire treated this term in the same way.

The given paper presents a different idea based on the analysis of the material given in Ephrem Mtsire’s colophons, which were not published during the period of the above mentioned researchers’ work. According to the translator’s colophon attached to №18 manuscript from Athonite collection of the Georgian manuscripts, the term “pativi” denotes a free space around the main text used for writing commentaries.

მარი ნიკოლაიშვილი

შოთა ძიძიგურის მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ თანამედროვე ხედვით

შოთა ძიძიგურის მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ (1969 წ.) ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც სინტაქსური, ასევე მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით. წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს: „ტრადიციული მეცნიერება მკვეთრად აყენებდა ჰიპოტაქსის პრობლემას, მაგრამ ამ დარგის სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ არსებითად ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წარმოქმნის თავდაპირველ საფეხურებზე, დაქვემდებარების მერმინდელ განვითარებას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა“ (შ. ძიძიგური, 1969, 5.).

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რთული წინადადებების შიგნით მთავარი და დამოკიდებული წინადადებების კლასიფიკაციას ლოგიკურ – სემანტიკურ თვალსაზრისზე დაყრდნობით და, ამასთანავე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მოცემულია რთული წინადადების გრამატიკული სტრუქტურის კვლევა-ძება მისი კონსტრუქციული ელემენტების გამოვლინებით გარკვეული კავშირების შესწავლის საფუძველზე. დასახული მიზნის მისაღწევად შესწავლილია დიდძალი მასალა. კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ყველა საფეხური დასაბამიდან, V–VI საუკუნეებიდან, მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე და დიალექტები. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორი კავშირების პრობლემა-ტიკას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

1. ფუნქციური ანალიზი: სალიტერატურო ენის ძეგლებისა და დიალექტების გათვალისწინებით მაერთიანებელი და მაქვემ-დებარებელი კავშირების დანიშნულების გამოკვლევა.

2. კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმდევრობა: თუ რატომ აქვს ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა და გამოყენებულია სხვადასხვა ტიპოლოგიურ კავშირად.

3. კორელაციის სისტემა ქართულში.

4. კავშირისა და შემასმენლის ურთიერთმიმართება, რა კანონზომიერება არსებობს ენაში კავშირსა და ზმნა-შემასმენელს შორის.

5. კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

6. რა კავშირშია კავშირთა სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი ქვეწყობილი წინადადების გენეზისის საკითხებთან.

პირველ საკითხთან დაკავშირებით (კავშირის ფუნქციური ანალიზი) გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცალ-ცალკე არის განხილული თითოეული კავშირი მისი ფუნქციური თვალსაზრისით. მოცემულია გავრცელების არე და ხედრითი წონა სალიტერატურო ენის საფეხურებისა და დიალექტიკური მასალის მიხედვით. ნაჩვენებია, რა ვითარებაში წარმოიშვა ან გაქრა ესა თუ ის კავშირი ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ამ თვალსაზრისით, გადაჭარების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი ენციკლოპედიური ხასიათისაა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაქვემდებარებელი კავშირების კლასიფიკაცია სემანტიკური თვალსაზრისით.

1. სივრცითი კავშირები (სადა, სად...), რომლებიც მონაწილეობენ დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებების კონსტრუქციაში.

2. დროულობის კავშირები (როდის, როცა...). რომლებიც მონაწილეობენ ე.წ. ადგილის გარემოებით დამოკიდებული წინა-დადებების კონსტრუქციაში.

3. მიზეზობითი კავშირები (იმისათვის რომ, იმიტომ რომ, რაკი და სხვ.), რომლებიც მონაწილეობენ მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადებების კონსტრუქციაში,

4. მიზნითი კავშირები (რაათა, ნუუკუ, რომელ, რომე და სხვ.), რომლებიც მონაწილეობენ მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადებების კონსტრუქციაში.

5. პირობითი კავშირები (თუ, თუცა, დაღათუ, რომე, რომ..), რომლებიც გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებებში.

6. პირობით-შედეგობითი კავშირები (თუ არა, თვარამ, თვარამ თორემ...), რაც ერთდროულად პირობასაც გამოხატავს და შედეგობითობასაც.

7. გამორიცხვითი კავშირები (დაღათუ, თუმცა, გინდ), რომლებიც დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში გამოიყენება.

ავტორი ერთმანეთისაგან ასხვავებს რეალური გამორიცხვისა და ირეალური გამორიცხვის კავშირებს. ეს სხვაობა გავლენას ახდენს ზმნა-შემასმენელზე.

8. ვითარებით-შედეგობითი კავშირები (რომელი, რომე, ასე რომ და სხვ..). ეს კავშირები გამოიყენება ვითარებით შედეგობით წინადადებებში. მათ შორის ავტორი გამოყოფს ქვეჯგუფებს იმის მიხედვით, შედარების რა მნიშვნელობა იგულისხმება: მსგავსება (ვითარცა, ვითარ, ვითა, როგორაც), სხვაობა (ვიდრე, ვირე, ვინემ), იგივეობა (როგორც), თუ შეფარდება (რაოდენ, რამდენიც, რაც).

ასევე, ცალკე ჯგუფად არის წარმოდგენილი ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი მაქვემდებარებელი

კავშირები. აღნიშნულ ჯგუფში ყველა კავშირი დეტალურად არის აღნერილი და გაანალიზებული.

ავტორი სრულყოფილად განიხილავს კორელაციის საკითხებს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ რთული სინტაქსური კონსტრუქციების სრულფასოვანი აღქმისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კორელატის განსაზღვრას. სწორედ კორელატი შედის კავშირის კატეგორიის საერთო სისტემაში, როგორც დაკავშირების უმთავრესი კომპონენტთაგანი, ამიტომ ერთ მთლიანობაში უნდა იქნეს გააზრებული. ავტორის აზრით, კორელაციის სისტემა ქართულში მტკიცედაა ჩამოყალიბებული – მოყოლებული ძველი პერიოდიდან დღემდე (შ. ძიძიგური, 1969 წ., 323) იგი საფუძვლიანად შეისწავლის ამ საკითხებს. მისი აზრით:

1. ყოველ ჰიპოტაქსურ კავშირს მოეპოვება თავისი კორელატი მთავარ წინადადებაში. ამის შესაბამისად გამოყოფა კორელატები დროის (მყის, მაშინ...), ადგილი (მუნ, იქ...), შედარების (ეგრე... ესრე), მიზეზისა (ამისათვის, ამიტომ...), პირობისა (მაშინ...) და სხვ.

2. მიმართებით ნაცვალსახელს ეფარდება ნაცვალსახელოვანი კორელატი, ხოლო დანარჩენი ტიპოლოგიის კავშირებს – გარემოებითი კორელატი: დროულობის კავშირებს – დროის გარემოება, სივრცით კავშირებს – ადგილის გარემოება, მიზნით კავშირებს – მიზნის გარემოება. ვითარებით-შედეგობითს კავშირებს – ვითარების გარემოება, ვითარებით-შედარებითს კავშირებს – ვითარების გარემოება.

3. ერთი და იმავე მასალის კორელატ-სიტყვები გამოყენების თვალსაზრისით, ასე ჯგუფდება: 1) სუბიექტურ-ობიექტურ-განსაზღვრებითი კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახე-

ლები), 2) მიზეზობით-მიზნითი კავშირები 3) ვითარებით-შედეგობითი და ვითარებით-შედარებითი კავშირები და შესაბამისად წარმოდგენილია წყვილები.

4. გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში კორელატი გადმოინაცვლებს მთავარიდან დამოკიდებულ ნინადადებაში და იქცევა კავშირის კომპონენტად, ანუ კავშირის შემადგენელი ნაწილი ხდება. ასეთია; ასე რომ, იმიტომ რომ და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის მე-8 თავი. ავტორი წარმოგვიდგენს კავშირების ეტიმოლოგიას. მოცემულია ნაცვალსახელური, ნაწილაკური და ზმნური წარმოშობის კავშირები. ეს ნაწილი სანიმუშოა ენობრივი ანალიზის თვალსაზრისით, რაც უდავოდ წაადგება ახალგაზრდა ენათმეცნიერებს ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ შოთა ძიძიგურის მოსაზრება ქართულში ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით. ქართველოლოგიურ მეცნიერებაში არსებული შეხედულებების მიხედვით: ჰიპოტაქსური ინსტრუქციების გაჩენა და განვითარება უმთავრესად დაკავშირებული იყო მთარგმნელობით პროცესთან. კერძოდ, კლასიკური ენებიდან ბიბლიის ტექსტის გადმოღებასთან. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციები უცხო არ იყო უძველესი ქართულისთვისაც (იგულისხმება მთარგმნელობით პერიოდამდე) და მთლიანად მათ ჩამოყალიბებას ენაში თარგმანს ვერ მივაწერთ. ამას ადასტურებს დიალექტური მასალაც (ძიძიგური, 1969, 9).

ქართულ ენაში ქვეწყობის კონსტრუქცია მომდინარეობს თანწყობის კონსტრუქციიდან, წერს ავტორი, რასაც ადასტურებს კავშირთა ეტიმოლოგია, მათი თანდათანობითი განვითარება და გადააზრება (ძიძიგური, 1969, 10).

მიღებული დასკვნის საფუძველზე ავტორი გამოთქვამს კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომელიც უკავ-

შირდება ქართული მწიგნობრობის წარმოშობის საკითხს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი უძველესი წერილობითი ძეგლები V-VI საუკუნეებით თარიღდება. აღნიშნული მასალის რთული წინადადებების კუთხით შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება შემდეგი: ენათმეცნიერებაში დაქვემდებარებული წინადადების კონსტრუქცია დიდი ხანია მიჩნეულია ენის განვითარების მაღალი საფეხურების შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციებად. იგი მანიშნებელია ლოგიკური აზროვნების განვითარების მაღალი დონისა. ჰიპოტაქსისის, რთული დაქვემდებარებული წინადადების, აღნაგობა ნიშანდობლივია განვითარებული სალიტერატურო ენისთვის. უძველეს ქართლ ხელნაწერებში ჰიპოტაქსი სინტაქსური ფორმაა. „აქედან გამომდინარე, – წერს ავტორი, – V-VI საუკუნეების სალიტერატურო ქართული, მდიდარი რთული წინადადებების კონსტრუქციებით და კავშირების მრავალფეროვანი სისტემით არ შეიძლება „ციდან ჩამოვარდნილიყო“, იგი შედეგია სამწერლობო ენის ხანგრძლივი ტრადიციისა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდან, ვფიქრობთ, ნათელი ხდება, რომ შოთა ძიძიგურის მონოგრაფია „კავშირები ქართულ ენაში“ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელიც ამშვენებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას და დღესაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ძიძიგური 1969 – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.

Meri Nikolaishvili

**SHOTA DZIDZIGURI'S MONOGRAPH "CONJUNCTIONS IN GEORGIAN"
FROM THE MODERN VIEWPOINT**

Summary

Shota Dzidziguri's monograph "Conjunctions in Georgian" (1969) is a fundamental work that is noteworthy from syntactic as well as morphological and semantic standpoint.

The present work represents the classification of main and subordinate sentences within the compound ones based on logical-semantic standpoint and, at the same time, it includes a study of the grammatical structure of a complex sentence based on the revealed constructional elements. In order to achieve a planned point, a large material has been studied. In particular, all stages of the Georgian literary language from the beginning – 5th c. till the 1960s – and dialects as well. As a result of the accomplished work, significant conclusions have been made on: the functions of conjunctions, the correlation and genesis of hypotactic construction.

ბასკურისა და ქართველური ენების ურთიერთმიმართებანი

აკადემიკოს შოთა ძიძიგურის აღრეულ ნაწერებში

გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენი მასწავლებლების – აკად. შოთა ძიძიგურისა და პროფ. იური ზიცარის რეკომენდაციით მიმავლინეს ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში, ნიკო მარის მე-800 ფონდის შესასწავლად. ეს პერიოდი დაემთხვა ნიკო მარის 100 წლისთავის საიუბილეო დღე-ებს. სწორედ ნიკო მარის დიდი სურვილი იყო ახალგაზრდა ქართველ ასპირანტს – შოთა ძიძიგურს გაეგრძელებინა სწავლა ბასკურისა და ქართველური ენების ურთიერთმიმართების პრობლემებზე. მის მეცნიერ-ხელმძღვანელად დაინიშნა პროფ. ს. ბიხოვ-სკაია (კონსულტაციებს ნ. მარი უწევდა). შ. ძიძიგურს დაუწყია ბასკური დიალექტების შესწავლა. განსაკუთრებით დაინტერესებულა საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელებული სულური დიალექტით (Suberoa – ბასკურად), რადგანაც ახალგაზრდა ასპირანტს ხელი არ მიუწვდებოდა ბასკურ დიალექტურ-ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალაზე, მან ნიკო მარის ნებართვით გამოიყენა სულის პროვინციაში ქ. ტარდეცში ჩანერილი საველე ექსპედიციის მასალა, რომლის დიდი ნაწილი შესულია ნ. მარის წიგნში „პირენეის გურიიდან“ (H. Я. Mapp 1927, 39). ეს ნაშრომი დაინტერა საფრანგეთში, სულის პროვინციის ქ. ტარდეცში.

ნ. მარის მე-800 ფონდში ჩვენი ყურადღება მიიქცია 1931 წლის ასპირანტურის განყოფილების საარქივო მასალებმა, რომელიც წარმოუდგენია შ. ძიძიგურის ხელმძღვანელს – ს. ბიხოვსკაიას. იგი წერს, რომ პირველი კურსის ასპირანტმა შ. ძიძიგურმა განყოფილების

სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ბასკური ენის სულური დიალექტის თავისებურებანი“. პირველი, რაც შეუნიშნავს შ. ძიძიგურს, ის არის რომ სულური დიალექტი ძირძველი ბასკური ლექსემების გვერდით არცთუ იმვიათად იყენებს ნასესხებ რომანულ ეკვივალენტს, მაგალითად. *buru-s* („თავი“), პარალელურად სულურ დიალექტში მან მოიძია *copeta*, რომელსაც კნინობითობის ელფერი გააჩნია და ავტორის აზრით, დაახლოებით ნიშნავს ქართულ „გოგრას“ (იხმარება „თავის“ ალსანიშნავად ქართულ დიალექტებში). შ. ძიძიგურმა მოიძია აგრეთვე „მთვარის“ აღმნიშვნელი უძველესი ლექსემები: *ilargi*, *il*, *ilzuri*, *ilberti*, (Azkue R.M.d, 1969, 406), რომელთა გვერდით იხმარება მათი რომანული ეკვივალენტი *luna*. შ. ძიძიგურის აზრით, ნასესხობა არის გვიანდელი, რადგანაც ძველ ბასკურ წერილობით წყაროებში მხოლოდ ძირძველი ლექსემებია დამოწმებული. (პირველი ბასკური წერილობითი წყარო მე-16 საუკუნით არის დათარიღებული). მეორე თავისებურება, რაც შ. ძიძიგურს შეუნიშნავს, ეხება სულური დიალექტის ფონეტიკას, კერძოდ *a*, *e*, *i*, *o*, *u*-ს გვერდით სულურში დადასტურებულია ბილაბილური ყ, რასაც შ. ძიძიგური მიიჩნევს ფრანგული ენიდან ნასესხებად. ჩვენ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ფრანგი ბასკოლოგის, „ბასკური დიალექტების ატლასის“ ავტორის, უაკ ალიერის (Allier j., 1960, 206–221) აზრით, ეს ყ კელტური წარმოშობისა უნდა იყოს. შესაძლებელია სესხება მოხდა მაშინ, როცა საფრანგეთი დაპყრობილი ჰქონდათ კელტებს.

ჩვენი აზრით, ყ-ს ნასესხობა ფრანგულიდან არ უნდა იყოს გამართლებული, რადგანაც ამ ყ-ს სესხება უფრო მოსალოდნელი იყო ლაბურული დიალექტისათვის, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ფრანგულ ენას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თუ სულურში გვხვდებოდა მხოლოდ უ-ს გადმოსაცემად, ბასკურის დანარჩენ ექვს დიალექტში გვხვდებოდა ჩვეულებრივი ა. (მაგალითად, სულური – *bepürü*, „წარბი“, *benütratü*, „სიმკაცრე“, „უხეშობა“ გიპუსკოურში, ბისკაიურში, ზემო ნავარულში, ლაბურულში, რონკალურში, ქვემო ნავარეულში – *bepuru*, *benturatu*).

პროფესორი ი. ზიცარი სულური დიალექტის ყ-ს უკავშირებდა ძველი ქართულის კ-ს (სიტყვაში „თვისი“) პრა-პასკურქართველურ სიბრტყეზე.

ჩვენი აზრით, ასპირანტ შ. ძიძიგურის ეს ნაშრომი შესრულებულია აკადემიურ დონეზე, ავტორი შესანიშნავად გაერკვა დიალექტურ მასალაში და აღმოაჩინა ის, რაც მანამდე არავის შეუმჩნევია: ის, რომ სულური დიალექტის ძირითადი ლექსიკური ფონდი ერთმარცვლიანია, მაგ. hoztz „პბილი“, ur – „წყალი“, lur „მიწა“, აგრეთვე შ. ძიძიგური მახვილი საგნების ბასკური სახელწოდებების განხილვისას, როგორიც არის: haiz „კლდე“, haitz „კაჟი“, haizkor „წერაქვი“ და სხვა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სულური ერთ-ერთი უძველესი დიალექტია ბასკური ენისა.

მოვიანებით, უკვე საქართველოში დაბრუნების შემდგომ, უურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა ფილ. მეცნიერებათა კანდიდატის შოთა ძიძიგურის სტატია „საქართველო და ესპანეთის იბერია“ (შ. ძიძიგური, 1936, 41). თუ როგორი რთულია ბასკური ენის შესწავლა, ამის საილუსტრაციოდ სტატიის დასაწყისში შ. ძიძიგურმა მოიხმო ჩრდილოეთ ბასკეთში გავრცელებული იუმორისტული ამბავი: „თვით ეშმაკი ცხოვრობდა ბასკეთში შვიდი წელი და ვერცერთი სიტყვა ვერ ისწავლა ბასკურად გარდა bai „კი“-სა და ez – „არა“-სი. ისიც დაავიწყდა, ბაიონს რომ გასცდა“. ავტორი იქვე იმონმებს ბასკური ენის დარამენტისეულ შეფასებას: „ბასკური ენის ყოველი ასო მისტიურ საიდუმლოს შეიცავს“.

შოთა ძიძიგურის აზრით: „ბასკური ენა თავისებურ ენობრივ კუნძულს წარმოადგენს რომანული ენების გარემოცვაში, მართალია, მასში ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება რომანული ელემენტები (ესპანურ-ფრანგულ-კელტურ-ლათინური), მაგრამ ეს მეტყველებითი ენა არ არის ორგანული. ისინი შემოტანილია კულტურულ-ისტორიული ზეგავლენის შედეგად. ბასკური არ არის ინდოევროპული ენა. ბასკები დასავლეთი ევროპის უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან. ამ სტატიაში შ. ძიძიგური განიხილავს სხვადასხვა ეპოქის მეცნიერთა აზრს

ბასკური ენისა და ეთნოსის წარმოშობისა და მათი რომელსამე ენასა თუ ეთნოსთან ურთიერთმიმართებების საკითხს. სტატიის ავტორი სამუშაო ჰიპოტეზად მაინც გამოყოფს ბასკურ-კავკასიური ენებისა და ეთნოსების სავარაუდო ნათესაობას.

დაბოლოს, შ. ძიძიგური ასკვნის: ვიდრე არ იქნება დადგენილი ქართველური სუბსტრატი, ანუ არ გვექნება მეცნიერულად დაზუსტებული (რამდენადაც ეს შესაძლებელია) შედარებით-ისტორიული ძიების გზით პრა-ქართველური ლინგვისტური ტიპი, ყოველგვარ გენეტიკურ კვლევა-ძიებას ჰიპოთეტური ხასიათი ექნება. როდესაც აღსდგება პირვანდელი ბუნება ქართველური ენებისა, ამ პრობლემას მაშინ შეიძლება გაუჩნდეს პოზიტიური საფუძველი. ეს სიტყვები იწერებოდა შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ. დღეს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნეტარხსენებულმა დიდმა მეცნიერმა პროფესორმა მიხეილ ქურდიანმა „გაარღვია ბასკურ-კავკასიური ლაბირინთები“ და ჭეშმარიტად სწორ გზას დაადგა. იგი ბასკურ ენას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ-ქართველურ ჯგუფში აერთიანებს (მ. ქურდიანი, 2007, 485).

ასეთია აკადემიკოს შოთა ძიძიგურის შეხედულებანი ბასკურისა და ქართველური ენების ურთიერთმიმართებების საკითხებზე მის ადრეულ ნაწერებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н.Я. Mapp, 1927 – Н.Я. Mapp, «Из Пиренейской Гурии»Л. 1927.
2. R.M. de Azkue, 1969 – R.M. de Azkue, Diccionario basco-español-frances. Bilbao, 1969.
3. J. Allier, 1960 – J. Allier – “Petite atlas basques-francais”, Toulouse, 1960, VII.
4. შ. ძიძიგური, 1936 – შ. ძიძიგური „საქართველო და ესპანეთის იპერია“. „მნათობი“ 3, 1936წ.
5. მ. ქურდიანი, 2007 – მ. ქურდიანი – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, 2007.

Greta Chantladze – Bakradze

**CORRELATIVENESS OF BASQUE AND KARTVELIAN LANGUAGES
IN THE EARLY WRITINGS OF ACADEMICIAN SHOTA DZIDZIGURI**

Summary

The article is dedicated to the 100th anniversary of Academician Shota Dzidziguri's birth. It analyzes two works – “Peculiarities of the Souletin Dialect of the Basque language” (1931) and “Georgia and Spanish Iberia” (1936). Young scientist's, Shota Dzidziguri's new vision concerning the correlativeness of the Basque and Kartvelian languages is presented in these articles.

ვასტაცია იმართვილი

უ-ფუძიანი სახელების კვეცა თანამედროვე ქართულში

დადგენილი ნორმის მიხედვით, არც ქართულ და უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში **უ** ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე არ იკვეცება. ეს თითქოს მყარი წესია და გამონაკლისებიც არ უნდა გვქონდეს. მაგრამ, როგორც ამბობენ, გამონაკლისი წესის და-დასტურებაა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ფუძის ბოლოკი-დური **უ** მოკვეცილია. ეს ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. როგორც წესი, **უ** ხმოვანს უცხოურიდან შემოსული სიტყვები კარგავს. ამგვარი სიტყვები, ძირითადად, გეოგრაფიული სახელებია.

უ-ფუძიანი სიტყვების უმრავლესობა დადგენილ ნორმას ექვემდებარება. ჯერ რამდენიმე ამგვარ ნიმუშს გავეცნოთ:

ანტანანარივუელი. „ეგ ისეთივე ქუთაისელია, როგორიც მე ანტანანარივუელი“ („კი მაგრამ ამ ქალაქს პატრონი არ ჰყავს. 16.03.2006: forum.ge).

დვაბზუ. „**დვაბზუელი** მეჩაიე გ.სკამკოჩაიშვილი, მახარაძის რაიონი“ („კომუნისტი“. nplg.gov.ge/ ec/ka/komu2); „**მეც მეამაყება** რომ თბილისელი ვარ... მაგრამ რომ ვყოფილიყავი **დვაბზუდან** იმასაც ვიამაყებდი, ყველას თავისი დაბადების ადგილი უნდა უყვარდეს. პრივილეგია მექნება ალბათ რაღაც მომენტში, მაგრამ თუ ამას **დვაბზუელი** არ მაიძულებს, არ გამოვიყენებ“ („თბილისომანია“: forum.rustavi2.com).

კატმანდუ. „**კატმანდუელ** გამყოლებს რომ ანერინებდა ხელს, ვითომ [ევერესტზე] ვიყავიო, თვალი დახუჭეთო“ („უკო-მენტაროდ“: forum.ge. 11.11.2009); „**კატმანდუელ** ქალთან რომანი გააბი“ („ჩინელი ბიჭის წერილი საქართველოდან“: de-de.facebook.com /Georgia.X.2010).

მალიბუ. „ჩემს ფეხებთან გაშავებული, მონელებული ბოთლი ეგდო, მზეზე საოცრად ბზინავდა, დაახლოებით ისევე, როგორც **მალიბუელი** ლამაზმანების ხელოვნურად გარუჯული ფეხები“ („გარუჯვა“: martini2011.blogspot.com); „ფილმი არის 16 წლის გათამამებული **მალიბუელი** გოგოს შესახებ, რომელსაც პოპი ქვია“ (ლ. ბუილლიშვილი – ფილმების ანონსი: leri.usoz.ru. 5.08.2011).

პერუ. „ასე რომ ყოფილიყო, ჩემი პერუული გამოცდილება არ გამზრდიდა მწერლად“ (მარიო ვარგას ლიოსა, „კითხვისა და წერის სადიდებელი /ინგლისურდან თარგმნა გიო ჭოხაძემ//: „ჩვენი მწერლობა“, 4 (134).2011, გვ. 25). შდრ. აგრეთვე: „ხორხე მარიო პედრო ვარგას ლიოსა პერუული პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსია“ (იქვე, გვ. 22).

„პერუულ მედიაში გავრცელებულ მის კომენტარში ვარგას ლიოსამ დიდი მადლობა გადაუხადა ესპანეთის მეფეს“ („მარკიზ ვისენტე დელ ბოსკე: „11X11“. 5.02.2011: „ქართული პრესის ელექტრონული არქივი“: open.ge); „ნიკოლას ლინდლეიმ განათლება მიიღო ინგლისურ-პერუულ სკოლაში“ („ნიკოლას ლინდლეიმ“: ka.wikipedia.org).

პორტუ. „ნიუკასლი“ „ლივერპულში“ გაყიდული ენდი კეროლის ღირსეულ შემცვლელად 14 მილიონ ევროდ შეფასებულ „პორტუელ“ ჰალკს მოიაზრებს“ („11X11“: 5.02.2011: „ქართული პრესის ელექტრონული არქივი“: open.ge).

„პორტუელი“ ბრუნო ალვეში მომავალი სეზონიდან შეიძლება ნოუ კამპზე ვიხილოთ“ („სიახლეები“. მაისი 2009. barcamania.ge); „პირველს ალბათ „რეალელი“ მარსელი შეცვლის, ხოლო მეორეს – „პორტუელი“ ჰალკი („მენეზეში და თაობათა ცვლა“: „11X11“. 12.08.2011: „ქართული პრესის ელექტრონული არქივი“: open.ge).

ტარტუ. „შაბათს **ტარტუელები** „რაკვერე ტარვასს“ ესტუმრებიან“ („როკს“ გამარჯვება არ გასჭირვებია: „მსოფლიო

სპორტი“. worldsport.ge. 23.03.2011); „მას **ტარტუულ** გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა“ („ცინცაძემ როკი დაიბევა და გუნდს ეძებს“: „სარბიელი“. opentext.org.ge.1.07.2008); „**ტარტუულ** გუნდში სეზონის დასაწყისში ვიქტორ სანიკიძეც გადავიდა“ („ცინცაძეს და სანიკიძეს ევროპული გზა ავსტრიელებმა გადაუჭრეს“: gbf.ge. 22.10.2008).

ტურპუ. „თქვენთვის საგანგებო ბულაა მოსული ექსპრეს მეილით... მოკითხვა ჰელსინკელ, **ტურკუელ** და ლაპლანდიელ ამხანაგებს“ („ქართული ეკლესია რუსეთუმეობის ბუდედ ყალიბ-დება“: forum.ge. 5.07.2009).

ჩხოროცხული. „ჩვენი **ჩხოროცხული** კორესპონდენტები რეგიონში მეჩაიეობის პერსპექტივით დაინტერესდნენ“ („მეჩაიეობის პერსპექტივა **ჩხოროცხული**“: GARB-ახლობელი მედია. 6. 06. 2-11: garbge.wordpress.com); „ამოდი ანი მაგ სიღრმეებიდან, დროა და გლიჯე რა შენებური – **ჩხოროცხული**“ (ბ. ახალაია, გადაფრენა.: ურაკპარაკი.5.02.2011. urakparaki.com).

ჰონსიური. „ეს ალბათ **ჰონსიური** ან ჰოკაიდური საფერავია, არა? – არა, კიუსიური საკე“ („მე & მეგობრები. მე და მუვა“. 9.03.2009: face.ge/albums); „ძველ იაპონიაში 2 **ჰონსიურელ** მუშას 1 ჰოკაიდოელი ერჩივნათ“ (forum.ge. 20.10.2009)

ახლა ნორმიდან გადახვევის შემთხვევები ვნახოთ. ჯერ მართებული ფორმებია წარმოდგენილი, შემდეგ კი წესიდან გადახვევის ნიმუშები:

1. ურარტუ > ურარტული, ურარტელი

როგორც ზემოთ ვნახეთ, **უ-ფუძიან** სიტყვებზე სიტყვათმანარმოებელი სუფიქსების დართვისას ბოლოკიდური **უ** შენარჩუნებულია. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სიტყვებიდან ქართულში ყველაზე ხშირად **ურარტუდან** სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები გვხვდება.

ურარტულან ელ და **ურ** სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები, წესით, ასე უნდა უღერდეს: **ურარტუელი** და **ურარტუული**. ასეც გვქვს:

„ძველ ბერძენ ისტორიკოს პეროდოტესთან ძვ. წ. აღ.-ით V საუკუნეში **ურარტუელთა** შთამომავლები ალაროდიელთა სახელით იხსენიებიან“ (ka.wikipedia.org. ურარტუ).

„დიაოხის მეფე უტუფურუსი **ურარტუელთა** წინააღმდეგ გამუდმებულ აჯანყებებს აწყობდა“ („წინაისტორიული საქართველო“: ka.wikipedia.org).

„**ურარტუულ** წყაროებში ამ სახელმწიფოს დიაუხს უზოდებდნენ“ („საქართველოს ისტორია, ქართული ტომების უძველესი გაერთიანებები“: ka.wikipedia.org).

„პირველი ცნობა ჯავახეთის სახელმწიფების შესახებ **ურარტუულ** წყაროებში, მეფე არგიშთი I-ის წარწერებში გვხდება (ძვ. წ. 785). აქ ჯავახეთი ზააბახას სახელითაა ნახსენები“ („ჯავახეთი“: ka.wikipedia.org).

„ქართული ენის განმარტებით **ლექსიკონში**“, ბუნებრივია, ეს ფორმები არ არის შესული. მაგრამ ორთოგრაფიული ლექსიკონი გვთავაზობს „**ურარტულს**“, ხოლო **ქსე-ში** იხმარება „**ურარტელები**“ და „**ურარტული**“. არცერთში არ არის შენარჩუნებული ფუძის ბოლოკიდური **უ. რატომ?** ხომ დამკვიდრებულია, რომ **უ** არ იკვეცება!

თავისთავად ის ფაქტი, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში შესულია **ურარტული**, იმაზე მიგვანიშნებს, რომ განსაკუთრებული შემთხვევა გვაქვს, რადგან გეოგრაფიული სახელები, როგორც წესი, ორთოგრაფიულ ლექსიკონში არ შეაქვთ.

ახლა **უ-მოკვეცილი** ფორმები დავიმოწმოთ:

„**ურარტული** ენის და ცალკეული **ურარტული** წარწერების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა ორიენტალისტებმა ალბრეხტ გოეცემ და იოპანეს ფრიდრიხმა“ („ურარტუ“: „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება“: sabc.ge).

„ურარტული ციხე-სიმაგრები ძირითადად განლაგებული იყო ხეობებისა და ველების განაპირა მხარეებში“ (გ.ქავთარაძე, „ტაოხთა უძველესი ქვეყანა და ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები“: „ბურუსი“. 3.03.2009: burusи.wordpress.com).

„ურარტელთა რელიგიური ცენტრი იყო ქალაქი, რომელსაც ურარტელები არდინს, ხოლო ასურელები მუხასირს ეძახდნენ („ურარტუ“: „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება“: sabc.ge).

„ასურელები და ურარტელები ხშირად განსხვავებულ ტოპონიმებს იყენებდნენ ერთი და იმავე ადგილის აღსანიშნავად“ (გ. ქავთარაძე, სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი: „შოთა მესხია-90“, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, 2006). geocities.ws/komblege/istgeog.htm)

„ბაგრატიონთა წინაპრები, შესაძლოა, ურარტელები ან მანას სამეფოდანაც იყვნენ“ (ა.აბდალაძე, საქართველო და სომხეთი, III, გვ. 98. იბერიანა: wordpress.com).

„ურარტელნი ჯერ კიდევ ძველისძველად დაწინაურებული ერი ყოფილა მაშინდელ კვალობაზე“ (ი.ჭავჭავაძე, ქვათა ღალადი); „ჩვენ უსაბუთოდ არ ვამბობთ ურარტელების ქართველობას“ (იქვე).

ზოგჯერ განსხვავებული დაწერილობა გვერდიგვერდაც გვხვდება:

„მითანის სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეული) ურარტულები მის შემადგენლობაში შედიოდნენ“ („ურარტუ“: ka.wikipedia.org.).

„ამ თავდასხმათა გაძლიერებამ ბიძგი მისცა ურარტელთა დიდი გაერთიანების – ურარტუს სამეფოს შექმნას“ (სამი სტრიქონით ქვემოთ!!!)

ილია ჭავჭავაძისთვის „ქვათა ღალადში“ სახელობითის ფორმაა არა ურარტუ, არამედ ურარტი:

„ჩრდილოეთიდამ მიწოლილი ურარტი ძალიან აბრკოლებდა ასურელთ“, „მასპერო ამბობს: „მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ეფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერთა“, „ბ-ნი ნიკოლსკი უფრო შორს მიდის და ამასაც ამბობს, რომ... ალაროდიელნი აშკარაა იგივეა, რაც ურარტელნი, სახელიდამ „ურარტი“, არარატი, მხოლოდ რ გადაქცეულია ლ-დაო“.

ამდენად, სტატიაში ილიას მიერ მრავალგზის ნახსენები „ურარტის“ ამ შემთხვევაში ნათესაობითის შეკვეცილ ფორმას არ წარმოადგენს.

აქვე აღვნიშნავ, რომ საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინის – „ურარტუელი (ურარტელი) ხალხის“ – გვერდით ამ ბოლო ხანს გამოჩნდა „ურარტი“:

„რენე გრუსეს თქმით, პროტოსომხებმა დაიპყრეს ურარტუს ბარი და საწყალი ურარტების გადარჩენილმა ნაწილმა თავი შეაფარა მთებს, საიდანაც პერიოდული გამოხდომებით იცავდა თავს“ (გ. მაისურაძე, „არმენოფობია“/კომენტარები. 24.06.2011: „რადიო თავისუფლება: radiotavisupleba.ge/.

„ამის შემდეგ, ამბობს რენე გრუსე, ველური პროტოსომხები შეერივნენ ცივილიზებულ ურარტ კარდუხებს და ასე გაჩნდა სომეხი ხალხიო“ (იქვე).

„კიროსმა ურარტებსა და პროტოსომხებს შორის ჩააყენა ნამდვილი და არა პოსტსაბჭოთა სამშვიდობო ძალები რითაც განყვეტას გადაარჩინა ურარტი ხალხი“ (იქვე).

საგულისხმო ისაა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის „ურარტი“ ქვეყანა იყო, ხოლო ჩვენ თვალწინ აღზევებული „ურარტი“ ურარტუელ ხალხს აღნიშნავს.

2. გვინეა-ბისაუ > გვინეა-ბისაური

„გვინეა-ბისაუელ მამაკაცებს შეუძლიათ იყოლიონ რამდენიმე ცოლი“ (ნ. კოჭლამაზაშვილი, „ქვეყნები, სადაც დედობა მძიმე ტვირთია“: presa.ge. 26.09.11: internet.ge).

„წარმოშობით გვინეა-ბისაუელი, პორტუგალიის პასპორტის მქონე ფეხბურთელი ედნილსონი საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში ითამაშებს“ (ლ. თაბაგარი, ედნილსონი „დინამოსთვის“ გაირჯება: „მსოფლიო სპორტი“. 25.11.2009: worldsport.ge).

„გვინეა-ბისაური წარმოშობის ედნილსონმა კი (ბურთი) ხარიხას მცირედით გადააცილა“ (ფ. კერვალიშვილი, გაფრენილი შანსები: „მსოფლიო სპორტი“. 7.03.2010: worldsport.ge).

„გვინეა ბისაური თეთრი ყველი გაუსინჯია ვინმეს?“ („ყველი, ნაირ-ნაირი“: forum.ge. 23.12.2007).

„მეც გასწავლი ერთ გვინეა-ბისაურ სიტყვას სოლომონის კუნძულების ჰოინიარას ტომის აქცენტით“ („ქართველები აშშში“: 29.09.2004. რუსთავი2. ტელეკომპანიის ფორუმი: forum.rustavi2.com).

„შემოთავაზებული ან გათვალისწინებული ენები: ხორვა-ტული, არაბული, სებუანური (ბისაური), ჩინური...“ (geo.proz.com/translation_agencies&companies).

3. დარგუული > დარგული

დარგუულები – დაღესტანში მცხოვრები ხალხი, **დარგუული** ენა (ქსე, III, გვ. 381).

Магометов, Александр. Основные особенности кубачинского диалекта даргинского языка : Дис.... – Тб., 1948. თემატიკა: – **დარგუული** ენის ფონეტიკა; **დარგუული** ენის მორფოლოგია; კუბაჩური დიალექტი“ (Webisis. ელექტრონული კატალოგები: „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“: nplg.gov.ge/ec/ka/dis).

„ზ. აბდულაევი (მაჰაჩიუალა) – **დარგუული** ენის დიაქრონული შესწავლის პრობლემა. (კავკასიონლოგთა | საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 16.10.1991 /პროგრამა: ice.ge/new/pages/inst/confer/kavkas.html).“

4. ვანუატუ > ვანუატელი, ვანუატური

„ვანუატუ – წყნაროკეანური სახელმწიფო, შედის მელანეზიის შემადგენლობაში“ (ვანუატუ: ka.wikipedia.org/wiki).

„ვანუატუელი აბორიგენები ალბათ ვერასდროს ნარმოიდგენდნენ, რომ ამხელა, გლობალური მნიშვნელობის მისიის აღსრულება მოუწევდათ“ (ლ. კეტელაშვილი, „ვანუატუს აღიარებით, აფხაზეთი ისევ არაღიარებულია“: droni.ge. 1.06.2011).

„ფეხი არ ვნახო მაგათი აქ! – ვანუატელი ტურისტებისაც?“ („ვანუატუს მთავრობამ აფხაზეთის აღიარების, შესახებ წინა მთავრობის გადაწყვეტილება გააუქმა“: forum.ge. 18.06. 2011).

„მეც ვერ გავიგე, ვანუატელი უნდათ რაშიო“ („ერთი ტუვალუთი მეტი: presa.ge/new).

„შემეცოდება ვანუატელთა სახალხო კრება, თუ შენისთანა მოაჯდება კრებას თავში“ („აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნებზე“ დამკვირვებლებს ნაურუ გამოგზვნის“: droni.ge. 11.08. 2011).

„ამ დროს ქართველები დებენ ვანუატელთა „შეურაცხმყოფელ“ ფოტოებს მათი ჩამორჩენილობის საილუსტრაციოდ“... ცნობისათვის: „ვანუატელები აი ესენი არიან“ („ვანუატუში კვლავ „პროაბხაზურმა“ ძალებმა გაიმარჯვეს, ანუ კვლავ აღიარებენ ნეტავ აფსუებს?“: forum.ge. 27.06.2011).

„აგერ ვანუატუური პასუხი თავის შტამპიან ხელმოწერიანად“: „ალ-ქაიდას ლიდერად აიმან ალ ზავაჰირი აირჩიეს“. adult-privateservice.com. 16.06.2011).

„ვანუატური კინო“ (forum.ge. 11.06.2011).

„ანგლო-საქსი ავსტრალიელი იმპერიალისტების მხრიდან აფსურ-ვანუატურ ძმობას საბოტაჟი ხომ არ ემუქრება?“ („აფხაზეთი კიდევ ერთმა სახელმწიფომ აღიარა, პროცესი გრძელდება“: forum.ge/showtopic. 31.05.2011).

„ეს ფული მიდის, სადაც საჭიროა. რაღაც შედეგის საჩვენებლად თანხის ნარჩენები მიდის ნაურული და ვანუატური „აღიარებების“ დაფინანსებაზე – ნარჩენები მეტს არც ეყოფა“

(„აფხაზეთი კიდევ ერთმა სახელმწიფომ აღიარა, პროცესი გრძელდება“: forum.ge/showtopic. 31.05.2011).

5. კიუსიუ > კიუსიური

„კიუსიუ (Kyushu) - რეგიონი იაპონიაში. მდებარეობს ამავე სახელის კუნძულზე“ („კიუსიუ (რეგიონი)“: ka.wikipedia.org/wiki).

„ეს ალბათ ჰონსიური ან ჰოკაიდური საფერავია, არა? -- არა, კიუსიური საკე“ („მე & მეგობრები. მე და მუვა. 9.03.2009: face.ge/albums“).

6. ნაურუ > ნაურელი, ნაურული

„ნაურუ – კუნძული-რესპუბლიკა სამხრეთ წყნარ ოკეანეში“; ka.wikipedia.org/wiki)).

„ეს სტატია ნაურუს და ნაურუელების შესახებ ჯერჯერობით ესკიზია“ (ka.wikipedia.org/wiki).

„თეთრკანიანს ნაურუელები „იბარბრას“ ეძახიან, რაც წიშნავს „სხვას“ („ნაურუში დაკარგულები“. 15.02.2011: gggnews.com).

„ერთ ნაურუს როგორ ვერ მოვერევით – მაგ ნაურელებს ავსტრალია მფარველობს და მათი ჯარები იცავენ“ („ოკუპირებული ტერიტორიები, მოსალოდნელი საფრთხეები“. 18.12.2009. forum.ge).

„ნაურუს ოფიციალური ენა არის ნაურუული, ასევე ინგლისური“: ნაურუ: ka.wikipedia.org/wiki).

„ნაურუში სალაპარაკო ენა ორია – ნაურუული და ინგლისური“ („მაინც რა არის ნაურუ?“: გაზ. „კვირის პალიტრა“. 3/01/2011: kvirispalitra.ge).

„საზოგადო მოღვაწეებზე და ნაურულ ხელოვნებაზე არაა მანდ ინფორმაცია? („კომერსანტი“ – „ნაურუს ხელისუფლებამ შესაძლოა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს“: planeta.ge. 14.12.2009).

„ეს ფული მიდის სადაც საჭიროა. რაღაც შედეგის საჩვენებლად თანხის ნარჩენები მიდის **ნაურული** და ვანუატური „აღიარებების“ დაფინანსებაზე – ნარჩენები მეტს არც ეყოფა“ („აფხაზეთი კიდევ ერთმა სახელმწიფომ აღიარა, პროცესი გრძელდება“: forum.ge/?showtopic. 21.05.2011).

„საერთაშორისო სატელეფონო კოდები. ქვეყანა: ნაურუ. კოდი: 674, ენა: **ნაურული**, ვალუტა: აკსტრალიური დოლარი (WORLD YELLOW PAGES: yell.ge/Info-pages).

7. პალაუ > პალაური

„**პალაუ** – კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში, ფილიპინების ზღვაში, შედგება 328 კუნძულისაგან“ (ka.wikipedia.org/wiki).

„ამერიკელი, **პალაუელი** და იაპონელი მეცნიერების გუნდი ამბობს, რომ Protoanguilla Palau-ს ევოლუციის 200-მილიონიანი დამოუკიდებელი ისტორია აქვს“ („მეცნიერებმა წყნარ ოკეანეში „ცოცხალი ნამარხი“ აღმოაჩინეს“: ტაბულა. 17.08. 2011: tabula.ge).

„საერთაშორისო სატელეფონო კოდები. ქვეყანა: პალაუ. კოდი: 680, ენა: **პალაური**“ WORLD YELLOW PAGES: yell.ge/Info-pages).

„**პალაური** ხოხობი ფილიპინებიდან“ – ინგ. Palawan Peacock Pheasant: myvideo.ge).

8. პუშტუ > პუშტური

„**პუშტუ** ენა – ავღანური ენა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის აღმოსავლურ-ირანული შტოს ერთერთი ენა, ლაპარაკობს 20 მილიონი კაცი (ავღანეთსა და პაკისტანში)“: „**პუშტუ** ენა“: ქსე, VIII, გვ. 235).

„TRT-სთან მოქმედი რადიო თურქეთის ხმას (vuase of turkei) დღეს გადაცემები აქვს მსოფლიოს 29 ენაზე: ...ქართულ, ურდულ, პუშტურ, უზბეკურ, თათრულ, თურქმენულ და თურქულ ენებზე : „თურქეთის ტელე-რადიო მაუნიებლობის შესახებ“: TRT-World. ქართული: .trtcroatian.com).

9. სან პაულუ > სან პაულელი

სანპაულუელ მკვლევრებს იმედი აქვთ, რომ ამ საიდუმლოს ფარდას ახდიან“ („მედიცინის სიახლენი“: mkurnali.ge. 16.02.2011: mkurnali.ambebi.ge).

„**სან პაულელ** პიაზონის კანდიდატურით ლონდონური „ჩელსიც“ ინტერესდებოდა“ („პიაზონი „ჩელსის“ ღირსებას დაიცავს“: Forzajuve.ge. 17.08.2011).

„შალკეში“ ბრაზილიელი მარცხენა მცველი ფლავიუ ისინჯება, რომელმაც ახლახანს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა **სან პაულუური** „გრემიო ბარუერი“ („რაკიტიჩმა ვარჯიში განაახლა, ხოლო მაგათმა პანტელიჩი გამორიცხა“: „მსოფლიო სპორტი“. msofsport/more.28.07.2009).

„ერთმანეთს გავიცნობთ, დენილსონის **სანპაულურ** კარიერაზე ვისაუბრებთ“ (Arsenal Football Club – ლონდონის არსენალი, Vol. 51 – Recovery. 1.10.2011. forum.ge).

10. ტუვალუ > ტუვალელი, ტუვალური

„რა გაგიცირდათ, რა, არ გაგიგიათ ქართველი და **ტუვალუელი** ერების მრავალსაუკუნოვანი ძმობის შესახებ?“ („შურისძიება ქართულად, ნაურუ vs ტუვალუ“: forum.ge 13.09.2010).

„მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ **ტუვალუელი**“ („შურისძიება ქართულად, ნაურუ vs ტუვალუ“: 13.09.2010 forum.ge).

„გამცვალეთ **ტუვალუელში!!!**“ (იქვე).

„დღეს ჩვენ ყველანი ტუვალები ვართ“ („შურისძიება ქართულად, ნაურუ vs ტუვალუ“: 13.09.2010 forum.ge).

„ტუვალები თავის საქმეს აკეთებენ, დღეს არა და ხვალ წყალი გადაფარავს მაგათ კუნძულუკებს და სადმე წასასვლელი ხომ უნდა ჰქონდეთ. აგერ აფხაზეთის სახით ქე გაახერხა 20-მდე ტუვალებმა უკვე ბინა“ („ტუვალუმ აფხაზეთი ალიარა“. 29.09.2011: forum.ge).

„რა საინტერესო იქნება: ტუვალური პოეზიის დღეები გუდაუთაში... ან ტუვალურ-აფსუური სასაუბრო“ („ერთი ტუვალუთი მეტი“: presa.ge. 24.09.2011: presa.ge/new).

„საერთაშორისო სატელეფონო კოდები. „ქვეყანა: ტუვალუ. კოდი: 688, ენა: ტუვალური, ვალუტა: ავსტრალიური დოლარი“ (WORLD YELLOW PAGES: yell.ge/Info-pages).

ამოსავალი ფორმა – ტუვალუური – არსად შემხვედრია.

11. ურდუ > ურდული

„ურდუ ენა –პაკისტანის ოფიციალური ენა; ინდოეთის ერთერთი თანამედროვე სალიტერატურო ენა. ურდუ ენაზე ლაპარაკობს 180 მილიონი კაცი“: ქსე, X, გვ.171).

„როცა [პროგრამა] შვედურ, არაბულ, უკრაინულ, პერსიულ და ურდუულ ენებზე თარმგნის სხვა ენებიდან, მაგალითად ინგლისურიდან, გერმანულიდან და რუსულიდან, რატომ არ შეიძლება ქართულიც იყოს?“ („სტუდენტური ფორუმი > რა პროგრამები გინდათ რომ დაიდოს?“: studentshouse.ge/forum/lofiversion.17.11.2010). „ანკარის ახალ საგარეო პოლიტიკას აშუქებს პაკისტანის ურდულ ენოვანი გაზეთი „Jang“-ი (TRT haber. უცხოური პრესის მიკლე მიმოხილვა. 21.04.2010. [trt.net.tr /Haber](http://trt.net.tr/Haber)).

„ურდულ ენაზე გამოცემული ენციკლოპედიები“ („ენციკლოპედიები ენების მიხედვით“ – ka.wikipedia.org).

„TRT-სთან მოქმედი რადიო თურქეთის ხმას (vuase of turkei) დღეს გადაცემები აქვს მსოფლიოს 29 ენაზე: ...ქართულ, ურ-

დუღლ, დარიუღლ, პუშტურ, უზბეკურ, ... ყაზახურ და თურქულ ენებზე“ („თურქეთის ტელე-რადიო მაუწყებლობის შესახებ“: TRT-World ქართული: .trtcroatian.com).

„რადიო თურქეთის ხმა გადაცემებს წარმართავს 29 ენაზე. ესენია: თურქული, გერმანული,... თურქმენული, ურდული, და ბერძნული“ („თურქეთის ტელე-რადიო მაუწყებლობის შესახებ“: TRT-World ქართული. trtcroatian.com).

12. პონოლულუ > პონოლულური

„ერთი-ორი ჩავარდნა ყველას მოუვიდა, მაგრამ აი ეს კრაი-დერი თუ ვიღაცა პონოლულუელი პრიმადონა იყო აბსოლუტური კატასტროფა“ („ატილა“ თბილისის ოპერაში: forum.ge. 21.03.2008).

„**პონოლულურ** სერვერზე არაფრის თამაში ან ატვირვა არ ღირს“ (გლობალი მოკვდა?“: forum.ge. 29.03.2011).

* * *

უ იკარგება არა მხოლოდ სიტყვათმაწარმოებელი სუფიქ-სების დართვისას, არამედ, იშვიათად, ზოგიერთ ბრუნვასა (რო-გორც წესი, ნათესაობითსა) და მრავლობითის ფორმებშიც:

13. ვანუატუ > ვანუატის

მართებული ფორმაა ვანატუს: „26 ივნისს ვანუატუს ახალი პრემიერ-მინისტრი კვლავ გათავისუფლებული სატო კილმანი გახდა“ (მ. ლეკიაშვილი, ვანუატუს პოზიცია არაფერს ცვლის. 5.07.2011: „24 საათი“: 24 saati.ge).

შდრ. „1980 წლამდე, ანუ აქ ვანუატის რესპუბლიკის შექმნამდე, ამ. კუნძულებზე არსებობდა ინგლისისა და საფრანგეთის კონდომინიუმი“ (პ.ბორავსკი, საქართველო 1917-1021 წლებში: nplg.gov.ge/dlibrary/collect).

„აფსუებმა იზეიმეს, ვანუატის დროშების კერვა ისწავლეს...“ („ვანუატუს მთავრობამ აფხაზეთის აღიარების, შესახებ წინა მთავრობის გადაწყვეტილება გააუქმა“. .20.06.2011; forum.ge).

14. მალიბუ > მალიბის

„ჩემს ფეხებთან გაშავებული, მონელებული ბოთლი ეგდო, მზეზე საოცრად ბზინავდა, დაახლოებით ისევე როგორც მალიბუელი ლამაზმანების ხელოვნურად გარუჯული ფეხები“ („გარუჯვა“: martini2011.blogspot.com): „ფილმი არის 16 წლის გათამამებული მალიბუელი გოგოს შესახებ, რომელსაც პოპი ქვია“ (ლ. ბუილლიშვილი – ფილმების ანონსი: leri.usoz.ru. 5.08. 2011). შდრ.:.

შდრ.: „სწრაფი ტრასა მალიბისკენ“ / Fast Lane to Malibu / კინოფილმი/ (ALO.GE -Real Georgian Web. 19.05. 2010: alo.ge/site/page/159).

15. ნაურუ > ნაურის

„ნაურუს რესპუბლიკა ასევე ცნობილია როგორც „სიამოვნების კუნძული“ („ნაურუ“: ka.wikipedia.org/wiki).

შდრ.: „შეიძლება დღეს არ არის არაფერი სან-მარინოსა და ნაურის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება, მაგრამ 3 წელში პრეცენდენტი გახდეს“ (მ. არეშიძე: სან-მარინოს მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის ე. ნ. დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარება საგანგაშო არ არის: ახალი ამბების სააგენტო: 10.05. 2011 ghn.ge/news).

„ცხინვალში მყოფმა ნაურის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრის მრჩეველმა ბენ ვან დერ სანდერმა განაცხადა“ („ნაურუს ფული დაუმტავრდა: „სამხრეთ ოსეთს“ წყნარ ოკეანეში ინტეგრირებას უკეთებენ“..20.09.2010: expert club: (eng.exPERTclub.ge/portal/cnid).

16. ტუვალუ > ტუვალის

„**ტუვალუს** დედაქალაქია ფუნაფუტი, სადაც 4492 ადამიანი ცხოვრობს“ (მ. ახსიაშვილი, რუსული მედია: „აფხაზეთი მომავალმა ატლანტიდამ აღიარა“. „24 საათი“ 24.09.2011: 24 saati.ge).

შდრ.: „ნენარი ოკეანის გეოგრაფია ისეთია, რომ მიუხედავად ნაურუსა და **ტუვალის** ფორმალური მეზობლობისა, რეალურად ისინი ერთმანეთისგან რვაასი მიღის მოშორებით მდებარეობენ (თომას დე ვაალი, foreignpress.ge კავკასიური ომები და წყნარი ოკეანე: planeta.ge. 24.09.2010).

17. კენგურუ > კენგურის

„ყველაზე სახალისო **კენგურუზე** ნადირობა აღმოჩნდა. ძალებმა წამოაგდეს ამ საინტერესო ძუძუმწოვარა ნადირების მთელი ჯოგი. პანია **კენგურები** მაშინვე დედების ჩანთებში ჩაძვრნენ“ (ჟ.ვერნი, კაპიტან გრანტის შვილები /თარგმანი ნ.კურდღელაშვილისა/: diasworld.files.wordpress.com).

„პანია **კენგურები** მაშინვე დედების ჩანთებში ჩაძვრნენ“ (ჟ.ვერნი, კაპიტან გრანტის შვილები „ამან სულ გადარია ხელჯოხმოარჯვებული ახალგაზრდა. აიღო თავისი ხელჯოხი და პირდაპირ კუჭჭი ჩაარტყა **კენგურის**“ (ლელდლუნია, გულანთებული ბიჭი ხელჯოხით: urakparaki.com).

„ორივე მეგობარი გაშმაგებით მოედო ბარდებიან ჯაგნარს და **კენგურუს** მთელი ჯოგი წამოაფრთხეს. **კენგურები** მკვირცხლად გარბოდნენ“ (ჟ. ვერნი, 80000 კილომეტრი წყალქვეშ /თარგმანი ნ.კურდღელაშვილისა/: diasworld.files.wordpress.com).

კენგურუ ჩვილი ბავშვის ტანსაცმელის ერთგვარ სახეობა-საც ჰქვია. ამ შემთხვევაშიც ხდება კვეცა:

„**კენგურუებს** ეხება ფასდაკლება?— **კენგურუს**, სათამაშოებს, მოვლის საშუალებებს ფასდაკლება მხოლოდ სპეციალურ

დღეებში ეხებათ. მაგალითად პირველ ივნისს. – **კენგურის** ფასები დაწერეთ თუ შეიძლება“ (facebook.com/pages/Mothercare-).

ბრუნებისას ფუძის ბოლოკიდური უ-ს მოკვეცა ძალზე იშვიათია. მხოლოდ ხუთ ფუძეზე მოვიძიე ბოლოკიდური უ-ს მოკვეცის მაგალითები.

რაც შეეხება სიტყვათმანარმოებელ სუფიქსებს, მათი ზემოქმედება ფუძეზე გაცილებით ძლიერია და უ-ს მოკვეცის მაგალითებიც უფრო ხშირია.

უნდა ითქვას, რომ უ-ფუძიანი სიტყვები გაცილებით ნაკლებია თ-ფუძიანებთან შედარებით და, რაკი მასალა მწირია, კვეცის ნიმუშთა მოძიებაც ჭირს. ახლა მთავარზე: წესი წესია. უ-ფუძიანი სიტყვები არ უნდა იკვეცებოდეს. მაგრამ ენაში ნელნელა თავი იჩინა უ-მოკვეცილმა ფორმებმა და, რაკი ამას არავინ აღუდგა წინ, ასევე ნელ-ნელა გაიკაფა გზა. თუ დავაკვირდებით, კვეცას, როგორც წესი, უცხოური გეოგრაფიული სახელები განიცდის.. ხშირად ისეთი ტოპონიმები კარგავენ უ ხმოვანს, რომლებიც საზოგადოების ფართო წრისთვის უცნობია. ესენი, ძირითადად, ახლად წარმოქმნილ ჯუჯა სახელმწიფოთა სახელებია (წაურუ, ვანუატუ, ტუვალუ). ამდენად, ამ იშვიათად ხმარებული სიტყვების მართლწერას ტრადიცია არა აქვს და ავტორები, რაკი ორთოგრაფიული ტრადიციის წნების გავლენის ქვეშ არ არიან, თავისუფლად ექცევიან მათს მართებულ დაწერილობას. **ჩხოროწყუსა და ფსოუში** არავინ მოკვეცს უ-ს..

ხშირად მოძიებული მასალა არ არის სალიტერატურო ენიდან ამოკრებილი სიტყვები, მაგრამ ეს არის ჩვენი თანამედროვების მეტყველების პროდუქტი, ფაქტი, რომელსაც ვერ გავექცევით. უ-მოკვეცილ ფორმათა ავტორები უ-ს მაშინ კვეცენ, როცა კვეცა, ასე თუ ისე, მათთვის მაინც, დასაშვებია, თორემ სხვაგან, სადაც ამა თუ იმ სიტყვის დაწერილობას გარკვეული ტრადიცია აქვს, მას ვერავინ შეცვლის. განა ვინმე იტყვის ან დაწერს **პერუდან** ნაწარმოებ პერულს ან პერელს,

ტარტუდან მომდინარე **ტარტელს** ან **ტარტულს?** ინტერვიუ, მენიუ, რევიუ, ზებუ, რაგუარასოდეს შემხვედრია შეკვეცილი.

რაკი მყარი წესი არ მოქმედებს, შეიმჩნევა მერყეობა. მაგალითად:

„ისინი ცდილობენ ყურადღების მიქცევას. მოითხოვენ, რასაკვირველია, სუშის, **კენგურუს** ღვიძლს, ბეჭემოტის ენას“ და იქვე: „**კენგურის** ღვიძლი ჩვეულებრივი ამბავია ავსტრალიაში“ („რესტორნისა და კვების კულტურა, მზარეულის ისტორიები“. 30.07.2009. forum.ge).

მეტიც, ერთსა და იმავე ავტორთან შეიძლება ერთი სიტყვის სხვადასხვანაირი დაწერილობა გვერდიგვერდ შეგხვდეს:

„სეპარატისტული რეჟიმის განცხადებით, **ნაურის** საგარეო საქმეთა მინისტრმა კირენ კეკემ უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. **ნაურუს** მიერ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის აღიარება რუსეთის ჩარევის შედეგია“ („აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი კიდევ ერთმა სახელმწიფომ აღიარა“.. ამერიკის ხმა. 15.12.2009: voanews.com/georgian/news).

კიდევ კარგი, რომ ნედი ლაპარაკში გაერთო, თორემ სულ გაულეტდა, რაც ამ ტყეში **კენგური** იყო. ბოლოს თორმეტიოდე **კენგურუთი** დაკმაყოფილდა. ეს **კენგურები** ხის ფულურობებში ბინადრობენ. ტანით პატარები არიან, მაგრამ ხორცი გემრიელი აქვთ“ (უ. ვერნი, 80000 კილომეტრი წყალქვეშ /თარგმანი 6. კურდლელაშვილისა/: diasworld.files.wordpress.com).

მოძიებული მასალა გვიჩვენებს, რომ **უ** ხმოვნით დაბოლო-ებული გეოგრაფიული სახელებიდან წარმომავლობის ფორმები განსხვავებული სახით გვხვდება..

კანონიკური დვაბზუ-ელ-ი, დვაბზუ-ურ-ი ფორმების გვერდით ხშირია არაკანონიკური ფორმებიც.

გასარკვევია ორი საკითხი:

1. რატომ ჩნდება არაკანონიკური ფორმები, ე.ი. უკვეცელი ფუძეები რატომ კარგავენ **უ** დაბოლოებას?

2. ქართული ორთოგრაფიისთვის უხერხულია ფორმათა წარმოების ეს სიჭრელე. რა აჯობებს, დაიშვას პარალელური ფორმები თუ ერთერთი ამათგანი იქნეს მიჩნეული სწორ წარმოებად. თუ ორივე დაიშვება, განისაზღვროს მათი ხმარების არეალი.

არაკანონიკური ფორმების გაჩენის მიზეზია ხმოვანთა კომპლექსები მორფემათა საზღვარზე: ისინი არაბუნებრივია ქართული ენისთვის. ამის შედეგად მორფემათა საზღვარზე შეიძლება დაიკარგოს როგორც წინამავალი, ისე მომდევნო ხმოვანი.

ვოკალიზმში ქართულს ახასიათებს ლაბიალური კორელაცია, რის გამოც ლაბიალურ კომპლექსებში ხდება დისიმილაცია როგორც სახელთა ფორმებში, ისე ზმნებშიც: ინდო-ურ-ი > ინდაური (შდრ. ინდოელი და ინდური), კინტო-ურ-ი > კინტაური, აუთოვებს > აუთავებს, მომცა > მამცა (შდრ. მოგცა), მომიტანა > მამიტანა (შდრ. მოგიტანა). ასეთი ფორმები ქართულ დიალექტებში დადასტურებულია მე-17 საუკუნის 70-იან წლებში ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონებში, ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც.

ხმოვანთა კომპლექსებში რომელიმე კომპონენტის ჩავარდნა ხშირია ისტორიულ ფორმებშიც: ორმეოც > ორმოც, ესეოდენ > ესოდენ.

წარმომავლობის აღსანიშნავად ქართული თანხმოვანფუძიან და კვეცადფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან იყენებს ელ და ურ სუფიქსებს (თბილისელი, თბილისური: ახმეტელი, ახმეტური).

უკვეცელ ფუძეებზე წარმომავლობის ელ და ურ სუფიქსების დართვისას ენა იყენებს ურ და ელ სუფიქსებს და გადადის თანხმოვანფუძიანთა წარმოების მოდელზე.

ენისთვის უფრო ბუნებრივი ჩანს წარმომქმნელი სუფიქსების სრული სახით შენარჩუნება, ამიტომ ურ (> ულ) და ელ უცვლელად ერთვებიან ფორმაში, ფუძისეული ლაბიალური ხმოვნები უ და ო კი ადვილად ამოვარდებიან ფორმიდან თანხმო-

ვანფუძიანთა წარმოების მოდელის ანალოგით: ურარტული > ურარტული, ურარტული > ურარტელი. რიგ ფორმებში ფუძისეული უ და ო ჩავარდნილია ასეთი წარმოებისას და შენყნარებულია ორთოგრაფიულად. ასეთია ო-ფუძიანთაგან სფერული, სიმბოლური, თარაზული, დისკურსი, ოსმალური, მოქრული და სხვ..

თუ სიმბოლური, ურარტული ტიპის წარმოებაზე გადავალთ, უკვე დამკვიდრებული ქვემოური, ზემოური, ჩრდილოური, ინგილოური, დარგული..., რა თქმა უნდა, უცვლელად უნდა დარჩეს.

ერთი რამ უნდა შევნიშნო: შეიძლება ვინმემ აქ წარმოდგენილი მაგალითები უ-ს მოკვეცის ნიმუშებად არ მიიჩნიოს. **ურარტულს** რომ **ურარტული** შეენაცვლა, იქნებ უმჯობესი იყოს, თუ ამგვარ გარდაქმნას შერწყმად ჩავთვლით და არა უ-ს მოკვეცად.

მაგრამ **ვანუატელი**, **ნაურელი**, **ტუვალელი**, **სანპაულელი** და ნათესაობითი ბრუნვის უ-მოკვეცილი მაგალითები შესაძლებელია, ზოგადად, უ-ს ჩამოშორებად კვალიფიცირდეს, თუ განხილული ნიმუშების მიმართ ტერმინი „მოკვეცა“ გვეხამუშება.

ისე კი, როცა ფუძეს ბოლოკიდური ო და უ ხმოვნები ჩამოშორდება, სულერთია, ამას ბრუნვის ნიშნის დართვა იწვევს თუ დერივაციული სუფიქსებისა. რა უშლის ხელს, რომ ამგვარ გარდაქმნას კვეცა დაერქვას? ვფიქრობ, არც არაფერი!

Vakhtang Imnaishvili

TRUNCATION OF NAMES WITH U-STEM IN MODERN GEORGIAN

Summary

According to the established standards of the modern Georgian language, a stem ending with the vowel -u is truncated neither in Georgian words nor in the ones which entered from foreign languages. It seems to be a stated rule and exceptions should not occur. But such cases frequently occur

when the final **-u** of a stem is truncated. As a rule, geographical names borrowed from foreign languages lose **-u** vowel.

The norms are violated in the following models: *urartu* – “Urartu”, *urartuli* – “sth from Urartu”, *urarteli* – “sb from Urartu”.

Of the words belonging to the group under analysis, in Georgian the words which are derived from Urartu by **-el** and **-ur** suffixes occur most frequently. According to the rule, they should sound as: *urartueli* and *urartuuli*. However, along with them we also have such variants as *-urartuli* and *urarteli*. Occasionally, different spelling occurs side by side.

For Ilia Chavchavadze in his “Appeal of Stones” the nominative form is not *urartu* but *urarti*.

Here I should note that along with the widely spread term *urartueli* (*urarteli*) khalkhi – “Urartian people”, in the latest period *urarti* appeared with the same meaning.

It is noteworthy that for I. Chavchavadze *urarti* was a country but for us *urarti* denotes the Urartian people. Other examples are: *san paulu* > *san pauleli* – “sb from San Paulo”, (cf. *san pauluuri* – “sth from San Paulo”), *gvinea-bisau* > *gvinea-bisauri* – “sth from Guinea-Bissau”, (cf. *gvinea-bisaueli* – “sb from Guinea-Bissau”), etc.

The vowel **-u** is lost not only when adding derivational suffixes but in case forms as well: *malibu* > *malibis* – “of Malibu”, (cf. *malibueli* – “sb from Malibu”), *tuvalu* > *tuvalis* “of Tuvalu”, etc.

It should be mentioned that during declension the truncation of the final **-u** of a stem rarely takes place. As for the word-forming suffixes **-ur** and **-el**, their influence on a stem is considerably stronger and the examples of truncation of **-u** occur. At the same time, the power of **-ur** suffix to truncate exceeds that of **-el**. It should also be noted that when **-ur** suffix is added to the nouns with **-u** stem, the fusion of two **u**-s takes place.

What may be the cause of truncation of the vowel **-u**? It is noted that the Kartvelian languages are not characterized by combinations of vowels within the limits of one morpheme. Owing to this, these languages try to simplify the vowel complexes at the morphological boundaries – there is always an attempt to use one vowel.

The Georgian language is gradually establishing the tendency according to which while adding the derivational suffixes **-el** and **-ur** to the stems which cannot be truncated, the language uses **-ur** and **-el** suffixes and moves to the derivational model of consonant stem nouns.

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ქართულ ენაში

ყველა ენაში შეიძლება გამოიყოს უნივერსალური ცნებითი კატეგორიები, რომლებიც ცნობილია სხვადასხვა სახელით: ფილოსოფიური, ლოგიკური, ფისიოლოგიური, ონტოლოგიური, არაენობრივი, კოგნიტიური, კონცეპტუალური, სემანტიკური ან აზრობრივი კატეგორიები (ტერმინი „ცნებითი კატეგორია“ ეკუთვნის ო. იესპერსენს. იხ. იესპერსენი, 1958). მათ საფუძველზე იქმნება ფუნქციურ-სემანტიკური ველი, რომელიც აერთიანებს ერთი სემანტიკური ჯგუფის გრამატიკულ, ლექსიკურ და სიტყვანარმოებითს საშუალებებს.

ზმნების უნივერსალური ნიშანია **აქციონალურობა** (ანუ პრედიკატულობა), რომლის გამომხატველი ცნებითი კატეგორიები იყოფა ასპექტურ-ტემპორალურად, მოდალურად და აქციონალურ-აქტანტურად (ლელ, 1990, 385). ნებისმიერი კომუნიკაცია წარიმართება ამა თუ იმ დროში, ამიტომაც ტემპორალური ლოკალიზაცია მოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი მახასიათებელი და ზმნურობის განმსაზღვრელი ნიშანია (თუმცა ფარდობითი დროის გამოხატვა შეუძლია მიმღეობასაც).

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ქართულ ენაში მოიცავს ორ დონეს: გრამატიკულსა და ლექსიკურს. გრამატიკულში შედის მორფოლოგიური (ზმნის დრო-კილოთა ფორმები, ასპექტი, ჯერობა, თანამდევრობა) და სინტაქსური დონეები (ზოგიერთი ჩართული, ფარდობითი ტემპორალური მიმართება რთულ წინადადებაში); ლექსიკური კი მოიცავს შესაბამისი სემანტიკის სახელებს, ზმნიზედებსა (დროის, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი) და კავშირებს. ამ ველის ბირთვია ზმნის დროის კატეგორია, გამოხა-

ტული მწკრივის ფორმით, ხოლო პერიფერიულად შეიძლება მი-
ვიჩნიოთ ასპექტი (სახე), ჯერობა და თანამდევრობა.

დროითი დეიქსისი ასახავს მოქმედების მიმართებას უბნობის
მომენტან: ემთხვევა, ნინ უსწრებს ან მოსდევს მას. „გრამა-
ტიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას ზმისას, რომელიც გვიჩ-
ვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლა-
პარაკის) მომენტან... დროული გამოხატვა მოქმედებისა იმაზეა
დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ამბავი, რომელიც კი მომხ-
დარა, ხდება თუ უნდა მოხდეს, გადმოცემულია მოუბრის თვალ-
საზრისით და მისი უბნობის მომენტან შეფარდებით“ (შანიძე,
1973, 198). თეორიულად დრო მხოლოდ სამი შეიძლება იყოს:
ახლანდელი, წარსული და მომავალი (მეცნიერთა ნაწილი უარ-
ყოფს დროის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, არსებობას
ქართულში და მას მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევს).
ზმის დროითი ფორმები სხვადასხვა ენაში საკმაოდ განსხვა-
ვებულია რაოდენობით, შინაარსითა და ფუნქციებით. როგორც
ცნობილია, თანამედროვე ქართულში 11 მწკრივია, მაგრამ ზოგში
ჭარბობს კილოური მიმართება, ზოგში – დროული, ხანდახან
შეუძლებელიც კია ამა თუ იმ მწკრივის დროის დადგენა.

ასპექტურობა გვიჩვენებს, მოქმედება დაუსრულებელია თუ
დასრულებული. „ასპექტი ანუ სახე არის ფორმა, რომელიც
ზმის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას
ბოლო არ უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს“ (შანიძე, 1973,
262): მან წერა და დაწერა, მას უწერია და დაუწერია და სხვ.
ასპექტურობა მოიცავს მოქმედების სახეებს, მისი დაწყების,
განგრძობისა და დასასრულის ფაზებს, ასევე, უდროობას (დრო-
ითი გაგებისგან დაცლას), ეპიზოდურობასა და სხვ.

ჯერობა (გზისობა) გამოხატავს მოქმედების ერთჯერა-
დობას ან განმეორებადობას: „გზისობა არის ზმის ფორმა, რო-
მელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი,
ერთგზის თუ მრავალგზის, ანუ ერთხელ თუ მრავალჯერ“ (შანი-

ძე, 1973, 209). ამიტომაც ანმყოს ზოგჯერ ჩვეულებითსაც ეძახ-დნენ (გზისობის სემანტიკის გამომხატველია ნაწილაკი ხოლმე).

თანამდევრობა ანუ ტემპორალური ტაქსისი ვლინდება ორი ან მეტი ზმნური ფორმის დროითი ფარდობითობის შემთხვევაში ერთგვარშემასმენდიან შერწყმულ, რთულ თანწყობილ და ქვე-წყობილ წინადადებებში. აյ შეიძლება იყოს მოქმედებათა თანა-დროულობა ან უწინარესობა-შემდგომობა: „თანამდევრობის სა-ხელით აღვნიშნავთ ზმნის ფორმას, რომელიც გვაგებინებს, თუ როგორია დროული მიმართება ორი მოქმედებისა წარსულსა ან მომავალში“ (შანიძე, 1973, 212), ანმყოში მხოლოდ მოქმედებათა თანადროულობაა შესაძლებელი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ჩამოთვლილი საშუალება შეიძლება გაერთიანდეს ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველში, რომელიც, როგორც სისტემა, აერთიანებს სხვადასხვა ენობრივი დონის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საშუალებებს. ზოგჯერ მათი სემანტიკური შეხამებულობა განაპირობებს კიდეც ზმნის საჭირო ფორმის შერჩევას.

დროის გამომხატველი ლექსიკური საშუალებებია: დროის, ჯერობის, განუსაზღვრელობითი, კითხვითი, უარყოფითი ზმნი-ზედები ან დროის გარემოების ფუნქციით გამოყენებული შესიტყვებები. ზმნის მწერივის ფორმა ზოგჯერ პოლისემიურია და ვერ აზუსტებს დროს. მაგალითად, რამდენიმე ზმნას ანმყოსა და მყოფადში ერთნაირი ფორმები აქვს: იქს, ჭამს, ბრძანებს, არჩენს, ათამაშებს (იხ. შანიძე, 1973, 204). მათ შორის ანმყოსა და მყოფადში არავითარი ფორმალური სხვაობა არაა (პოლო დროს სასაუბრო მეტყველებაში წყვეტილიც კი გამოიყენება ანმყოს ან მომავლის მნიშვნელობით. მაგალითად, აბა, გაკოცე ბევრი). ამას გარდა, მწერივის ფორმა ყოველთვის ერთ დროს არ გამოხატავს.

ქართულ ენაში კარგადაა შესწავლილი მწერივთა შესაძლო შეფარდებები წინადადებათა ტიპების მიხედვით (იხ. გეგუჩაძე, 2006), მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა მათი კავშირის დადგენა ლექსიკურ ინდიკატორებთანაც, რაც ბევრ ენაში მწყობრ სის-

ტემადაა ჩამოყალიბებული. ქართულში გაცილებით მეტი თავისუფლებაა ამ თვალსაზრისით, მაგრამ მანც გასარკვევია ტემპორალობის ველის ლექსიკური ერთეულების სემანტიკური შეხამებულობა. ეს საკითხი გასათვალისწინებელია არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების პროცესში, რადგან მშობლიურ ენაში ადამიანი ბუნებრივად ირჩევს საჭირო დროკილოურ ფორმას, უცხო ენაში კი სპეციალურად სჭირდება ამის შესწავლა (უცხოელებისთვის ქართულის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით ამაზე ყურადღება გაამახვილა პროფ. რამაზ ქურდაძემ: იხ. ქურდაძე, 2011).

ლექსიკური საშუალებების, კერძოდ კი დროის ზმნიზედების, სემანტიკა ხშირად განსაზღვრავს მნიჭრივის ფორმას. მათ შეიძლება ვუწოდოთ ზმნის მნიჭრივების (დრო-კილოთა ფორმების) ინდიკატორები. როგორც ტექსტებმა დაადასტურა, კონკრეტული დროის გამომხატველი ზმნიზედები გამოიყენება მხოლოდ შესაბამის დროითს ფორმასთან. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში არაა მკაცრად განსაზღვრული, რომელ ზმნიზედასთან ზმნის რომელი ფორმაა აუცილებელი, გარკვეული შეზღუდვა მანც მოქმედებს. ზოგიერთ ზმნიზედასთან ნებადართულია მნიჭრივთა თითქმის ყველა ფორმის გამოყენება, ზოგთან კი – მხოლოდ ერთისა ან ორისა.

ტემპორალური ინდიკატორების როლში გამოდის სხვადასხვა ჯგუფის ზმნიზედები: დროისა (ახლა, დღეს, ხვალ, ზეგ, წელს, გაისად, ყოველდღე, ახლახან, დღესდღეობით...), კითხვითი (როდის? როდიდან? რა დროიდან? რა დრომდე? როდემდე? რამდენ ხანს? რამდენჯერ?), უარყოფითი (არასოდეს, არასდროს, ნურასოდეს, ნურასდროს, ვერასოდეს, ვერასდროს, არც ერთხელ, ვერც ერთხელ), მიმართებითი (როდესაც, როდიდანაც, რა დრომდეც), განუსაზღვრელობითი (ოდესდაც, ოდესმე, როდისმე), ჯერობის (ბევრჯერ, ათასჯერ, ათასში ერთხელ...), კავშირები (სანამ, ვიდრე, როცა, როგორც კი, რანამს), ჩარ-

თულები (ჩვეულებრივ, როგორც წესი, როგორც ყოველთვის) და სხვ. (ზმნიზედების შესახებ იხ. გაბუნია, 1993).

ტემპორალური ინდიკატორები შეიძლება დაიყოს ორ სემანტიკურ ჯგუფად: კონკრეტული და განუსაზღვრელი დროის მაჩვენებელი ერთეულები:

I. **პირველ ჯგუფში** დასახელებულია მოქმედების დრო (წარსული, ახლანდელი, მომავალი), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს ერთეულები ენაში ფარდობითა, უბნობის მომენტზე დამოკიდებული:

ა) ახლანდელი – ახლა, ამჟამად, ამ წუთას, ამ წამს, დღეს, ამ კვირას, წელს, ჯერჯერობით, დღესდღეობით...

ბ) წარსული – გუშინ, გუშინწინ, გუშინწინისწინ, შარშან, წინათ, ამას წინათ, წინა კვირას, წინა ორშაბათს, წინა დღეს, წინა ზაფხულში, გასულ კვირას, გასულ თვეში, გასულ ზამთარს, გასულ წელს, ადრე, ახლახან, ძველ დროში, ძველად, წარსულში, რევოლუციის დროს, ბავშვობაში, დღემდე, აქამდე, 1921 წელს, 1989 წლის 9 აპრილს...

გ) მომავალი – ხვალ, ზეგ, მასზეგ, გაისად, მომავალში, მომავალ კვირას, მალე, მერმისს, შემდეგ, შემდეგში, ორ დღეში, ერთ თვეში, სამ კვირაში, 2030 წლის 4 აგვისტოს...

II. **არაკონკრეტული დროის** მითითებისას დრო ან განუსაზღვრელია, ან განგრძობითი, ან მრავალჯერადი (განმეორებითი):

ა) დროის განუსაზღვრელობა გამოხატულია ზმნიზედებში: ოდესმე, ოდესლაც, როდისმე...

ბ) განგრძობითობა (ხანაც მოქმედების ჩვეულებითობა ან მარადიულობა): მარად, მუდამ, მუდმივად, მარადჟამს, ყოველთვის, სულ... როცა საუბარია საუკუნოვან მოვლენებზე ან იმაზე, რაც ჩვეულებრივ ხდება, ზმნის ფორმაც კარგავს დროის გაგებას. ამ სემანტიკას ხაზს უსვამს ჩართულები: როგორც წესი, ჩვეულებრივ, საზოგადოდ...

გ) მრავალჯერადობა, განმეორებითობა, მოქმედების ინტენსიურობა: ბევრჯერ, ათასჯერ, ათასგზის, მრავალჯერ, ხში-

რად, ზოგჯერ, ხანდახან, ხანგამოშვებით, დღეგამოშვებით, შიგადაშიგ, დროდადრო, ყოველდღე, ყოველდღიურად, ყოველ წელს, ყოველწლიურად, ყოველთვიურად, ყოველ წამს, ათასში ერთხელ, იშვიათად...

დ) უარყოფითობა: არასოდეს, არასდროს, ნურასდროს, ნურასოდეს, ვერასოდეს, ვერასდროს...

მწკრივთა შერჩევა გარკვეულ სიტუაციაში განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთაგან მნიშვნელოვანია დროის სემანტიკის ლექსიკური ერთეულების შეხამებულობის უნარი. ბევრი ზმნიზედა, როცა მათში კონკრეტულად არაა მითითებული დრო, შეიძლება შეხამოს თხრობითი კილოს ყველა დროითს ფორმას. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მოქმედების დროის შეფარდება უბნობის მომენტთან: ხდება მოქმედება მანამდე, უბნობის თანადროულად თუ შემდგომ. როცა ზმნიზედა ასახელებს კონკრეტულ დროს, ცხადია, გამოიყენება შესაბამისი დროითი ფორმა, მაგრამ ხშირად ზმნიზედის მნიშვნელობა უფრო ფართოა და მასთან შეზღუდული არაა რომელიმე მწკრივის ხმარება.

პირველი ჯგუფის ახლანდელი და მომავალი დროის სემანტიკის ტემპორალურ ინდიკატორებთან გამოიყენება მყოფადის ან ანტიკო მწკრივები, წარსულის აღმნიშვნელ ინდიკატორებთან – წყვეტილის, უწყვეტლის ან I თურმეობითის ფორმები. ეს წესი ენაში თითქმის ყოველთვის დაცულია. ყველაზე მოქნილი და შეხამების ფართო სპექტრის მქონეა სწორედ ახლანდელი დროის ლექსიკური ერთეულები, რადგან მათი ფარდობითობა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიყენოთ ისინი თითქმის ყველა დროითს ფორმასთან. მაგალითად, ახლა ვწერ (ვწერდი, დავწერ, დავწერდი, დავწერე, არ დამიწერია, დამეწერა...). ამის მიზეზი ისაა, რომ გრამატიკულად წარსულ დროშია ყველა მოქმედება, რომელიც უსწრებს უბნობის მომენტს (თუნდაც 1 წამით), ხოლო მომავალში იგულისხმება ყველა, რომელიც მოსდევს უბნობის მომენტს (თუნდაც უმცირესი დროით). ამიტომ ტემპორალური

ინდიკატორი ახლა (და ბევრი სხვაც) სხვადასხვა სიტუაციაში გრამატიკულად შეიძლება აღნიშნავდეს სამივე დროს.

მეორე ჯგუფის სიტყვებთან – ჩვეულებრიობის, განგრძობითობის, განმეორებადობის, მრავალჯერადობის მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულებთან – სემანტიკური შეხამებულობის მიხედვით, არ გამოიყენება წყვეტილის, დასრულებული მოქმედების გამომხატველი მწკრივის ფორმები. მათთან გვხვდება მხოლოდ უწყვეტელი, ხოლო უარყოფით ფორმებთან – თურმეობითი I-ც (ზოგჯერ – უწყვეტელი ან მყოფადი). როცა მოქმედება გრძელდება და მოსალოდნელია, რომ კვლავ გაგრძელდეს (ანუ გამოხატულია განგრძობითობა), ტემპორალური ინდიკატორები ეგუება ანმყოსა და უწყვეტელს, მაგრამ არ გამოიყენება წყვეტილთან. შესაძლებელია ისინი შეგვხვდეს I თურმეობითის უსრულასპექტიინა ფორმებთანაც. ამდენად, დაუშვებელია შემდეგი სახის შესიტყვებები: ყოველთვის დავწერე, ყოველდღე დავხატე, მუდამ ნავიკითხე... (იხ. ქურდაძე, 2011, 105). ზოგჯერ მითითებულია დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გრძელდება მოქმედება: ორი წლის განმავლობაში, სამი დღის განმავლობაში, სამი დღე...

წყვეტილი გულისხმობს უპნობის მომენტისთვის დასრულებულ მოქმედებას და, ბუნებრივია, ეგუება მსგავსი სემანტიკის ერთეულებს. ის გამოიყენება შემდეგ ზმნიზედებთან: გუშინ (გაისად, ამას წინათ, ამ დღეებში, ახლახან...), უკვე, ეს-ეს არის, ახლახან, რამდენჯერმე, ათჯერ, ნარსულში (შარშან, გუშინ...) დავწერე, დავხატე, ნავიკითხე და სხვ..

ზოგიერთი ტემპორალური ინდიკატორის სემანტიკის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ მასალას მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან და ინტერნეტსაიტებიდან. მაგალითად, ზმნიზედები ხშირად, სისტემატურად დადასტურდა აწმყოსთან, უწყვეტელთან და I თურმეობითთან (არ შეგვხვედრია წყვეტილთან):

აწმყო:

უფრნალისტებს სულ უფრო ხშირად ემუქრებიან ევროპაში.

ქართული თხილით ხშირად თურქი ტრეიდერები ხეირბენ.

უფასო ჯანდაცვაში ხშირად ფულს ითხოვენ.

მწეველები ორჯერ უფრო ხშირად კარგავენ კბილებს, ვიდრე არამწეველები.

სამსახური უურნალისტებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სააგენტოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ეს სამსახური სისტემატურად ატარებს მოქალაქეთა გამოკითხვას.

მერია სისტემატურად აკონტროლებს მიწისქვეშა გადასასვლელებს.

უწყვეტელი:

სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან.

სისტემატურად ვცივდებოდი, მქონდა ქრონიკული, ასთმური ხველა.

ძიძა პატარას სისტემატურად, უმიზეზოდ სცემდა და არ აძლევდა საკვებს.

მენარმე სამრეწველი პროდუქციას იძენდა სისტემატურად დოკუმენტაციის გარეშე.

მყოფადი:

ლიდერებს მასალას სისტემატურად მიაწვდიან.

ფაკულტეტზე შემოქმედებითი საღამოები სისტემატურად მოეწყობა.

I თურმეობითი:

ნარმოგიდგენთ იმ გამონათქვამებს, რომლებიც ხშირად გსმენიათ სკოლაში.

ყოველთვის, იშვიათად ზმნიზედები დადასტურდა აწმყოს-თან, უწყვეტელთან, მყოფადთან, ხოლმეობითთან, I და II თურმე-ობითებთან (არ შეგვხვედრია წყვეტილთან):

აწმყო:

„ყოველთვის მგონია, ჩემს სახელს ნაცნობი

აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით“ (გ. ტაბიძე, „ყო-რანი“).

„შენი მე სახება დამდევს თან

ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!“ (გ. ტაბიძე, „ქარი ჰქრის“).

„უფრო და უფრო იშვიათად ისმის მისი „მაგხვდა! აასა!“ (მ. ჯავახიშვილი, “თეთრი საყელო“).

უწყვეტელი:

„მე ეს ოცნება ყოველთვის მსდევდა,

არ ვეძებ სიკვდილს ასეთ ფიქრებთან“ (ტ. გრანელი).

ზოგჯერ პრესის ენაში აღრეულია უკვე და ჯერ ზმნიზედები. უკვე ეგუება წყვეტილს: უკვე გავაკეთე (იშვიათად: უკვე ვწერ ან ვწერდი), მაგრამ არ გამოიყენება უარყოფითს ფორმებთან: უკვე არ გამიკეთებია, უკვე ვერ შევასრულე, მართებულია: ჯერ ვერ დავწერე, ჯერ არ დამიწერია.

უარყოფითს ზმნიზედებთან არასოდეს, არასდროს დადასტურდა მყოფადი, წყვეტილი, I თურმეობითი (განსაკუთრებით ხშირად სწორედ ამ ფორმასთან: არასოდეს არ დამიწერია, არასდროს არ გამიკეთებია...).

მყოფადი:

„ო, სიყმანვილე! ანი არასდროს

იმგვარად ალარ ამეტყველდები“ (გ. ტაბიძე, „ჭარხალი“).

წყვეტილი:

„ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“ (გ. ტაბიძე, „ეფემერა“).

I თურმეობითი:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“
(გ. ტაბიძე, „მთაწმინდის მთვარე“).

„მაგრამ წრფელ ხმაში არასდროს ყალბი არ გამირევია“
(ტ. ტაბიძე, „მეწყერი“).

„არ მყვარებია არასდროს ასე!“

ნურასდროს, ნურასოდეს ხშირად მიემართება მომავალ
დროს და გვხვდება მყოფადთან ან აწმყოსთან: ნურასდროს ნუ
გააკეთებ, ნურასოდეს ნუ ამბობ...

მყოფადი:

„ერთ ერს ნურასდროს ნუ ეგონება,
რომ გაბატონდეს მეორე ერზე“ (გ. ტაბიძე, „პრესა“).

„ნუ გამაგონებ ნურასოდეს

ჰანგებს მწუხარეს“ (გ. ტაბიძე, „ჩემო მენავე“).

„იყავი მუდამ ასე ნატიფი

და ნურასოდეს ნუ დაბერდები!“ (ლ. ასათიანი, „ანდერძი“)

ვერასდროს და ვერასოდეს გვხვდება აწმყოსთან, უწყვე-
ტელთან, წყვეტილსა და მყოფადთან: ვერასდროს ვერ ვამბობ,
ვერასდროს ვერ ვიტყვი, ვერასდროს ვერ ვაკეთებდი...

აწმყო:

რა არის ის, რასაც ქართველი პოლიტიკოსები ვერასდროს
ვერ სწავლობენ.

მყოფადი:

„როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,

ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!“ (გ. ტაბიძე, „ქარი
ჰქრის“)

„ვერასდროს დავწერ მე უკვე სხვაზე“.

სილამაზე ვერასდროს ვერ გადაარჩენს მსოფლიოს.

მას მამად ვერასდროს ვერ მივიღებ.

წარსულიდან ერთი ტკივილი დარჩა, რომელსაც ვერასდროს ვერ მოინელებს.

ნერილი, რომელსაც ადრესატი ვერასდროს ვერ ნახავს.

ხოლმეობითი:

რას ვერ აპატიებდით ვერასდროს საყვარელ ადამიანს და რატომ?

წიგნებს ბევრს კითხულობდა, სამაგიეროდ ეზოში მოთამაშეს ვერასდროს დაინახავდით და სხვ.

განუსაზღვრელობითი დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები ოდესმე (როდესმე) და ოდესლაც სემანტიკით ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავდება. ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ოდესმე ძველი ზმნისართია, – მე-ნანილაკდართული ოდეს, აღნიშნავს რომელიმე დროს, როდისმე (ქეგლ, VI). აქვე მითითებულია მისი სემანტიკური ნიუანსი – განუსაზღვრელი დრო წარსულში: ოდესლაც, ერთ დროს და დამოწმებულია ი. გოგებაშვილი: „ოდესმე ერთი გუგული ცხოვრობდა ტყეში“ (ი. გოგებაშვილი).

ქართულ სალიტერატურო ენაში ეს ზმნიზედა, ძირითადად, მყოფადთან დასტურდება, იშვიათად – I თურმეობითთანაც:

„ვარსკვლავი იგი – ფიქრთა საგანი,

ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი,

აელვარდება ცაზე ოდესმე“ (გ. ტაბიძე, „ხომალდს მიჰყება თოვლის მადონა“).

„თუკი ოდესმე თავს მარტოდ იგრძნობ, თუ აიგსება დარდით ეგ გული“.

ჩვენს კითხვებს დაესმე გაეცემა პასუხი?

I თურმეობითი:

„ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!“ (მ. ლებანიძე)

„მოგნატრებია ოდესმე ტირილი?

ოდესმე ცრემლი მოგნატრებია?“

გიფიქრია ოდესმე, რომ ეს ცხოვრება ძალზე ხანმოკლეა?

როდისმე ხშირად დგას კავშირებითებთან (აწმყოს ან II კავშირებითთან):

„შენი სახე გულს კანრავდეს, სადაც ვიყო, როგორც ვიყო, თუ როდისმე არ მახსოვდე, თუ როდისმე დაგივიწყო!“ (გ. ტაბიძე, „მესაფლავე“).

რაც შეეხება ზმნიზედას ოდესლაც, ის მხოლოდ წარსულს მიემართება – ოდესლა, ერთ დროს, ძველად, წინათ: „ოდესლაც, სადღაც, მარტოობაში გულით ამომსკდა სიმღერა წყნარი“ (გ. ტაბიძე; ქეგლ, VI).

ოდესლაც გვხვდება წყვეტილთან ან უწყვეტელთან:

„ოდესლაც ენგურმა განირა თარაში;

ოდესლაც სვე-ბედმა უგანა ჰომეროსს;

ოდესლაც ჯოჯოზეთს უმღერდა ორფეოს“ (თ. მღვდლიაშვილი).

ენაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ოდესმე და ოდესლაც დამკვიდრდეს განსხვავებული სემანტიკით: ოდესმე, როგორც ტემპორალური ინდიკატორი, – მყოფადის ფორმებთან, ოდესლაც კი – წარსულის მწკრივებთან. ჩვენც ამ ტენდენციას მივიჩნევთ მართებულად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ტემპორალობის ინდიკატორების სემანტიკური ნიუანსები მრავალფეროვანია, ასევე მრავალგვარია დრო-კილოთა ფორმების მნიშვნელობაც. მათ შორის მჭიდრო კავშირია, რადგან ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა დონის ერთეულები ურთიერთქმედებენ და ერთმანეთს განაპირობებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბუნია, 1993 – კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში (რედ. ბესარიონ ჯორბენაძე), თბილისი: მეცნიერება, 1993.
2. გეგუჩაძე, 2005 – ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბილისი: უნივერსალი, 2005.
3. იესპერსენი, 1958 – Есперсен О., Философия грамматики, Москва, 1958.

4. ლელ – Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. В. Н. Ярцева), Москва: Советская энциклопедия, 1990.
5. ქეგლ, VI –ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვა ტომად), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბილისი, 1960.
6. ქურდაძე, 2011 – რ. ქურდაძე, თანამედროვე ქართული ენის სოცი-ალურ-კულტურული ასპექტები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
7. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.

Rusudan Zekalashvili

FUNCTIONAL-SEMANTIC FIELD OF TEMPORALITY IN GEORGIAN

Summary

Temporal localization is an essential feature of an action and one of the signs of verability. The functional-semantic field of temporality in Georgian comprises different levels: grammatical (absolute and relative tense, aspect, recurrence and sequence of the verb) and lexical (names of relevant semantics, adverbs of time and frequency, interrogative and relative adverbs, conjunctions). The category of tense of the verb is the core of this field. Peripheral categories are: aspect, recurrence and sequence (temporal taxis).

Lexical tools of temporality are a kind of indicators, whose semantic combination often determines the choice of the necessary verb form in a text. Temporal indicators denoting a concrete tense are used with relevant tense forms: words denoting present and future (*akhla* – now, *dghes* – today, *am tsutas* – at this moment, *khval* – tomorrow, *zeg* – the day after tomorrow, *gaisad* – next year...) – with present and future, the words expressing past tense (*gushin* – yesterday, *sharshan* – last year, *gushintsin* – the day before yesterday...) – with simple past, imperfect and present perfect. According to semantic combination, simple past is not used with the indicators denoting customary, repeated, continued actions (*mudam, mudmivad* – always, *marad* – forever, *kovelvis, sul* – forever, *koveldghe* – every day, *chveulebriv* – usually, *mavaljer* – many times, *zogjer* – occasionally, *arasodes* – never), only imperfect occurs with them (a negative adverb often occurs with present perfect).

ოდენ მთარაჭული ლექსემები მთარაჭის ტოპონიმიაში

ნებისმიერ ენასა თუ დიალექტში საკუთარ სახელთა სისტემა ძირითადად საზოგადო სახელთა სისტემას მიჰყვება, მაგრამ არაა გამორიცხული ზოგი თავისებურება საკუთარი სახელის ფონეტიკა-მორფოლოგიასა და სიტყვანარმოებაში, რაც ისევ და ისევ ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენაა.

ქართული ენის აღმოსავლური და დასავლური დიალექტების ზმნის, სახელებისა თუ დამხმარე მეტყველების ნაწილების ყველა საკითხი, შეიძლება ითქვას, ამომნურავადაა შესწავლილი და გამომზეურებული, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით დიალექტების ლექსიკასა და, განსაკუთრებით, ტოპონიმიაზე (რომ არაფერი ვთქვათ საკუთარ სახელთა სხვა კლასებზე).

პირველი, ვინც 1916 წელს შეუდგა რაჭული დიალექტის შესწავლას, იყო აკაკი შანიძე (კვლევის შედეგები არ გამოქვეყნებულა). შ. ძიძიგურის შრომათა კრებულში, რომელიც 1954 წელს გამოქვეყნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოკვლევას „რაჭული დიალექტი“. სწორედ აქ, მთარაჭულთან დაკავშირებით, არის ნათქვამი: „მთარაჭულს შეხვედრის წერტილები აქვს მთის კილოებთან. ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელი დიალექტური ჯგუფის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არქაიზმია და მთარაჭულიც ქართული „არქაული დიალექტის“ მშვენიერ ნიმუშს იძლევა“ (ძიძიგური, 1954, 184). დასახელებულ სამეცნიერო ნარკვევში რაჭული დიალექტის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და, გარკვეული თვალსაზრისით, ლექსიკოლოგიურ ანალიზს ერთვის „მთარაჭულის ლექსიკონი“. მასში შეტანილია 100-ზე მეტი ტოპონიმი (ოღონდ მიკროლოკალიზაციისა და მოტივაციის გარეშე, ამასთანავე, ამ ტოპონიმთა ერთი ნაწილი ნახევარი

საუკუნის შემდეგ რესპოდენტების მეხსიერებამ ვერ აღიდგინა. ტოპონიმთა დაწერილობა, ზოგ შემთხვევაში, მოკლებულია სიზუსტეს. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული კორექტურის შეცდომები). „რაჭული ლექსიკონი“ ჩართულია „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ ტომშიც. ამავე პერიოდშია გამოქვეყნებული ქართული ვ. თოფურიას „მთარაჭულის დახასიათებისათვის“. დაბოლოს, მეტად მნიშვნელოვანია ალ. კობახიძის მიერ შედგენილი „რაჭული დიალექტის ლექსიკონი“ (რასაც წინ უძლოდა ვ. ბერიძისა და ი. ჭყონიას ლექსიკონები, ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონი“ და სხვ.).

მთარაჭული კილოკავი წარმოდგენილია ლების, ჭიორისა და გლოლის თემების სოფლებისა და მიმდებარე ტერიტორიების (რივნისთავი, ჩვეშურის ხეობა) დიდი თუ მცირე ობიექტების საკუთარი სახელებით. ისინი შესულია „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანის“ პირველ წიგნშიც (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, 2003).

ნებისმიერი დიალექტისა თუ კილოკავის (მათ შორის რაჭულის) საზოგადო თუ საკუთარ სახელთა კვლევის მსურველმა სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ეს შეგონება: „არაიშვიათად ერთსა და იმავე საგანს რაჭის სოფლებში (ზოგჯერ ერთი კილოკავის ფარგლებშიც კი) სულ სხვადასხვა სახელი აქვს... ამავე დროს ერთი და იგივე სიტყვა ზოგჯერ გამოყენებულია სულ სხვადასხვა საგნის აღსანიშნად“ (კობახიძე, 1987, 7-8).

მოხსენების სათაური გულისხმობს იმ ტოპოლექსემების გამოყოფა-გაანალიზებას, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მთარაჭულ კილოკავშია ცნობილი, ან წარმოადგენს სხვა კილოკავისა თუ კილოს ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-სემანტიკურ გადასხვაფერებას. ქვემოთ დასახელებულ ტოპონიმთა ძირითადი ნაწილის ამოსავალი ფუძის სემანტიკა დღემდე არ ყოფილა დადგენილი:

ნარტყელა

ნარტყელა – ტყე მუხამეშურის ხეობაში (პ. ღები).

შ. ძიძიგური „მთარაჭულის ლექსიკონში“ აღნიშნავს: „ნარტყელა – ფიცარი ჭერის ქვემოთ“. ალ. კობახიძე „რაჭული დიალექტის ლექსიკონში“ გვამცნობს: „ნარტყელა (ზმ.) – შუაცეცხლის თავზე ჩამოკიდებული ჯოხები ორომის დასადებად“. „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ წიგნში (1961, 587) კი უფრო მრავალსიტყვიანი განმარტება მოცემული: „ნარტყელა – საფუნებელი, შუაცეცხლის თავზე ჭერზე ჩამოკიდებული ორი ჯოხი ორმის დასადებად, რომ ორომზე ამოთხელებული პური აფუვდეს“. სიტყვის მნიშვნელობისა და ტოპონიმის მოტივაციის დასადგენად მივმართოთ რესპონდენტს: „ნარტყელა არის კოჭები, რომელიც ალაგია შუაცეცხლის თავზე. აქ ჭრიდნენ“. მაშასადამე, მოხდა მარტივი სემანტიკური ტოპონიმიზაცია: საგნის სახელი იქცა იმ ადგილის სახელად, სადაც ამ საგანს მოიპოვებდნენ.

ნახერგულევი

ნახერგულევი – საძოვარი სოფლის დას. ნაწილში (გონა). რესპონდენტის ცნობით, აქ ჰქონიათ ხერგული, ე.ი. შემოლობილი ადგილი.

ხერგული ლექსიკონთა შორის დასახელებულია მხოლოდ ქეგლ-ში, სადაც ვკითხულობთ: „ხერგული იგივეა, რაც სხლტე“. ხოლო სხლტე, ი. ჭყონიას განმარტებით, არის „სამოსახლოს ირგვლივ ღობედ შემოვლებული ბუჩქნარ-ბარდი“. ვარიანტი სხრტე ს.-საბას ლექსიკონში გვხვდება. მაშასადამე, ნახერგულევი ის ადგილია, რომელიც უნინ ხე-ნარგავებით იყო შემოსაზღვრული.

საალთმები

საალთმები – სათიბი ჩხოჭაში (შოვი).

ქეგლ-ში ალთამი არაა შეტანილი. იგი არც ალ. ღლონტის „სიტყვის კონაში“ ჩანს და არც შ. ძიძიგურის „რაჭულ ლექსიკონში“. ალ. კობახიძის „რაჭული დიალექტის ლექსიკონში“ კი აღნიშნულია: „ალთამი (გლ.) – თივის ბულული, რომელსაც ხის

შტოზე დებენ და ფერდობიდან თრევით ჩამოაქვთ ვაკე ადგილას, სადაც ზვინად დგამენ“. აღნიშნული ტოპოლექსემა არ ჩანს ქვემო რაჭისა და ზემო რაჭის, ლეჩხუმის, იმერეთის ტოპონიმურ მასალაში. სავსებით მისაღებია რესპონდენტის ინფორმაცია, რაც ალ. კობახიძისეულ სალექსიკონო განმარტებას ეხმაურება: „ალ-თამი არის თივა, ტოტზე დაწყობილი, რომელსაც ჩამოიტანენ მთიდან ზვინის დასადგმელად. ბაჟანაზე დიდია. ბაჟანას მაკულასაც ეძახიან. ალთამში შედის 5-7 მაკულა“. მაკულა, აგრეთვე, გლოლური თქმის ლექსიკური ერთეულია. ალ. კობახიძე განმარტავს: „მაკულა – მოფოცხილი თივა ზვინის დასდგმელად; ბულული“. ტოპონიმი წარმოქმნილია სემანტიკურ-მორფოლოგიური ტოპონიმიზაციის გზით.

საბაჟნე

საბაჟნე – სათიბი საარნივეში (რივნისთავი).

საბაჟნეები – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).

ტოპოლექსემა ბაჟანი არც ქეგლ-ში ჩანს და არც ალ. ღლონტის მიერ შედგენილ „სიტყვის კონაში“. იგი არც ზემო რაჭის, ქვემო რაჭის, ლეჩხუმისა და იმერეთის ტოპონიმიაში არის და-დასტურებული. ერთადერთი ნაბეჭდი წყაროა ალ. კობახიძის მიერ შედგენილი „რაჭული დიალექტის ლექსიკონი“, სადაც ვკითხულობთ: „ბაჟანი//ბაჟანა (გლ.) – მომკილი პურის 10–20 კონა ერთად (უსაროდ) დადგმული“. უფრო დაწვრილებითია რესპონდენტის განმარტება: „ბაჟანა თივის პატარა ზვინია, ბზის ტოტზე დაყრილ-დამაგრებული. მიათრევდნენ სათივემდე. ერთ ზვინს სჭირდება 5–6 ბაჟანი“. მაშასადამე, საბაჟნეც, ისევე როგორც საალთმები, სამოძიგვე, საშვები და სხვ., თივის მოპოვებასა და ჩამოტანასთან დაკავშირებული ტოპონიმია.

საბიდილე

საბიდილე – ნატყევარი საბიდილე ლელის (ლათქიშორის მარცხ. შენაკადი) ნაპირას (პ. ლები).

ქეგლ-ი ვ. ბერიძეზე მითითებით აღნიშნავს: „ბიდილი – ხის დიდი კოდი“. თითქმის ასეთივეა აღ. კობახიძის განმარტებაც: „ბიდილი (გლ.) – სხვადასხვა დანიშნულების ხის კოდი“; „ქართული დიალექტოლოგიის“ | ტომში ვკითხულობთ: „ბიდილი – კასრი, დიდი კოდი საფუარის ჩასაყენებლად, ნალების, ხაჭოს, ან ყველის შესანახად“. ზემო რაჭის, ქვემო რაჭის, ლეჩხუმისა და იმერეთის ტოპონიმიაში საბიდილეც (ან ოდენ „ბიდილი“) არ ჩანს. მისაღებია რესპოდენტთა განმარტებანი: „ბიდილი ყველის კასრია, ხისგან გაკეთებული“; „საბიდილე იმიტომაა, აქ ბიდილას ამზადებდნენ. ბიდილა არის კასრი, ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილი“.

სამაჩეჩურე

სამაჩეჩურე – სათიბები ზეხენიერში. ლეჩხმელეეთს ზემოთ (პ. ღები).

მაჩეჩური და სამაჩეჩურე ქეგლ-სა და ახლომახლო დიალექტების ლექსიკონებში არ ჩანს. რესპოდენტის განმარტება კი სანდოა: „მაჩეჩური ბალახია, თომს ჰგავს და იყენებდნენ ქალამნის ჩასაფენად“. მაშასადამე, სამაჩეჩურე ის ადგილია, სადაც მაჩეჩური ხარობს,

სამოძიგვე//ზედვაკე

სამოძიგვე//ზედვაკე – სათიბი ჩხოჭის მთაზე (შოვი).

ერთადერთი წყარო, სადაც განმარტებულია ეს ლექსიკური ერთეული, არის აღ. კობახიძის „რაჭული დიალექტის ლექსიკონი“: „სამოძიგვე (გლ.) – ვაკე ადგილი, სადაც თივის ზვინებს თავს უყრიან, რომ ზამთარში ზვავებმა არ გაიტანოს“. ამავე შინაარსს შეიცავს რესპოდენტის განმარტებაც: „სამოძიგვეს ვეძახით თივის თავმოსაყრელ ადგილს. რო მოთოვს, ჩამოაცურებენ“. ამოსავალი ფუძე მოძიგვ- ჯერჯერობით უცნობია.

საჟრუნე

საჟრუნე – მთა-საძოვრები კირტიშულის ზემოთში (ჩვეშურა).

რესპონდენტთა ჩვენებით, ურუნი მთის ინდაურია. ქეგლ: „ურუნი (ძვ.) – იხ. შურთხი“, ხოლო შურთხი არის მოზრდილი ფრინველი ქათმისებრთა ოჯახისა. ს.-საბაც აიგივებს: „ურუნი (ფრინვ.) – შურთხი“. „სიტყვის კონა“ იმეორებს ჭიორელი მ. რეხვიაშვილის განმარტებას: ურუნი – გარეული ქათამი. „რაჭული დიალექტის ლექსიკონსა“ და სხვა დიალექტურ ლექსიკონებსა თუ ტოპონიმურ მასალებში ურუნი არ დასტურდება. ე. ი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ურუნი მხოლოდ და მხოლოდ მთარაჭულის ლექსიკური ერთეულია.

საშვები

საშვები – 1. სათიბი ხვარძახეთში (ჩვეშურა); 2. სათიბი პატარა ზოფხითოში (რივნისთავი).

ერთადერთი წერილობითი წყარო, სადაც საშვები განმარტებულია, ოღონდ არა ჩვენთვის საჭირო მნიშვნელობით, არის ქეგლ-ი: „საშვები – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადმეშესვლის უფლებას“. ლექსიკონებში არ ჩანს ზმნური ფუძე ჩამოშვებაც, რომლის მიმღეობასაც წარმოადგენს საშვები. ლოგიკურ-მოტივაციური თვალსაზრისით მისაღებია რესპონდენტთა განმარტებანი: „საშვები თივის ჩამოსაშვები ადგილია“; „საშვები არის თივის ჩამოსატანი ადგილი. გავაბამთ თივებს ჯაჭვებით და ჩამოდის დიდყანამდე“.

საწყვეტელა

საწყვეტელა – ვაკე-სათიბები ჩვეშურის მარცხ. მხარეს (ჩვეშურა). აქედან გაედინება საწყვეტელას რუ – ჩვეშურის მარცხ. შენაკადი.

ქეგლ-ში დაფიქსირებულია ზმნა **მოწყვეტა** და სათანადო მიმღეობა **საწყვეტი** – „უნაგირის კეხზე ჩაბმული ორწვერა თასმა ნაბდის, ხურჯინის და სხვ. ჩასაკრავად“. რესპონდენტი განმარტავს: „საწყვეტელა იგივე მრავალძარღვაა. ფოთლებს მოწყვეტდნენ და წამლად ხმარობდნენ“. მართლაც, როგორც ქეგლ-

გვამცნობს, მრავალძარღვა მრავალწლოვანი ბალახია... ფოთ-ლები იხმარება ხალხურ მედიცინაში.

მაშასადამე, საწყვეტელას პირველადი მნიშვნელობა ისაა, რომ იგი საზოგადო სახელია და, როგორც ასეთი, სემანტიკური ტოპონიმიზაციით იქცა საკუთარ სახელად – ტოპონიმად (აქვე წარმოვადგენთ რესპონდენტთა განმარტებებსაც, რომელთაც ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს: „პატიმრებს ამუშავებდნენ და განწყვეტილან“; „ძველი სამოსახლოა, რომელიც მოწყვეტილი იყო მთას“).

ქამბოხი

ქამბოხი – ვოკლუზი ქამბოხირუს (ხვარგულის შენაკადი) სათავესთან (ჩვეშურა).

სიტყვა ქამბოხი შესულია ალ. კობახიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში: „ქამბოხი (ზმ.) – ბოლომდე დაუდუღებელი, დაუმაფრებელი, ფუცხუნა ტკბილი, მუავე წყალივით შეფეხს რომ ისვრის; ამბოხი“; ი. ჭყონია გვაუწყებს: „ქამბოხი (რაჭ.) დადუღებული ტკბილი დამაჭრებამდე“. სხვა ლექსიკონებსა და მეზობელი დიალექტებისა თუ კილოკავების ტოპონიმიაში არ დასტურდება. რესპონდენტისეული განმარტება: „მყინვარს ქვემოთ ერთბაშად გამოდის მთელი მდინარე და იშხეფება. ესაა ქამბოხი“. როგორც ჩანს, ქამბოხი მეტაფორული ტოპონიმია.

ყაია

ყაია – საძოვარი სოფ. ღების განაპირას (ღები).

ტოპოლექსემა ყაია არც ერთ ლექსიკონში არ ჩანს. რესპონდენტის განმარტება კი ასეთია: „ყაია ნიშნავს მიუვალ, საშიშ, ციცაბო ადგილს. ყაიებში მოვხვდიო, იტყვიან, როცა გლახა ადგილია“.

შეხერილი

შეხერილი – ტყე-ხევი, სადაც გაედინება დღვიორა. იყოფა: გამოღმა შეხერილი (ტყე-საძოვრები ხევის მარცხ. მხარეს) და გაღმა შეხერილი – ტყე ხევის მარჯვ. მხარეს (შოვი).

ქეგლ-ში შეხერება არ ჩანს, ხოლო „შეხირება“ ნიშნავს: „შეხეტება, შესვლა, ახირება; დავა, წაჩხუბება; შეეხირება – შევა, შეეხეტება“. რესპოდენტი: „შეხერილი არის შეჭედებული, ვიწროდ შეჩხირული რამე“. ხევი, რომელსაც ეწოდება შეხერილი, მართლაც ვიწროდაა შეჩხირულ-შეჭედებული.

ცეცონი

ცეცონი – სათიბი კოდნარულასა და საწყვეტელას შუა (გლოლა).

ლექსიკონებში ეს ლექსიკური ერთეული არ ჩანს. რესპოდენტი განმარტავს: „ცეცონი ცერა ფერდობია“.

ძვირი

ძვირი – სათიბი თევრეშოში (ღები).

ძვირები – სათიბები ხვრელიეთოს კალთაზე, ზოფხითურის მარჯვ. მხარეს (რივნისთავი).

ქიზიყურ კილოკავში **ძვირი** ნიშნავს ბოროტს, ავსიტყვას. ქეგლ-ის მიხედვით, ძვირი პოლისემანტიკური სიტყვაა: „**ძვირი** – 1. დიდი ფასის მქონე; ძვირფასი, ძალიან კარგი; 2. არახშირი, იშვიათი; 3. (კახ.) ძნელად საშოვნელი, ძნელი; 4. ცუდი, ავი, ბოროტი რამ; 5. (ძვ.) – ძუნნი, გაუმეტებელი“. ქიზიყურ კილოკავში ძვირი ნიშნავს „ბოროტს, ავსიტყვას“. აქვე ვითარების გარემოება **ძვირად** ამგვარადაა განმარტებული: „ძნელად, იშვიათად“. სწორედ ეს სემანტიკა ნაწილობრივ მაინც შეეფერება რესპოდენტისეულ მოტივაციას: „ძვირად ითიბება, ე. ი. ხანდახან, თუკი გაზაფხულზე საკმარისად მოწვიმს. ამიტომაა ძვირი“.

ნარბენილა

ნარბენილა – დაქანებული ვაკე ძველ გლოლაში (გლოლა).

ქეგლ- VIII: „ნარბენა – რისამე ან ვისიმე წინ ნასწრება, თავის დავლა რბენით“. დიალექტურ ლექსიკონებსა და ტოპონიმურ მასალებში „ნარბენილი“ არ ჩანს. ჩვენი აზრით, მისაღებია რესპოდენტისეული განმარტება: „ნარბენილი ნიშნავს დაქანებულს, მარხილი რო გააქანებს ცხენსა თუ ხარს“.

ჯიროლი

ჯიროლი – წყარო სოფ. გონას (ღების თემი) განაპირას. აქვეა სახნავი – ჯიროლიყანა.

„სიტყვის კონაში“ ჯიროლი, მ. რეხვიაშვილზე მითითებით, ასეა განმარტებული: „ჯიროლი (რაჭ.) – საქონლის წყლის სას-მელი დიდი ვარცლისმაგვარი ჭურჭელი“. ქეგლ-, როგორც ჩანს, ამასვე იმეორებს: „ჯიროლი (რაჭ.) – დიდი გობი, რომელსაც წყაროს უდგამენ საქონლისათვის წყლის დასაგროვებლად“. სხვა ლექსიკონებსა და მეზობელი დიალექტებისა თუ კილოკავების ტოპონიმიაში არ დასტურდება. ტოპონიმი წარმოქმნილია სემან-ტიკური ტრანსონიმიზაციის გზით: სამეურნეო დანიშნულების საგნის სახელი იქცა ჰიდრონიმად.

საერთო აზრი იმ მკლევრებისა, რომლებიც რაჭულ კილოს სწავლობდნენ, ასეთია: რაჭული დიალექტური სიტყვების ერთი ნაწილი ლოკალურად შეზღუდულია ერთი ან ორი კილოკავის ფარგლებით (ზოგჯერ – ერთი-ორი სოფლის მეტყველებით). ზე-მოთ წარმოდგენილი ტოპონიმური მასალაც ამას ადასტურებს.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ბერიძე, 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმითა, СПб., 1912.
2. თოფურია, 1961 – ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, ქესს, ტ. II, 1961.
3. კობახიძე, 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენელი ალ. კობახიძე, 1987.
4. მაკალათია, 1930 – ს. მაკალათია, მთის რაჭა, ტფილისი, 1930.
5. მაყაშვილი, 1991 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენა-რეთა სახელწოდებანი), თბ., 1991.
6. სიტყვის კონა, 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემ-დგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.
7. ქართ. დიალექტოლოგია, 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

8. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
9. ცხადაია, ჯოვანა, 2003 – პ. ცხადაია, ვ. ჯოვანა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003.
10. ძიძიგური, 1954 – შ. ძიძიგური, რაჭული დიალექტი: ძიებანი ქართული დიალექტოლოგიადან, თბ., 1954.
11. ჭყონია, 1910 – ილია ჭყონია, სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, СПб, 1910.

Paata Tskhadaya

MOUNTAIN RACHIAN LEXEMES IN MOUNTAIN RACHA'S TOPOONYMY

Summary

Mountain Rachian Georgian is a model of “archaic dialects” (Sh. Dzidzguri). This sub-dialect is spread in the upper part of the Rioni Gorge (6 villages of Ghebi, Tchiori and Glola communities). A complete toponymic description of mountain Racha revealed some geographical names an initial stem of which occurs only in mountain Rachian sub-dialect, or it represents a phonetic-semantic variety of a lexical entry of other Georgian sub-dialects and dialects. The semantics of an initial stem of the main part of the below-mentioned toponyms has not been studied until now. These toponyms are attested only in Mountain Racha: **Nartkela, Nakhergulevi, Saaltmebi, Sabazhne, Sabidile, Samachechure, Samodzigve, Sazhrune, Sashvebi, Satskvetela, Kambokhi, Kaia, Shekherili, Tsetsoni, Dzviri, Tsarbenila, Jiroli**.

ზეპირმეტყველებაში გამოყენებული ჩანართები¹

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

მეტყველების ზეპირი ფორმა გულისხმობს როგორც სასა-უბრო მეტყველებას, ასევე ლექცია-მოხსენებას. ეს უკანასკნელი შესაძლოა წინასწარ იყოს მომზადებული წერილობით ან გონებაში და ზეპირად ითქვას. სასაუბრო და სალექციო ზეპირი მეტყველების განსასხვავებლად შემოღებულია ცნებები: სპონტანური მეტყველება – არასპონტანური მეტყველება² (ნ. კიზირია, 1987, 64). წინამდებარე სტატიაში სწორედ სპონტანური ანუ წინასწარმოუმზადებელი მეტყველება გვაქვს მხედველობაში, ამიტომაც ზეპირი, ცოცხალი და ხალხური მეტყველება ერთმანეთის ტოლფარდადა მიჩნეული.

ექსპერიმენტით დადასტურებულია, რომ წინასწარი მომზადების გარეშე გადმოცემულ კონსტრუქციებს ზედმეტსიტყვიანობა ახასიათებთ (ნ. კიზირია, იქვე). ის, რაც ზედმეტია გრამატიკული თვალსაზრისით, აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის შემცველია ფუნქციურად (რ. ასათიანი, 2009, 12). ამგვარი ფუნქციით დასტურდება მეგრულში ჩანართები, რომელთაც განსხვავებული პოზიცია აქვთ კონსტრუქციაში: ზოგი თავში დგას, ზოგიც შუაში.

¹ ბ-ნ შოთა ძიძიგურის ყავლგაუვალ დებულებათაგან ერთ-ერთია უმწერლობო ენებში ჰიპოტაქსის ჩასახვა და განვითარება დამოუკიდებლად, სალიტერატურო ენის გავლენის გარეშე. წინამდებარე სტატიაც არის ნაწილი კვლევისა, რომელიც მეგრული ჰიპოტაქსის საკითხებს მიეძღვნა და ამ დებულების სისწორე კიდევ ერთხელ დადასტურა.

² ეს ტერმინები ეკუთვნის მ. დოლინის. ვიმოწმებთ ნ. კიზირიას ნაშრომს (კიზირია, 1987).

ჩანართებად გამოყენებული დესემანტიზებული ლექსიკური ერთეულებია:

- ვა-რე-ნ-ო

va=re-n=o

NPTC=be.PRS-S3.SG=QPTC

- ვა-რ-დ-უ-ო

va=r-d-u =o

NPTC=be.PST-IMP-S3.SG=QPTC

მათი თვისება – წინადადებაში ჩართვა – შენიშნული ჰქონდა ი. ყიფშიძეს და უნოდებდა „წინადადებაში ჩართულ წინადადებებს“ (И. Кипшидзе, 1914, 0144-0145; 301). ისინი დასტურდება ყველა საკავშირებელი საშუალებით გაფორმებულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში.

მაგალითები:

თიში მათხუალი მით **ვარენო** ქემურსენ, თის უნიინა (ხუბ., 102,24) „იმის მთხოვნელი ვინც (+არ არის?) რომ მოვა, იმას ეტყვიან“. მუთ ბერტეფი **ვარენო** ეთქმოცენს თუ ხონუასენი, არძას ჭკომუნს გუთანიშ გიმაცვენჯი კოჩი. „რაც ბელტები (+არ არის?) (+რომ) ცვივა (+ამ) ხვინისას, ყველას ჭამს მხვნელი /„გუთნის მიმყოლი“ კაცი (დან. ცან., 132,18-19). მუსამ **ვარენიავო** მა გამიჭირდგნიან, თიმწკვმა რაში სოფუას დიღჭყანსია ჯაჭვიში (ხუბ., 297,8), „როცა || რაჭამს (+არ არის?) მე რომ გამიჭირდებაო, მაშინ რაში ჯაჭვის დაგლეჯას დაიწყებსო“. მუჭო **ვარენო** ხოლოშა ქუმორთას გვერშაპიქინ, სქანი ჩქვა ქუმკუცოთი დო ეკი გეკაცოთია. „როგორც კი (+არ არის?) ახლოს მოვიდეს (+რომ) გველეშაპი, შენი ეშვი გაუყარე და ზევით ამოაგდეო (დან. ცან., 102,12). მუჭოთ **ვარდუო** კერინკუმა ღოლესენი, თეში ქიმინეს ირფელი. „როგორც (+არ იყო?) ტახთან რომ მოიქცნენ, ისე გააკეთეს ყველაფერი (დან. ცან., 98,14). ე ბოშიქ მუშ ოზეს, სიდეთი თი გვერი **ვარდუო** გიოცოთგნი, თი არდგის ბრეელი ხვითოეფი... ქოძირგ. ჰ „ამ ბიჭმა თავის ეზოში, სადაც ის გველი (+არ იყო?) რომ დააგ-

დო, იმ ადგილას ბევრი ხვითოები... ნახა“ (დან. ცან., 226, 35). სი მუთ ვარდუო ქომიწინი, ირფელი მართალი ცოფე (ხუბ., 18,5) „შენ რაც (+არ იყო?) რომ მითხარი, ყველაფერი მართალი ყოფი- ლა. ...სი ქოგიჩქნია სქანი მუმა ხენწიფეში ზოჯუა – ნამუთი ვარდუო მიძინანდით გორჩქინელი ოჭკომალიში ჟინი, თ(ი)ნა ზღვაშა გეგნვოცოთითკონი (ხუბ., 94,30–31). „შენ იცი შენი მამის – ხელმწიფის ბრძანება, რომელიც (+არ იყო?) რომ მოიმატებდით დაწესებული ნორმის //საჭმლის“ ზევით, ის ზღვაში უნდა გადაგ- ვეგდო. მუჟანს ვარდუო ათენა გონგმინდგნი, თინკვემა დემენქ ქუციუ (ხუბ., 205, 5–6), „როცა/რაჟამს (+არ იყო?) ეს რომ გაანად- გურა, მაშინ დევები მისცვივდნენ /შემოეხვივნენ“.

ეს ჩანართები თავისებურად წარმოითქმის, კერძოდ, ინტო- ნაციური მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე. ცნობილია, რომ მეგრულში კითხვითობას სპეციალური მარკერი გამოხა- ტავს, რომლის წინამავალ ხმოვანს მოუდის ინტონაციური მახ- ვილი. კონსტრუქციიდან ჩანართების ამოღებით შინაარსი არ შე- იცვლება, დაიკარგება ემოციონალური ტონი, რომელიც გამო- ყოფს, ხაზს უსვამს მის წინ მდგომ სიტყვას. მეგრულში ისეთი კონსტრუქციებიც დასტურდება, როცა სემანტიკური ფუნქცი- ისაა არა მარტო ამ ტიპის ჩანართები, არამედ დამოკიდებული წინადადების პრედიკატიც.

მაგალითად,

ათე მონადირე კოჩი ვარენო რენი, თექ იფიქრგ. „ეს მონა- დირე კაცი (+არ არის?) რომ არის, ამან იფიქრა“ (დან. ცან., 242, 48). შდრ: ათე მონადირე კოჩქ იფიქრგ. „ამ მონადირე კაცმა იფიქრა“. ეზმა ხანს თეშ და-ცონერი ვარდუო რდგნ, თინა ქიმეჩგჲ მაზაკვალ ოსურქ ქომონს, თი ბოშის. „ამასობაში//ამდენ ხანს“ ამის ნახევარდა (+არ იყო?) რომ იყო, ის მიათხოვა მზაკვარმა ქალმა ქმარს, იმ ბიჭს“ (დან. ცან., 200, 22). შდრ: ეზმა ხანს თეშ და-ცონერი ქიმეჩგჲმაზაკვალ ოსურქ ქომონს. „ამასობაში ამის ნახევარდა მიათხოვა მზაკვარმა ქალმა ქმარს“.

იახანი/იახადო ჩანართების აგებულება გამჭვირვალეა: „დიახ რომ“/„დიახ და“.

iaxa=ni / iaxa=do

ok=CONJ(that) / ok=CONJ(and)

ესენი შეიძლება გართულდეს სხვა ლექსიკური ერთეულით და გვქონდეს: **იახა სქან ჭირიექუნი** „დიახ რომ შენი ჭირიმე“. ჩართულია აგრეთვე **მა დოილური** „მე მოგიკვდი“, შდრ: ქართ. „მე მოვკვდე“, „შენ მოგიკვდა ჩემი თავი“, **ქოჩქუ** „ქე იცი“, **ქი-გამგომ**? „ქე გამიგე?“ **ქირჩქილექო?** „ქე გესმის?“ შესიტყვებები.

მაგალითები:

მა თექ ქემევრთი, **იახადო**, თიქ მეჩიუ თე ამბე (ექსპედ. მას.). „მე იქ მივედი, დიახ-და, მან მომითხრო ეს ამბავი“. თეჯგურა ამბე, **მა დოილური**, სოთინი ქიგეგონებედა (ექსპედ. მას.). „ასეთი ამბავი, მე მოგიკვდი, სადმე თუ მოისმინება / „გაიგონება“. წის-ქვილიშა მითილესგნ, **ქოჩქუ**, მეწისქვილექ ხოლოშა ვამორთავა უნუ (ექსპედ. მას.). „წისქვილში რომ შევიდნენ, ქე იცი, მეწის-ქვილემ ახლოს არ მოხვიდეო უთხრა“.

შემდეგი ჩანართების სტრუქტურა ასეთია:

ქორენი „ქე არის რომ“

ko=re-n=i

PPTC=be. PRS-S3.SG=CONJ(that)

დუნი „იყო რომ“

d-u=ni

(be. PST)-IMP-S3.SG=CONJ(that)

ონი¹ „ არის რომ“

o-n=i

be. PRS-S3.SG=CONJ(that)

მაგალითები:

¹ ბ-ნ გ. კარტოზიას აზრით, „ონი“ ფორმაში თავკიდურა „ო“ დადას-ტურებითი ნაწილაკის ნაშთი უნდა იყოს. შდრ: ქართ. ჰოდა, მეგრ. ოდო (გ. ელიავა), ლაზ. ედო, ეში (გ. კარტოზია).

შქასერი **ქორენი**, ეფერი დროს ძღაბის გიასიზმარგ. „შუალამე „ქე“ რომ არის, ამ დროს გოგოს დაესიზმრა“ (დან. ცან., 152,1)¹. **ქოორე** თაშინი, ამუდღა **რე**, ჭუმე **რე**, გიღანი **რე**, თე მარას, თი მარას, ათე თუთას, თი თუთასნი, მიშეელჲ ჯარი დო გონებაშა. „ქე რომ არის ასე, დღეს (+არის), ხვალ (+არის), ზეგ (+არის) ამ კვირას, იმ კვირას, ამ თვეს, იმ თვეს რომ [არის], ჯავრსა და ფიქრში ჩავარდა/„შევიდა“ (დან. ცან., 2268-9). **დუნი**, თე ამბე თაშ ქომოხვადუდუნი, მითინს ვაუჩუდუ (ექსპ. მას.). „რომ იყო, ეს ამბავი ასე რომ მოხდებოდა, არავინ არ იცოდა“. **ონი**, დემქ გიმიჯინგჲ დო ქოძირგ, მუჭო სხული გედგანი (ხუბ., 245,11). „რომ არის, დევმა გამოიხედა და დაინახა, რომ მსხალი დგას; **ონი**, ქოძირეს, მუჭო ფარაშ ნაზგმა დგნი (ხუბ., 118,17). „რომ არის, „ქე“ ნახეს, რომ ფული იყო (იმით) ნაზომი“.

როგორც დამონშებული მაგალითები გვიჩვენებს, ეს ერთეულები იწყებენ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას. მათთან მთხრობელი ერთგვარად ინტონაციურ პაუზას აკეთებს და შემდეგ აგრძელებს თხრობას, რაც ხელს უწყობს სიუჟეტის შეკვრას.

ამ ტიპის მოვლენები დასტურდება არა მარტო მეგრულში, არამედ ქართული ენის დიალექტებში. სოჭელ იმერელთა და ლეჩხუმელთა მეტყველებაში ხშირია **ხო** ნაწილაკისა და რიტორიკული მნიშვნელობის მქონე წინადადების – **თუ იცი** ხმარების შემთხვევები. ამათი დანიშნულებაა, დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული შინაარსისთვის ხაზის გასმა. მაგალითად, **ვინც** დასახლებულა აქ **ხო**, გაუთავისუფლებია². **რაცხა** გლახა ამინდებია **ხო**, იქიდან გოუშობენ წყალს (ო. მიქიაშვილი, 1994, 89). სალიტერატურო ქართული თითქოს ანალოგიურ მდგომარეობაში „არა“ ნაწილაკს არჩევს (იქვე, 89). არა მარტო სალიტერატურო ქართული, არამედ ქართული ენის დიალექტებიც იყენე-

¹ მძიმე შეიძლება გადაწეულ იქნეს ორი ერთეულით: შქასერი ქორენი ეფერი დროს... „შუალამე ქე რომ არის ისეთ დროს...“.

² აღსანიშნავია, რომ ინტონაციური მახვილი სწორედ „ხო“ ნაწილაკზე მოდის, რაც ხელს უწყობს მისი ფუნქციის გამოკვეთას.

ბენ უარყოფის „არა“ ნაწილაკს დადასტურების მნიშვნელობით. შდრ: გურულისა და იმერულის მაგალითები: ქე რო დევეცი, მერე ასე მაქ ფეხი (იმერული). იქიდან რომ დაბრუნდება არა, მაშინ, უნდა იკითხო მისი ამბავი (გურული).

როივე ამ ტიპის ნარმოების ფუნქციური ახსნა საერთო საფუძველს ეყრდნობა, ესაა: განსაზღვრულობის, ფაქტის „ცნობილობის“ დადასტურების საჭიროება (ქ. ლომთათიძე 1988, 44). უარყოფის ვარ- „არა“ ნაწილაკი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ამავე პოზიციაში და ამავე მნიშვნელობით მეგრულშიც გვხვდება. მაგალითად, სი თექ დოიდვალ სიტყვა, ნამუდა დუდი მეპკვათით, მა ათე საქმექ ათაში ვამაქიმინუდა, ვარო? (ხუბ. 18,12-13). „შენ იქ გითქვამს/„დაგიდვია სიტყვა“, რომ თავი მომჭერით, ეს საქმე ასე თუ ვერ გავაკეთე, არა?“

როგორც ჩანართების სტრუქტურული ანალიზიდან ირკვევა, გამოიყოფა „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი და წარსული დროის ფორმები და „რომ“-ის ფარდი კავშირ-ენკლიტიკა –ნი. ამ გრამატიკული ოდენობებისთვის სემანტიკური ფუნქცია უცხო არ არის. მხედველობაში გვაქვს „რასაა, რომ აკეთებ“ ტიპის კონსტრუქციები მეგრულში (დაწვრ. იხ. მ. ლომია, 2005, 136-170).

ამრიგად, ჩანართების ფუნქციაა ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა თუ კონსტრუქციაში მოცემული აზრის კონკრეტიზაცია-დეტალიზაცია.

დამონშებული ლიტერატურა

1. რ. ასათიანი – რ. ასათიანი, ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, კრებულში: „ინფორმაციის სტრუქტურების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში“, თბილისი, 2009.
2. ნ. კიზირია, 1987 – ნ. კიზირია, სალიტერატურო ქართველის ინტონაციის საკითხები, თბილისი, 1987.
3. И. Кипшидзе, 1914 – И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) Языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914.

4. ქ. ლომთათიძე 1988 – ქ. ლომთათიძე, ქართულ დიალექტებში და-მოკიდებული წინადადების გამოხატვის ფუნქციური საფუძველი, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
5. მ. ლომია, 2005 – მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი, 2005;
6. ო. მიქიაშვილი, 1994 – ო. მიქიაშვილი, სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება, თბილისი, 1994.

შემოკლებანი

დან. ცან. – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზღაპრები და მცირე უანრები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისი, 1991.

ექსპედ. მას. – 2007–2010 წლებში სამეგრელოში მოწყობილი ლინგვისტური ექსპედიციის მასალები.

ხუბ. – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

Maia Lomia

THE INSERTIONS USED IN ORAL SPEECH (STRUCTURAL-SEMANTIC ANALYSIS)

Summary

The present article represents a structural-semantic analysis of insertions evidenced in oral speech not prepared in advance. The published Megrelian texts and recorded materials of linguistic expeditions in Samegrelo region are used as a material for analysis. The examples of constructions with insertions are cited from the Georgian dialects as well. The function of insertions of such type is to itemize and concretize the idea of a separate lexical unit or a whole construction.

კახა გაბუნია

გარემოებისა და უბრალო დამატების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

ქართული ენის გრამატიკის სწავლებისას ერთ-ერთი „უხერხული“ სადაო საკითხია უბრალო დამატებისა და გარემოების გარჩევა; მხედველობაში გვაქვს „უჯრაში დევს“, „მაგიდაზე დავდე“, „სახლისკენ წავიდა“ / „კაცისკენ წავიდა“ ტიპის მაგალითები.

წინამდებარე სტატიაში შევეხებით 2 ტიპის პრობლემას: ერთი მხრივ, ქართული ენის მასწავლებელთა მუდმივ „გასაჭირს“ – რა კრიტერიუმის მიხედვით მიეცეს კლასიფიკაცია „უჯრაში დევს“, „მაგიდაზე დავდე“ წინადადებებში თანდებულიან ფორმებს (გარემოებაა თუ უბრალო დამატება?), ხოლო, მეორე მხრივ, „სახლისკენ წავიდა“ / „კაცისკენ წავიდა“ მაგალითებში – აბსოლუტურად ერთგვარი სინტაქსური მიმართების შემთხვევაში – თანდებულიანი სახელით გამოხატული წინადადების წევრისათვის განსხვავებული სტატუსის მინიჭებას (ჟ. ფეიქრიშვილი, 1996, 126–127).

ვფიქრობთ, აუცილებელია მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემასიოლოგიური ანალიზის სფეროთა მკვეთრი გამიჯვნა – საკითხისადმი მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპით მიდგომა. ცხადია, რომ ნებისმიერი კონკრეტული, ცალკე აღებული ენის გლობალური სისტემის ანალიზის დროს იმთავითვე უნდა უკუვაგდოთ აზრი მცდელობისა, ავაგოთ ეს სისტემა სხვა ენის სისტემური კანონზომიერებებიდან ამოსვლით; ეს, რასაკვირველია, ეხება სინტაქსურ მიმართებებსაც (ენის გლობალური სისტემის შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს, **ქვესისტემას**) – ქართულ ენაში წინადადების წევრთა გამოყოფის საფუძვლები განსხვავებულია არამონათესავე ინდოევროპული (ლათინური, სომხური, ბერძნული, რუსული, ინგლისური) ენების

შესაბამისი წესებისაგან – ამდენად, ის ლოგიკური შეუსაბამობანი, ხშირად აშკარად ნაძალადევი პოსტულატების მიღება, სწორედ ქართული ენისათვის უცხო მზა გრამატიკული მოდელების კალეირების, ხელოვნურად გადმონერგვის შედეგია.

თავისთავად ცხადია, რომ ქართულ ენაში სინტაქსური კატეგორიების – წინადადების წევრების – გამოყოფა მხოლოდ კითხვების დასმის საშუალებით არ უნდა ხდებოდეს: სწავლების პროცესში კითხვის დასმა მასწავლებელმა, შესაძლებელია, გამოიყენოს დამხმარე საშუალებად მოსწავლისთვის საკითხის არსში უკეთ გასარკვევად, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რა კითხვას დავუსვამთ წინადადების ამა თუ იმ წევრს, მისთვის სტატუსის მინიჭება დაუმვებელია... კითხვა „რაზე / რაში“? თუ „სად“? – ამის მიხედვით „უჯრაში“, „მაგიდაზე“ ფორმათა უბრალო დამატებად თუ ადგილის გარემოებად მიჩნევა ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს არის მოკლებული...

ლ. კვაჭაძის, მ. თალაკვაძის, გრ. ბერიძის, ალ. ფოცხიშვილის, ე. კოშორიძის, ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომებში (კვაჭაძე, 1988 თალაკვაძე, 1971, ბერიძე, 1971, ფოცხიშვილი, 1956, კოშორიძე, 1985, ფეიქრიშვილი, 1996) მოცემულია მცდელობა, გამოიკვეთოს წესები, რომელთა მიხედვითაც გამიჯნება უბრალო დამატება და ადგილის გარემოება; მაგალითად, ასეთი: „თუ მიცემითის თანდებულები ერთვის ვინ ჯგუფის სახელს, მაშინ გამოსაცნობი წევრი უბრალო დამატება იქნება“; „თუ-ში თანდებულიან სახელთან აზრობრივად ჩაისმება შიგ ზმნიზედა, მაშინ ადგილის გარემოებაა“; „თუ-ზე თანდებულიან სახელთან აზრობრივად ჩაისმება ზედ ზმნიზედა, მაშინ იგი ადგილის გარემოებაა და არა უბრალო დამატება“ (ჟ. ფეიქრიშვილი, 1996, 126–127)...

ყველა შემთხვევაში წინადადების წევრთა გამიჯვნის „საკონტროლო საშუალებად“ გამოყენებულია სემასიოლოგიური (აზრობრივი) ნიშანი; მაგალითად, უაღრესად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა სინტაქსური მიმართების სახის გასარკვევად

სულიერი-უსულოს გარჩევა... ამ მხრივ -კენ თანდებულიანი სახელის კვალიფიკაციის თაობაზეც აზრთა სხვადასხვაობაა:

„-კენ თანდებულიანი სახელი უბრალო დამატებაა მაშინ, თუ ის სულიერ სახელს დაერთვის“ (თალაკვაძე, 1959, 311; იხ. აგრეთვე დავითიანი, 1973).

ა. კიზირიას დასკვნით, „-კენ თანდებულიანი სახელი პირმიუმართავი დამატებისა და ადგილის გარემოების მიჯნაზე აღმოჩნდა“ (კიზირია, 1982).

ა. შანიძე და ლ. კვაჭაძე სასკოლო სახელმძღვანელოებში – კენ თანდებულიან სახელს, „უგამონაკლისოდ, ადგილის გარემოებად მიიჩნევენ; ლ. კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „...არაა სარწმუნო საკონტროლო საშუალებად სულიერ და უსულო საგანთა დაპირისპირების გამოყენება“... (კვაჭაძე, 1988).

სინტაქსური კატეგორია – წინადადების წევრი – მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპის გათვალისწინებით, რასაკვირველია, სინტაქსური ნიშნის მიხედვით უნდა გამოყოს. ამდენად, უნდა გამოიძებნოს ის სანდო კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, ვთქვათ, დამატების სინტაქსური კატეგორია დაუპირისპირდება განსაზღვრების თუ გარემოების კატეგორიებს. ასეთ კრიტერიუმად გვევლინება სინტაქსური მიმართების სახე წინადადების სხვა წევრებთან (და არა მორფოლოგიური თუ სემასიოლოგიური ნიშნები).

შესიტყვებას ქმნის დამოკიდებულება სიტყვათა შორის (დავითიანი, 1973, 293). ქართულისთვის ამ დამოკიდებულების სიტყვის გარკვეული ფორმით გამოხატვის საშუალებაა დამახასიათებელი (დავითიანი, 1973, 293).

აღსანიშნავია, რომ გარემოების განსაზღვრა, როგორც წესი, სემასიოლოგიური ნიშნების მიხედვით ხდება: „გარემოება არის არამთავარი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, ზომა-ოდენობას ან ხარისხს რაიმე ნიშან-თვისებისას...“ (კვაჭაძე, 131); აქვე ხაზგას-

მულია, რომ „გარემოება მირთული წევრია წინადადებისა“ (კვაჭაძე, 131).

წინადადების სტრუქტურისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სინტაქსური მიმართების ისეთ სახეს, როგორიცაა დაქვემდებარება (კვაჭაძე, 15). დაქვემდებარების 2 ფორმა გამოიყოფა – სუბორდინაცია და კოორდინაცია (ჩიქობავა, 1968, 218).

კოორდინაცია ზმნის პირიანობასთან არის დაკავშირებული და ზმნა-შემასმენელთან კოორდინაციულ ურთიერთობაში მყოფ წინადადების წევრთა (ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები) გამოყოფისთვის მკაფიო და სანდო საკონტროლო საშუალებას წარმოადგენს: ზმნა-შემასმენელთან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წეს-კანონების მიხედვით ამყარებს მიმართებას გარდამავალი ზმნისა და მედიოაქტივ ზმნათა სუბიექტი – სინტაქსურად ქვემდებარე; განსხვავებული, სპეციფიკური წესები მოქმედებს ვნებითი გვარისა და მედიოპასივების ქვემდებარესთან; ირიბი დამატებაც, ასევე, სპეციფიკურ სინტაქსურ ურთიერთობას ამყარებს ზმნა-შემასმენელთან, ისევე, როგორც პირდაპირი დამატება... წინადადების ამ სამი მთავარი წევრის ერთმანეთში აღრევა წარმოუდგენელია, ვინაიდან მათი სტატუსი მკაცრი სინტაქსური წესებით განისაზღვრება – მოუხედავად იმისა, თუ რა შინაარსობრივი დახასიათება მიეცემა: მაგალითად, სულაც არ არის აუცილებელი, ქვემდებარე იყოს აგენსი/ მოქმედი; პირიქით, ის შესაძლოა ზმნით გამოხატული მოქმედების სამოქმედო ობიექტსაც/პაციენსს გამოხატავდეს: მაგ. „წიგნი იწერება“, „სურათი დაიხატა“...).

განსაზღვრების სინტაქსური კატეგორიის შემთხვევაშიც სანდო და მკაფიო სინტაქსური კრიტერიუმი მოიძიება: განსაზღვრების შემთხვევაში, სუბორდინაციული სახელური დაქვემდებარება გვაქვს – ანუ შესიტყვებას ქმნის სახელით გამოხატული ორი წევრი (აქ 2 ქვესისტემა გამოიყოფა: სუბორდინაციული სახელური მართვა – „კაც-ის სახლი“ და სუბორდინაციული სახელური შეთანხმება „მაღალ-ი კაც-ი“...).

როგორც გარემოების, ასევე უბრალო დამატების ზმნა-შემასმენელთან მიმართების სახე სინტაქსურად სუბორდინა-ციას განეკუთვნება (ზმნური სუბორდინაცია).

აშკარაა, რომ ზმნა-შემასმენელსა და სახელის ამა თუ იმ ბრუნვით (თანდებულით ან უთანდებულოდ) წარმოდგენილ წევრს შორის, „გარემოებას“ გამოხატავს იგი თუ უბრალო და-მატებას – სინტაქსური ნიშნის მიხედვით არანაირი სხვაობა არ ჩანს; სხვა საკითხია შინაარსობრივი (სემასიოლოგიური) დიფე-რენციაცია: გარემოების სინტაქსურ კატეგორიაში, მაგალითად გამოყოფენ რამდენიმე შინაარსობრივ ჯგუფს (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზის... გარემოებები); აღნიშნავენ, რომ „უბრალო დამატება ქართულში მეტად მრავალფეროვანია ფორმისა და შინაარსის მიხედვით“ (ფეიქრიშვილი, 1996, 100).

მაშ რაღაც წინადადების ამ ორ წევრს შორის განსხვავება (რასაკვირველია, სინტაქსური თვალსაზრისით)?

ამ კითხვას ერთი შეხედვით მოულოდნელი, მაგრამ მეთო-დოლოგიური იმანენტიზმის პრინციპების დაცვით, სრულიად ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს: „გარემოება“, როგორც სინ-ტაქსური კატეგორია, თავისუფლად „თავსდება“ იმ განმარტების ჩარჩოში, რომლითაც, ჩვეულებრივ, განისაზღვრება უბრალო, ანუ პირმიუმართავი დამატება: „პირმიუმართავი, ანუ უბრალო დამატება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომე-ლიც ახლავს შემასმენელს ან ზმნური წარმოშობის წევრს წინა-დადებისას და იმართვის მათგან ბრუნვაში“ (კიზირია, 1982, 145). ამრიგად, გარემოება უბრალო (პირმიუმართავი) დამატების სე-მანტიკურ ქვესახეობას წარმოადგენს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბერიძე, 1971 – გრ. ბერიძე, უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების სწავლებისათვის, ქელს, თბ., 1971, 1.
2. გაბუნია, 1993 – კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.

3. დავითიანი, 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
4. თალაკვაძე, 1971 – მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1971, 1.
5. კვაჭაძე, 1988 – ლ. კვაჭაძე, „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბ., 1988.
6. კიზირია, 1982 – ა. კიზირია, მარტივი წინადაღების შედგენილობა ქართველურ ენებში; თბ., 1982.
7. კოშორიძე, 1985 – ე. კოშორიძე, კვლავ ერთი სადაცო საკითხის გამო; ქელს, თბ., 1985, 1-2.
8. ფეიქრიშვილი, 1996, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
9. ფოცხიშვილი, 1956 – ალ. ფოცხიშვილი, უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება, სბიქე, 1, თბ., 1956.
10. ჩიქობავა, 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადაღების პრობლემა ქართულში. თბ., 1968.

Kakha Gabunia

TOWARDS THE INTERRELATION OF THE ADVERBIAL MODIFIER AND THE SIMPLE OBJECT IN GEORGIAN

Summary

While teaching the Georgian grammar one of the “awkward” issues that is somehow left out of the whole system is the differentiation between the simple object and the adverbial modifier; it is necessary to delimit the morphological, syntactic and semasiological aspects of research – to approach the problem by using the principle of methodological immanentism.

As a rule, a semasiologic (conceptual) sign is used as a delimiting indicator of sentence members, which is not reasonable: the status of the syntactic category should be established according to the syntactic marker.

There is no difference between the simple object and the adverbial modifier from a syntactic standpoint (taking into account the regularities of syntactic relation among the members of a sentence); the adverbial modifier is a semantic sub-group of the simple object.

აკაკი წერეთლის პოეტური ენის ესთეტიკის რამდენიმე ასპექტი

ნებისმიერ ენობრივ სივრცეში კლასიკოსი მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები ენობრივ აზროვნებას სრულიად ორიგინალურ, ამასთან, ზოგადენობრივი თვალსაზრისით შექმნილ ესთეტურ პლასტებს სთავაზობს. სწორედ რომ, სიტყვათქმნადობის პროცესში ვლინდება თითოეული მათგანის სამწერლობო ხარისხი, მხატვრული ფანტაზიის მასშტაბურობა, ორიგინალური ინტერპრეტირების უნარი, რასაც ხშირად მოსდევს ხოლმე ლექსიკური ერთეულების, მხატვრული შესიტყვებებისა და წინადადების სტრუქტურათა გამოყენება ემოციურად დატვირთული სათქმელის სარეალიზაციოდ. ენა მწერლის თავისუფლების ასპარეზია; შინაგანი განცდებისა და ნააზრევის სინთეზს შემოქმედი ენობრივ სიბრტყეზე გვაწვდის, მოწოდების პროცესში კი ყველა საშუალება, მათ შორის ლექსიკური ინოვაციებიც, სრულ მზადყოფნაშია და ტექსტის იდეური სათქმელის გამოხატვისას წყობილისიტყვაობაში ენობრივი აქცენტის, ანუ აზრობრივი მახვილის, ფუნქცია აკისრია.

საერთოდ, მიჩნეულია, რომ ენობრივ „ნიშნად უნდა ჩაითვალოს ყველაფერი ის, რაც ჩვენს ცნობიერებაში ითავსებს მატერიალურ რეალობას და ინფორმაციის, ცოდნის მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და გადაცემის მიზნით გამოიყენება“ (ფელერი 1984: 33). აღიარებულია აგრეთვე, რომ ძირითადი ენობრივი ნიშანი ეს არის სიტყვა. რაც შეეხება რაიმე სახის მხატვრულ მონათხრობს ან ნაწარმოებს, შევნიშნავთ, რომ ისინი ნიშანთა განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენენ, განსაზღვრულ კონსტრუქციას გვთავაზობენ და ადამიანთა აზროვნებაში ხშირად ობიექტური რეალობისაგან გადახრილ ან სრუ-

ლიად განსხვავებულ სახე-ხასიათებს, მხატვრულ-ენობრივ მო-
დელებს ქმნიან.

თუ რა როლი აქვს ქართული სალიტერატურო ენის გან-
ვითარების უწყვეტ პროცესში აკაკი წერეთლის, XIX საუკუნის
უდიდესი კლასიკოსი მწერლის, მხატვრულ სიტყვას, როგორია
მის მიერ განცდილი სამყაროს ენობრივი წესრიგი და ექსპრე-
სიულად დატვირთული სიტყვიერების ხარისხი – ეს ის სა-
კითხებია, რომელთა გარკვევასაც ქვემოთ შევეცდებით.

არნ. ჩიქობავა წერს: „ქართველურ (და, საერთოდ, იბერიულ-
კავკასიურ) ენათა წრეში ქართული ერთადერთი სამწერლო ენაა,
რომლის ისტორიაც მრავალი საუკუნის მანძილზე მდიდრადაა
დოკუმენტირებული ძეგლებით (წარწერებით, ხელნაწერებით...)“
(ჩიქობავა 1950: 018). დიახ, სწორედ სამწერლობო ტრადიცია –
ორიგინალური და ქართულ ენაზე ნათარგმნი ძეგლების მხატვრუ-
ლი გემოვნება და სტილური სხვადასხვაგვარობა – იყო და არის
ქართული სალიტერატურო ენის, როგორც ერთი მთლიანობის,
განვითარების უძირითადესი და განმსაზღვრელი ფაქტორი. „ყო-
ველგვარ ვითარებაში, განსაკუთრებით, ისტორიულ ძნელბედო-
ბათა ჟამს, ეროვნული თავისითავადობა, თვითმყოფადობა სწორედ
მასთან იყო გაიგივებული“ (არაბული 2008: 24). ეროვნული ენის
სალიტერატურო ენად ქცევის პროცესს თავისი საინტერესო
წინაპირობა აქვს. საქმე ის არის, რომ სალიტერატურო ენაში
სათემელის გადმოცემისას განსაკუთრებული სიფრთხილით ირ-
ჩევა თითოეული ლექსიკური ერთეული და გრამატიკული სა-
შუალება (ვგულისხმობთ სხვადასხვა მორფო-სინტაქსურ საშუ-
ალებას). შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს შერჩევითობა კიდევ
უფრო მძაფრია მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებებში, სა-
დაც შემოქმედის მიერ ნაგრძნობი და მხატვრულად გააზრებული
სამყაროს ენობრივი გადმოდინება ხდება.

აკაკის, როგორც უდალატო 60-იანები მწერლის, დამოკი-
დებულება ქართული სალიტერატურო ენის მიმართ უაღრესად
ფაქიზია, რადგან XIX საუკუნის სწორედ ამ პერიოდში მიმდი-

ნარეობს მოწინავე ქართული საზოგადოების უკომპრომისო ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად და, როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, ეს „ბრძოლა სალიტერატურო ერთი ენისათვის ილია ჭავჭავაძის გამარჯვებით დამთავრდა“ (ჩიქობავა 1950: 025). აკაკის როლი შერყვნილ-შელახული ქართული ენის უფლებათა აღდგენის საქმეში ილია ჭავჭავაძესთან ერთად უნდა მოვიაზროთ. ენის საკითხის წინ წამოწევა 60-იანელთა მიერ ღრმად გააზრებული ეროვნული მოძრაობის ნაწილი იყო, ქართველთა შორის მიძინებული პატრიოტიზმის აალებას ემსახურებოდა მიზნად, რაც, საბოლოოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერსპექტივას ნიშნავდა. აკაკი იტყვის: „ისევ ჩემით გამოვალ ქართულათ და ქართულათაც დავიწყებ ქართულის მიბაძვით“ (ნერეთელი 1960: 15). მოცემულ ფრაზაში კარგად მოჩანს, ერთი მხრივ, მწერლის მიერ გააზრებული პირადი პასუხისმგებლობა („ჩემით გამოვალ ქართულად...“) საერთო ქართულ საქმეში და, მეორე მხრივ, მისივე მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება ძველქართული, ანუ მამულიშვილური საქმეების მიმართ, რომელთა „მიბაძვა“ არასოდეს ყოფილა საჩოთირო. ქართული ენის, როგორც ქართული სახელმწიფოს უძირითადესი ნიშნის, ღირებულება კარგად ესმოდა მთელ ახალ თაობას – გაწმენდილი ახალქართულით თანამედროვე იდეებთან ერთად კარგად დავიწყებული ძველიც უნდა გახმოვანებულიყო; ამიტომ ენისადმი დამოკიდებულება მათი საზოგადოებრივი პოლიტიკის ნაწილად იქცა. აკაკი სარკისებური გამჭვირვალობის, ფორმობრივი და ლექსიკური სისადავის გზას ირჩევს; სათქმელს უბრალოდ, მარტივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამბობს, თუმცა ენის სულში იჭრება, უხილავ სიმებს არხევს და ჭაბუკური აღფრთოვანებით ენაფება ქართული სიტყვის ჭრელა-ჭრულა ფარდავს – ის ასე ხედავს თავის ადგილს ქართულ მწერლობაში, ზემოთქმული ხომ მის მსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებას გამოხატავს და უძირითადეს ესთეტიკურ თეზის გამოგვაყოფინებს – მშვენიერება სისადავეშია!

საერთოდ, წარმოუდგენელია გრძნობების, გატაცებების გა-
რეშე დავსახოთ ადამიანის არსებობა, მეტადრე შემოქმედისა,
რომელიც მეტი დაკვირვებულობით შეჰქმდებს გარე სამყაროს,
მისგან იღებს შემოქმედებით ენერგიას და, ჩვენს შემთხვევაში,
სიტყვათწერის საშუალებით სწორად წარმართავს უკვე არა-
ერთგზის გაცნობიერებულ მოვლენებს. დიახ, სწორედ უბრა-
ლოების ესთეთიკა განსაზღვრავს აკავის შემოქმედებით სივრცეს,
სისადავეში იკვეთება მხატვრული წარმოსახვის გენიალური შტრი-
ხები, რომელისაც არასდროს გასდევს ერთფეროვანი ხაზების
სიმეტრია. მისი ლექსი „სარკეა“ მრავალწახნაგოვან-მრავალფე-
როვანი სამყაროსი, ამიტომ აკავისეული ფერთა გამა არ ითარ-
გლება შავ-თეთრი კონტრასტით, ის ლექსში მთელი თავისი პოე-
ტური არსებით იხარჯება და მას ანკარა წყაროსავით გადმოადენს.
თითქოსდა უსამყაულო პოეზია ჩვენ თვალწინაა – არაფერი
ზედმეტი არ დაუხარჯავს მასზე პოეტს, აქ არც ბევრი შედარებაა
და არც – ბევრი მეტაფორა, მაგრამ ვერსად წაუვა მკითხველი მისი
ლირიკით გამოწვეულ ექსპრესიულ ზეგავლენას.

ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ლექსი „კანდელისადმი“
[1856.] საოცარი სისადავითაა შექმნილი:

„გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!...
მინათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირე ჟამისა!...
ჩემი სიცოცხლე შენსავით
იწვის და თანდათან სდნება,
წარსული აღარას მარგებს,
მომავალი მენანება!“

(„კანდელისადმი“) (წერეთელი 1950: 1, 59).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „სანთლის“ (აქ: „კანდე-
ლის“) სიმბოლური გააზრება აკავის პოეტური შემოქმედების-
თვის ნიშანდობლივი მოვლენაა და საინტერესო სიტყვა-ხატს

წარმოადგენს. ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, იგი უბრალოდ ერთი, რიგითი აღმნიშვნელია მატერიალური საგნისა, მაგრამ პოეტისათვის ის აზრობრივი სიგნალია, მისსავე გონით ფენაში სხვარიგად გადატანილი და გაცილებით ფართო მნიშვნელობის მქონე – სანთელი ამქვეყნიური ღვაწების, საღვთო სრულყოფილებისაკენ მისწრაფების, ნათელი სრბოლის, ადამიანური ცხოვრების სწრაფმავლობის ენობრივი ნიშანია, ამიტომაცაა, რომ აკაკის პოეზიაში „სანთელს“ „ბნელის განათლების ფუნქცია აქვს დაკისრებული.

ლექსის („კანდელისადმი“) პირველ სტროფში ლექსიკური მასალაცა და წინადადების მიმდინარეობაც სადაა, თუმცა მკითხველზე ზემოქმედების ეფექტი უტყუარი ენობრივი ალლოთია მიღწეული, რადგან აქ **განზოგადების აზრობრივი სისტემა მოქმედებს** – „ლამე“ ბოროტებაა, ავმოქმედება, მიწიერების ქვენა დინება; აკაკის აზრით კი, ადამიანური კეთილსინდისიერება ის არის, რომ კაცმა თავისი სულიერი და ხორციელი მოქმედებანი ბოროტმებრძოლებას მოუძღვნას და ასე განვლოს „თანდათან დნობადი“ სიცოცხლე.

აკაკის ლირიკით მოწოდებული თითქოსდა მოუმზადებელი სიტყვა რომ პოეტის დიდი ხნის ნატანჯი სულიერი ტკიფილებისა და ღრმა ნააზრევის ენობრივ გამოხატულებას წარმოადგენს, კარგად მოჩანს მისსავე აზრის უწყვეტობაში. „სანთლის“ თემა ერთი ლირიკული ნაწარმოებით არ იფარგლება. ის სხვაგანაც შეგვახსენებს თავს და პოეტის მიერ ერთხელ უკვე მინიჭებულ საგნობრიობას არ გადაუხვევს:

„ფუტკარო, ჩემო ფუტკარო,
ბზუილავ, მოუსვენარო,
უსამართლობით დევნილო,
სამართლიანად მკბენარო!...
სიტკბოს რომ ეძებ სათაფლოს,
მიტომ ხარ მოუსვენარი
და ვინც ხელს გიშლის შრომის დროს,–
მხოლოდ იმისი მკბენარი.

მაგრამ ქვეყანა უძღები
განა დაეძებს სიმართლეს?
ბნელს შენი სანთლით ინათებს
და ბნელს ჰფენს შენსა სინათლეს“

(„ფუტკარი“) (წერეთელი 1954: 30-31).

აკაკი ზედმეტად ფრთხილი და გააზრებული ნაბიჯებით ავითარებს თავის აზრს, საკუთარ მოქალაქეობრივ პოზიციებს პოეტურ, მხატვრულ ფორმაში გვაწვდის და სამსჯავროზე გამოაქვს. „სანთლის“ გარშემო ის ახალი მხატვრული სახეების შემოტანა-შემოკრებას დაიწყებს და, უპირველესად, ეს „ფუტკარი“ იქნება, სანთლის მიწიერი შემოქმედი, „ბზუილა“ და „მოუსვენარი“ ცხოვრების შვილი, ხშირად გადაჭარბებული შრომისმოყვარეობისა და თავდადების გამო „უსამართლობით დევნილი“, მაგრამ მაინც სიტკბოების მაძიებელი, სამართლიანი „მკბენარი“.

„სანთლისა“ და „ფუტკარის“, როგორც ერთი აზრობრივი წრის შემადგენელ ნაწილთა, შენანევრების პროცესი აკაკიმ ძალ-დატანების გარეშე შეძლო. „ფუტკარში“ ქვეყნის უმადური შვილებისაგან ხშირად სიმართლისათვის დევნილი საკუთარი თავიც მოიაზრა და სხვანიც, რომლებიც „ფუტკრობას“ ამჯობინებენ ბზუილა „ბუზობას“ და ემიჯნებიან საყოველთაო მშვენიერების, ანუ „ვარდ-ბულბულთა“, მომლერალ შემოქმედთ:

„სხვებმა უმღერონ ვარდ-ბულბულს,
ადიდონ ლომი ძლიერი;
თვალ-მარგალიტით შეამკონ
მშვენიერება ცბიერი“

(„ფუტკარი“) (წერეთელი 1954: 30).

განზოგადების ენობრივ ფორმაში მოწოდებული აკაკისეული აზრი იმდენად ნათელი და სწორხაზოვანია, რომ მკითხველში გააზრების პროცესი მყისიერად იწყება. ამ მხრივ, მას დაბრკო-

ლებანი წინ არ ეღობება და ტკბილად მოსაუბრე პოეტს უხილავი ძაფებით ებმის. განა რაიმე ოჩება გაუგებარი, ეს სულიერი კავშირი რომ არ შედგეს!?

„სიტყვა იგივ თესლი არის,
ნორჩი გული – მიწა-ხნული“-ო,-

იტყვის აკაკი („ბოდვა“) (წერეთელი 1954: 54).

და მართლაც, ნათელი სიტყვის მთესველი არაფერს მალავს, სათქმელი ზედაპირზე ამოაქვს და აზრობრივი ლაბირინტის შექმნას თავს არიდებს. „შემთხვევითი არ არის, რომ ქართველმა კაცმა მხოლოდ მის სახელს და ხსოვნას შეჰქედა ის, რაც სხვების მიმართ, შესაძლოა, კადნიერებად ჩამორთმეოდა – ახლობლური, უცერემონიო, გულითადი დამოკიდებულება“, – წერს გ. ასათიანი და იქვე დასძენს, – „არავითარი სიკერპე, არავითარი გულჩათხრობა ან მედიდურობა. ერთი წვეთიც კი ამისა არ მოსცებია მის ბუნებას“ (ასათიანი 1980: 3;5).

მართლაც, შინაგანად სავსე, ღვთიურად განონასწორებულ ადამიანთა თვისებაა უბრალოება და რაოდენ დიდ იშვიათობას წარმოადგენს ის, რომ ასეთივე უბრალოებით შეძლოს შემოქმედმა, განცდილ გრძნობებსა და ნაფიქრალ აზრებს ფერადოვნება არ მოაკლოს. იმისათვის, რომ მყითხველსა და აკაკის შორის სიყალბესმოკლებული, ნალდი და უტყუარი დიალოგი შედგეს, პოეტი მარტივ ენობრივ ფორმაში ხედავს გამოსავალს; სიტყვას ფართო მნიშვნელობით, სიმბოლურად დატვირთავს და შემდეგ ყველაფერი თავისდათავად ხდება. აკაკის შინაგანი სისადავის გამოხატულებად ის სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც პოეტის აღსარებას ძალიან წააგავს:

„მე არ ვარ ბევრის მძებნელი,
ცოტაც არ მომყირჭებია
და მხოლოდ იმას ვჯერდები,
რაც ზეცით მომნიჭებია“

(„ბოდვა“) (წერეთელი 1954: 54).

ადამიანში დაბუდებული თავმდაბლობისა და მადლიერების ხარისხით მისივე სულიერი სამყაროს შეფასება შეიძლება. სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ მშობლები აკაკის ბერად ამზადებდნენ თურმე. ამ საყურადღებო ცნობას 1903 წელს, პოეტის სიცოცხლეშივე, გამოცემულ საეკლესიო კალენდარში წავანებდით. გამორიცხული არ არის, რომ ინფორმაციის წყაროს თავად აკაკი წარმოადგენდეს. აქ ვკითხულობთ: „აკაკი წერეთელი დაიბადა 9 ოქტომბერი 1840 წ. დ. საჩხერეში (შორაპნის მაზრაში) თავადიშვილის ოჯახში. პირველდაწყებითი წერა-კითხვა სახლში ისწავლა, ასწავლიდა დედა; მშობლები ბერად ამზადებდნენ“ (საქართველოს კალენდარი 1903: 566). მიუხედავად იმისა, რომ წყარო მეტისმეტად მწირია და მხოლოდ მშრალ ინფორმაციას შეიცავს, ვთქიქრობთ, რომ ამით დიდი პოეტის არა მხოლოდ ერთი ბიოგრაფიული დეტალი ხდება ცნობილი, არამედ მისი შინაბუნების უაღრესად საყურადღებო შტრიხი. როგორც ჩანს, ბავშვობაშივე შეუნიშნავთ აკაკის უდრტვილიველი მორჩილებისა და თავმდაბლობის ნიჭიერება მის მშობლებს. ეს თვისებანი მისი სულის ძირითადი არსის გამომხატველი რომ არ ყოფილიყო, სადღაც მაინც ვიგრძნობდით სიყალბეს: ან – მხატვრულ სიტყვაში, ან – საზოგადო ასპარეზზე.

ახლა კვლავ „ფუტკრის“ საკითხს დავუბრუნდეთ. სიკეთის, ღვთიური სინათლის მიწიერი შემოქმედის სახის დახატვას აკაკი კიდევ ერთ ლირიკულ წარამოებში შეეცდება. ამ ლექსს „ხარაბუზა და ფუტკარი“ ჰქვია. თავად პოეტი გონიერი დამკვირვებლის როლშია და აზრიანი კაცის თვალით ზომავს ცხოვრების, ადამიანთა ქმედების ავ-კარგს:

„ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა: – გზა მომეო!

ვერ მიცანი, განა, ვინც ვარ?
როგორ გამეთამამეო?

.....
ჩემთვისა ვარ, არვისა ვკბენ,
არ ვარ შენი მოგვარეო!“

(„ხარაბუზა და ფუტკარი“) (წერეთელი 1950: II, 127).

იმისთვის, რომ ძირითადი კონტრასტული ხაზის გავლება შეძლოს პოტმა, ორ განსხვავებულ სახეს ერთმანეთის გვერდით სვამს და ცდილობს, მკითხველის ყურადღება ასე მიიპყროს. სიტყვიერი მასალა შეუდარებელი სიზუსტით მისდევს სათქმელს. ჩვენ მხოლოდ იმაზე გვიწევს დაფიქრება, რა იგულისხმა პოტმა ხარაბუზასა და ფუტკრის მხატვრულ სახეებში, რა დამატებითი სემები, რა შინაარსობრივი ნიუანსები შესძინა მათ, რომ სათქმელის რეალიზაციის შემდგომ იგი საყოველთაოდ გასაგები გამხდარიყო. აკაკიმ აქაც უკვე ნაცად ხერხს – განზოგადების ენობრივ ფორმას – მიმართა და „ფუტკრისა“ და „ხარაბუზას“ სახით ადამიანთა ორი ფერი, ორგვარი სახეობა – თეთრი და შავი შექმნა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ამგვარი აღქმა მკითხველს შეიძლება თავიდან ჰქონდეს, ემპირიულ დონეზე. ცვიქერობთ, რომ აკაკის მიზანიც ეს არის – მისი ნათქვამი საყოველთაო გააზრებისათვის გამოდის საჯაროდ. მერე რა, თუკი ზოგნი ვერ სწდებიან აზრის სიღრმესა და მხოლოდ მის გარსა აღიქვამენ?! ზედაპირზე ყველაფერი მარტივად უნდა იდოს, რადგან შენი მოძღვრობა, „ცისა და მინის შუაკაცობა“ მაშინაა გამართლებული, როცა ყველა ადამიანის სულს ეხები და მათ კურნებას ცდილობ. რაც შეეხება აზრის სიღრმეებს, მათი წაკითხვა ვეღარ იქნება საყოველთაო და აი, „ხარაბუზა“ კაცის შავ ფერში თავხედობის, ამპარტავნებისა და თვითკმაყოფილების მახინჯი ფერებიც ერევა, ცოდვებით დამძიმებული კაცის ძალმომრე სახესა და ბოროტ გამომეტყველებას იღებს და მკითხველის წარმოდგენაში „ხარაბუზას“ სატირული პორტრეტიც იხატება. ეს კონტრასტის ერთი მხარეა, მეორე მხარეს „ფუტკარი“ დგას, გამრჯე მუშაკი, აკაკისეული სითეთრის მხატვრული განსახოვნება:

„მე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა
და სხვაგვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო!

მისთვის დავფრენ მოუსვენრად,
 რომ მოვძებნო ყვავილიო,
 გულის წვენი ამოვწუნნო,
 სამკურნალო რამ ტკბილიო.
 შევუმზადო მით ქვეყანას
 თაფლი, ზეცას – სანთელიო,
 რომ იქ წმიდად შეიინიროს
 და ანათოს აქ ბნელიო“

(„ხარაბუზა და ფუტკარი“) (წერეთელი 1950: II, 128).

„ფუტკრის“, როგორც ფორმობრივი ემბლემის, შიგთავსი სრულიადაც არ არის შეცვლილი. მკითხველის მეხსიერებაში ერთხელ უკვე შენახული მისი არსობრივი მნიშვნელობა ხელახლა გადაშალა პოეტმა და დამატებითი ნიუანსებით შეავსო – „სხვაგვარად მოღვაწე“, ადამიანთა მკურნალი თაფლისათვის მაძიებელი უნიდა და მისი ფუნქციის დაკონკრეტებას შეუდგა: მიწიერებას – თაფლი, ხოლო ზეციერებას ნათელი უნდა უკმიო, თუკი იმქვეყნიური ცხონება გსურს. „აკაკი წერეთელი პოეტური ხედვის შემოქმედია, პოეტური ხილვები მას ნაკლებად ახასიათებს. იგი პოეზიად აქცევს იმას, რაც სხვებისათვის ყოველდღიური, უფერული, უმნიშვნელო მოვლენებია“ -თ, - წერს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1993: 7). და მართლაც, ყოფიერების ბევრი უმნიშვნელო დეტალი აკაკის ენაში შემეცნების სხვა სიბრტყიდან უნდა გავზომ-ავწონოთ, აზროვნების სრულიად განსხვავებულ შრეს დავუკავშიროთ და ყველაფერი შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვას მივანდოთ. შეუძლებელია, კვლევის ამ პროცესში მწერლის ინდივიდუალიზმია განსაკუთრებული სიცხადით არ შეგვაგრძნობინოს ენის პოტენცია, რომელსაც თითოეული მოაზროვნე საკუთარი აღლოდან გამომდინარე გადაამუშავებს, შენახული ინფორმაცია ენობრივი ქვეცნობიერიდან ამოაქვს და ცნობიერ სამყაროში ამკვიდრებს.

„სანთელი“ და „ფუტკარი“ განზოგადებული ენობრივი ნიშნებია, რომლებშიც ცენტრალური, მამოძრავებელი ღერძის ფუნქცია მათს მატერიალურობას აკისრია, მაგრამ მატერიალური

საგანი პოეტის წარმოსახვაში აზრობრივ გაფართოებას იწყებს და იმ საპაერო ბუშტს ემსგავსება, შიგთავსის გადიდების ხარჯზე რომ სცილდება ყოფიერ ნიადაგს. მეტიც, საქმე ის არის, რომ ეს ენობრივი ნიშნები კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. აკაკისეულ ტრიადას მესამე წევრი აკლია. ლირიკოსი პოეტისათვის ის გეომეტრიული ფიგურაა ჰარმონიული, რომელიც მთელ სამყაროს დაიტევს და არა – ცალ-ცალკე აღებულ მის დამოუკიდებელ ნაწილებს, აქ: „ფუტკარსა“ და „სანთელს“. აზრის დახურვა, მისი მწვერვალის შექმნა მესამე წევრმა – „ლმერთმა“, „ზენამ“ – უნდა შეძლოს:

„მიძგერს გული
აგზნებული,
მაგრამ გონი მიბამს ენას,
მისი სხივით
სანთელივით
ვსდნები და თანც ვმადლობ ზენას!...“

(„გაუზედავი სიყვარული“) (ზერეთელი 1950: I, 278).

უფლის, როგორც ზეციური საზრისის, თემატური ნიშანი აკაკისთვის ზენობრივი წონასწორობის საზომი ერთეულია. იგი მიწიერადაა შემეცნებული და ზოგჯერ ეპოქის ან პირად სატკი-ვართან გადაჯაჭვულ სახიერებას წარმოადგენს:

„დაბრძანდა ლმერთი მაღალი
სამსჯავროდ, გულმოსულია!...
ბრძანებს: „გაფუჭდა ქვეყანა,
ლამის დაპკარებს რჯულია!...
მხარე უქცია სწორეს გზას,
მრუდე გზას მოარულია,
ვეღარ მოეგო გონებას,
არ იცის სინანულია...
მეყო ამდენი მოთმენა
და მეტი სიბრალულია!“

(„ხოლურა“) (ზერეთელი 1950: II, 222).

უფალი თავის თავში ითავსებს ადამიანის ხატს, კოსმოსის ეს მისტიკურ-ინტიმური კავშირი ბოლომდე ამოცნობილი არც აკაკისოთვისაა, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ის მოცემულობაა, რომელიც გენეტიკურად, რჩმენით მივიღეთ და არა – მისი ბოლომდე ამოხსნის აუცილებლობა. ამას მიწიერ არსებას ხომ არავინ სთხოვს, მას უბრალოდ ჩაესმის: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღვისასა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მწეცთა ყოვლისა ქუეყანისა ყოველთა ქუენარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა. და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თჯსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“ („წიგნი დაბადებისა“ 1981: 49). სამყაროს შექმნის ბიბლიური თვალსაზრისი საფუძვლად უდევს ადამიანის დანიშნულების ქრისტიანულ გააზრებას მთელი ქართული მწერლობის ხანგრძლივ გზაზე. აქ აკაკის პოზიცია განსხვავებული სულაც არ არის, იგი უბრალოდ შეგვახსენებს მარტივ ჭეშმარიტებას და მისი დაცინების უფლებას არ გვაძლევს:

„იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი
და მეცნიერი, ვითარცა გველი!“
ამას გვასწავებს წინამორბედი,
ამას გვიმოძლვრებს თვით ჩვენი მხსნელი.
თუ ეს ღირსება ორივე ერთად
აქვს კაცსა ზეცით მონიჭებული,
მაშინ ის მოსჩანს სულდგმულში ღმერთად,
არს პირუტყვაბზეთ ამალებული“

(„პასუხი ჭალადიდელისადმი“), I, 187.

უზენაესის შეგრძნებას, რომელსაც შედარებით გვიან მოსდევს ხოლმე ადამიანში მისივე შემეცნების სურვილი, აკაკის ლირიკაშიც სამყაროს ნაწილთა გამაერთიანებლის ფუნქცია აქვს დაკისრებული და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისსავე წონასწორობას წარმოადგენს. ამ უკანასკნელს თავისი ამოუცნობი წესრიგი აქვს და მოაზროვნე ადამიანის სურვილი ხშირად სწო-

რედ იმით შემოიფარგლება, როგორმე ამოხსნას უდიდესი და მყარი ღვთიური სისტემის შიდა კანონზომიერებათა პატარ-პატარა რგოლები. უფალი სამყაროშია გახარჯული, ამიტომ მისი არსებობა სამყაროშია საძიებელი და არა – მის გარეთ, განყენებულ სივრცესა და დროში. ის მთელია, ნაწილი კი ათასგვარი აქვს. აკაკის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებაც ამ მთელის მიმართ არ იცვლება, პოეტში „ღვთის“ მცნება ყოველთვის ითავსებს აზრობრივი მწვერვალის ფუნქციას; ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამკუთხედი (სანთელი <> ფუტკარი <> უფალი) კი მხოლოდ ერთი რგოლია, რომელიც აკაკის პოეტური წარმოსახვის ქვესისტემას წარმოადგენს. მისი აზროვნების ჯაჭვი გაცილებით შორს მიდის და კიდევ ბევრ საინტერესო გეომეტრიულ ფიგურასა და ამ ფიგურათა გადაბმებს შეიცავს. ერთ-ერთ ასეთ სახეს „ციცინათელა“ ქმნის.

„ციცინათელა, თავად სიტყვის შემადგენელი ნაწილიდან თუ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნათელთანაა დაკავშირებული. ის ნათელია, თუმცა – შორეული, პოეტს არ არგია და მხოლოდ სხვისი ბარგია, ე. ი. ხვედრი, – წერს თ. შარაბიძე და იქვე განმარტავს, – პოეტი ციცინათელას შესტრფის, მის საყვარლად ყოფნას ნატრობს და სწამს, რომ ამ სიყვარულს მხოლოდ მიწა, ე. ი. სიკვდილი დაავიწყებს“ (შარაბიძე 2008: 117). ის, რომ „ციცინათელა“ აკაკისათვის რაღაც საგნობრივი, არსობრივი მინიშნებაა, ეჭვს არ იწვევს. საინტერესოა, რა განზოგადებულ ენობრივ სიგნალთან გვაქვს, რაზე გველაპარაკება პოეტი, როცა იტყვის:

„ჩემო ციცინათელა!
რად მიჰთრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!
.....
აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,

შენზედ სარგებლიანი
შენ გენაცვალოს ყველა!..“

(„ციცინათელა“) (წერტელი 1950: I, 173).

განსაკუთრებულ დაკვირვებას ჩვენ მიერ მოტანილი მეორე სტროფი ითხოვს, რომელშიც პოეტი ცალსახად წარმოაჩენს „ციცინათელის“, როგორც დატვირთული შინაარსის გამომხატველი ფორმის, უპირატესობას სამი სასარგებლო მწერის (აბრეშუმის პეპლის, როგორც მქსოველის; ფუტკრის, როგორც თაფლისა და სანთლის შემოქმედის; წურბელის, როგორც მკურნალის) მიმართ. რა თქმა უნდა, აქ ჩვენი საგნობრივი წარმოდგენა „ფუტკარზე“ შეიძლება რამდენადმე შეირყეს კიდეც, თუკი ლირიკული ნაწარმოების მშრალი ანალიზით შემოვიფარგლებით და პოეტის სტრიქონებს პირდაპირ გავიაზრებთ:

„მაშ რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!“

(„ციცინათელა“) (წერტელი 1950: I, 174).

საქმე ის არის, რომ აკაკის წარმოსახვაში სრულიადაც არაფერი შეცვლილა, მან უბრალოდ „ფუტკრის“, ისევე, როგორც დანარჩენი ორი მწერის – „აბრეშუმის პეპლისა“ და „წურბელის“ – მიწიერ ბუნებას გაუსვა ხაზი და მეტი არაფერი; მიწიერება კი, თავის მხრივ, არ გამორიცხავს ცოდვილ ყოფას, რაც არ უნდა უფლით განსპეტაკებულ ხორციელებასთან გვქონდეს საქმე. კეთილშემოქმედი „ფუტკარიცა“ და მკურნალ-მქსოველი მწერებიც მეტ-ნაკლები ცოდვებით დააბიჯებენ ამქვეყნად – ასეთია „ფუტკრის“ (...კბენით გვისიებს ცხვირ-პირს და ხელს!) აკაკი-სეული გააზრების ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. რაც შეეხება „ციცინათელას“, იგი თავისი არსით რამდენადმე ემიჯნება დანარჩენ საგნებს, რადგან მას პოეტი საზოგადო სარგებლიანობის

მიხედვით სულაც არ აფასებს. „ციცინათელა“ უმანკოების, ქალური მშვენიერებისა და მიმზიდველობის, ზეციური სიყვარულის პანია ნაპერწკლის („ცის ნათელის“) სიტყვიერი ხატი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში, ალბათ, არც იტყოდა პოეტი:

„ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.
მებრალები, კარგი ხარ!
და, ვაი! სხვის ბარგი ხარ!
სხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე კი დღეც არ მარგიხარ“

(„ციცინათელა“) (წერეთელი 1950: I, 174).

სიყვარულის თემა, რომელიც თავის თავში უცილობლად მოიცავს ღვთიურობის ადამიანურ განცდასა და ამ განცდის გადმოცემის გრძნობით შრეებს, აკაკის ლირიკის უაღრესად საინტერესო ნაწილია. ვფიქრობთ, რომ ამ კუთხით კვლევა სამომავლოდ უნდა გადავდოთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ „ციცინათელის“ – უწყინარი სატრატოს – შორეულობა და ღვთაებრიობა პოეტის სხვა ლექსშიც შეგვახსენებს თავს, იმ განსხვავებით, რომ მას აღარ ერქმევა „ციური ნათელის“ სახელი, აკაკი მას უკვე „უცნაურ სიყვარულს“ უწოდებს და იტყვის:

„მხოლოდ მინდა შენც გიყვარდე
ისე, როგორც მე მიყვარხარ:
ცხრა მთას იქით!.. ნარმოდგენით,
როცა შორს ხარ!.. ჩემთან არ ხარ!..
მაშინ მხოლოდ უკვდავია
სიყვარული!.. გრძნობაც წმინდა,—
თუ არ ვიცით ერთმანეთის:
რასა ვგრძნობდით და რა გვინდა!..“

(„უცნაური სიყვარული“) (წერეთელი 1954: 444-445).

„აკაკი არის პოეტი, დაჯილდოებული უბრნეყინვალესი პოეტური ხმით, დიდი პოეტური ტალანტით. მაგრამ ეს ცოტაა“, – წერს პავლე ინგოროვა (ინგოროვა 1983: 381). მართლაც, რაც არ უნდა ბევრი შეჰედო მას მკვლევარმა, რაც არ უნდა შეეცადო მის სულიერ სამყაროსა თუ აზროვნების სიღრმეში შეჭრას, ხვდები, ჯერ კიდევ დიდი გზა რჩება გასავლელი...

„აკაკი თვითონ ბუნებაა, მაგრამ არა პირქუში და მწყრალი, ძალადი და უტეხი, არამედ მსუბუქი და მქროლავი, მჩქეფი და ცქრიალა“, – ასე შეაფასა გრ. რობაქიძემაც ქართული პოეზიის მესალამურის – აკაკის – მგოსნობის შინაარსობრივი ბუნება (რობაქიძე 1990:55). სადა ენობრივ სამოსში ერთხმიანობის მაც-დური მელოდია ისმის და თუკი მისი პოეზიის გულითად მასპინძლობას დავაპირებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული სალამურის კვენესას უკან მრავალფეროვანი ქვეყნიერების სიჭრელე უდევს პარმონიად.

საბოლოოდ ვიტყვით, რომ მართლაც რთულია, რომელიმე მეცნიერს აკაკის ენის ესთეტიკის ამომწურავი ანალიზის პრეტენზია ჰქონდეს, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ძირითადი ესთეტიკური ხაზის – უბრალოების, სისადავის ენობრივი მშვენიერებისა და სიტყვათა განზოგადების აკაკისული ხერხის ამოხსნას შევეცადეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ა. არაბული 2008** – არაბული ავ., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი: გამომც. „უნივერსალი“, 2008.
2. **გ. ასათიანი 1980** – ასათიანი გ., აკაკი. პიროვნული იერი. ნააზრევი. პოეზია, თბილისი: გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1980.
3. **პ. ინგოროვა 1983** – ინგოროვა პ., ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი (ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი), თბილისი: გამომც. „მერანი“, 1983.
4. **გრ. რობაქიძე 1990** – რობაქიძე გრ., აკაკის ქნარი, კრებულში „აკაკის სამრეკლო“, თბილისი: გამომც. „განათლება“, გვ. 52-64, 1990.

5. **საქართველოს კალენდარი 1903** – საქართველოს კალენდარი 1904 ვალ. გუნიასი, ტფილისი: მსწრაფლმბეჭდავი ა. ქუთათელაძისა, 21, 1903.
6. **თ. შარაპიძე 2008** – შარაპიძე თ., ქრისტიანული მოტივები XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლირიკაში, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008.
7. **ჩიქობავა 1950** – ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, ტ. I., თბილისი: საქართველოს სსრ აკადემიის გამომცემლობა, 1950.
8. **წერეთელი 1950** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I., თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.
9. **წერეთელი 1950** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II., თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1950.
10. **წერეთელი 1954** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. III., თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954.
11. **წერეთელი 1960** – წერეთელი აკ., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI., თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1960.
12. „**ნიგნი დაბადებისა**“ 1981 – „ნიგნი დაბადებისა“, მცხეთური ხელნაწერი, ტ. I., (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.
13. **ბ. ჯორბენაძე 1993** – ჯორბენაძე ბ., აკაკი წერეთელი – დედაენის მოამაგე, საიუბილეო კრებული, აკაკი წერეთელი 150, გვ. 7-30, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1993.
14. **ფელერ 1984** – Феллер М. Д., Стиль и знак, Львов: изд. «Вища школа», 1984.

SEVERAL ASPECTS OF AESTHETICS OF AKAKI TSERETELI'S POETIC LANGUAGE

Summary

In general, the language is the pursuits of the writer's freedom; the synthesis of inner feelings and thoughts is represented by a creator on the linguistic level, and in the process of representation all the means, including lexical innovations, are in full readiness and while expressing the idea of the text they bear the function of a semantic accent.

It is really difficult for any scientist to have a claim for an exhaustive analysis of aesthetics of Akaki's language, therefore we have tried to clarify only the main line of Akaki's method – simplicity, linguistic modesty and generalization. Simplicity is a characteristic feature of internally full, divinely balanced people and it is really scarce for a creator to be able to express his feelings and thoughts with the same simplicity so as not to deprive them of colourfulness. In order to establish a truthful dialogue between him and the reader, the poet finds a solution in simple linguistic form and this is his linguistic-world outlook. It should also be indicated well that in such simplicity the main accent falls on lexical units. For example, a symbolic consideration of the "candle" is a characteristic phenomenon for Akaki's poetic work and it represents an interesting word-icon. From the lexicological point of view, "candle" is simply one, ordinary indicator of a material thing; but for the poet it is a semantic signal, by his very mind transferred into the mental layer otherwise and having a much wider importance – the candle is a lingual mark creative work of this world, striving to divine perfectness, clear racing, instantaneity of human life, and that is why, in Akaki's poetry of "candle has the function of "elucidation of darkness". Another constituent part of this very semantic circle is the "bee". By it the poet considered his own self and others often persecuted for the truth by the ungrateful sons of the country who prefer to be buzzing "flies" rather than "bees" separating themselves from universal beauty.

In Akaki's lyrics the Lord is ascribed the function of the unifier of the world's parts and represents its equilibrium. He has His unrecognizable order and the desire of the thinking person is frequently limited by the fact to somehow explain the tiny circles of inner regularities of the greatest and steady divine system. The Lord is spread in the world, that is why His existence is to be searched in the world and not beyond it, in the abstract space and time. It is one whole, and has various parts. Akaki's world outlook attitude does not change towards this whole. For the poet the notion of God always combines in itself the function of semantic peak. The triangle represented by us (a candle <> a bee <> the Lord) is only one ring which represents the subsystem of poetic imagination of Akaki. The chain of his thinking goes much further and contains many more geometric figures and junctions of these figures, which seems to be an object of further research.

ეპისტემიკისა და მოქმედების აქტის სემანტიკურ- მორფოლოგიური ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში

ტექსტის ლინგვისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკითხს, თუ როგორ წარმოგვიდგენს ტექსტის სუბიექტი - მთემელი - ინფორმაციას: როგორც პირდაპირ აღქმულს, კატეგორიულს, ანუ „იდეალურ ცოდნას“ (ლ. დელენისი), თუ როგორც მისგან გადახრილს, არაპერცეფციულს. გარეშე წყაროდან მიღებული ინფორმაციის გადმოსაცემად ქართველურ ენებში მორფოლოგიური ფორმები მოიპოვება თურმეობითების სახით. ოპოზიცია „ხილული და უხილავი მწკრივები“ უფრო მასშტაბურადაა წარმოდგენილი უმწერლობო ენებში; სვანურს, ქართული I და II თურმეობითის ფარდი მწკრივების გარდა (რომელთაც ჩვენ მათი სემანტიკის გათვალისწინებით და ასევე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შედეგობითებად მოვიხსენიებთ), მოეპოვება I სერიის თურმეობითებიც, რომლებიც სემანტიკურად სასხვისო/საზედაო და საარვისო ქცევის უწყვეტელს წარმოადგენენ აქტის უნახაობის ელემენტის დამატებით და, შესაბამისად, სწორედ ამ ნიშნით ქმნიან ოპოზიციას აღნიშნულ მწკრივებთან: I თურმეობითი – პირდაპირევიდენციალურ საზედაო ან სასხვისო ქცევის უწყვეტელთან: ხ-ო-შთხენ-დ-ა-ხ „უთავდებოდათ“ – ხ-ა-შთხპნ-ჟნ-ა-ხ „უთავდებოდათ თურმე“, ხ-პ-ირ-დ-ა „აწერდა/უწერდა“ – ხ-ა-ირ-ინ-ა/ხ-ა-ირ-ჟნ-ა „აწერდა თურმე/უწერდა თურმე“..., II თურმეობითი კი – საარვისო ქცევის უწყვეტელთან: აგვმდა „აშენებდა ის მას“ – ლგმგბმჟინ ჟლი/ლგმგემჟინ ჟლი – „აშენებდა თურმე“, „წაშენება“.

მაშასადამე, „სვანურ ენაში I თურმეობითის ფორმა შედგება ან-მყოს საზედაო ვერსია (ქცევა) + ბალსქვემოურში -უნა-, ბალსზემოურ-ქვემოსვანურში -ინა- სუფიქსებისაგან. ითარგმნება ნამყოუს-რულის ფორმა + „თურმე“: **ხპმ-ინა** (ბზ.), **ხპმ-უნა** (ბქ.) – „აბამ-და/უბამდა (ის მას) თურმე“; **ხგმ-ინა** (ბზ.) **ხგმ-უნა** (ბქ.) – „აშე-ნებდა (ზედ)/უშენებდა (ის მას) თურმე“ (ვ. თოფურია, 1967, 130).

ვ. თოფურიას მოსაზრებით, **-ინა**, **-უნა** ბოლოსართები შეიძლება დაიშალოს **-ინ ა**, **-უნ ა** ელემენტებად, სადაც **-ა** შესაძლოა ნამყო დროის მანარმოებელი იყოს. **-უნ-/ინ-** სუფიქსთა წარმომავლობის საკითხს (სხვადასხვა ამოსავლიდან მომდინარეობენ თუ ერთი ფორმანტის სხვადასხვა სახეა) მკვლევარი ღიად ტოვებს, თუმცა მათი ფუნქციური იდენტურობა საეჭვოდ არ მიაჩინია. ამავე მოსაზრებისაა ზ. ჭუმბურიძე **-უნ-ი** და **-ინ-ი** სუფიქსების ურთიერთობისა და მათი თავკიდური ხმოვნის რედუქციის შესახებ მყოფადში; მისი აზრით, ეს ვარიაციები „დიალექტური ხასიათისა ჩანს და ზმნათა მორფოლოგიური თავისებურებებით არ უნდა იყოს შეპირობებული“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, 179]).

თავის დროზე, I და II თურმეობითის გენეზისზე მსჯელობისას (ქ. მარგიანი-სუბარი, 2009, 127), ჩვენც დავუშვით შესაძლებლობა, რომ ეს ორი აფიქსი იმთავითვე სხვადასხვა კილოს კუთვნილება ყოფილიყო ერთი და იმავე სემანტიკური დატვირთვით და გარკვეული მოსაზრებაც გამოვთქვით მისი ფუნქციის შესახებ, რაც შემდგომი კვლევისას კიდევ უფრო გამოიკვეთა; კერძოდ: თურმეობითების-**უნ-/ინ-** მორფების ფუნქცია (ისევე, როგორც მყოფადუსრულსა და პირობითში) ევიდენციალობის გამოხატვა უნდა იყოს, ვინაიდან **უნახაობა** – ეს არის ევიდენციალობის ერთ-ერთი ძირითადი ქვესახეობა, როცა მთქმელის-თვის ინფორმაციის წყარო გარეშეა (კონკრეტული თუ იმპერსონალური პირი, ხმები ხალხში, გადმოცემები, პრესა...)¹ – საერ-

¹ მართალია, ე. ნ. უნახაობის ფორმების მნიშვნელობა ძირითადად გადმოცემით მიღებული ინფორმაციის გამოხატვაა, მაგრამ ზოგჯერ ისინი გამოიყენება ინფერენციული წყაროს შემთხვევაშიც,

თაშორისო ლინგვისტიკაში მიღებული ტერმინოლოგიით ეს წყარო არის **ვერბალობა** (/მედიატივი/):

ქუთათებლს ლელუ ლას ჩუხაშთხპნენახ, ეჩქას ჩიგარ ლგმპზხ ლპქუთპრთე – „ქურდებს ხორცი რომ გაუთავდებოდათ თურმე, მაშინ ყოველთვის მიდიოდნენ თურმე მოსაპარავად (სვ.პრ. ტ. I, 1939,347);

განსაკუთრებით თავისებური შედგენილობისაა || თურმეობითის ფორმები: **ლგ + მა + ანმყოს ფუქე + უნ-ე: ლგ-მ-გპ-უნ < ლგ-მ-გპ-უნ-ე [ლი „აგებდა/აშენებდა თურმე, ნაშენება“; საანალიზო ასპექტით ეს მწკრივი ნეიტრალური ვერსიის ნამყოუსრულის (აგპძა „აშენებდა“) ოპოზიციაა;**

ვ. თოფურია || თურმეობითის მანარმოებელთა გენეზისისას აღნიშნავს, რომ „**მა-, -უნ- აფიქსთა ფუნქცია სარკვევია**“. თუმცა **-უნ-ე** სუფიქსის შესახებ გარდამავალ ზმნებში მკვლევარი ვარაუდობს, რომ **-ე -უნ-** ელემენტის კუთვნილება არ უნდა იყოს (ვ. თოფურია 1967,134). **-უნ-**ის ერთადერთ შესაძლო ფუნქციად, ჩვენი აზრით, კვლავ საანალიზო სემანტიკის – ევიდენციალობის (**ლგ-მ-გპ-პინ „აშენებდა თურმე“**) გამოხატვა რჩება, რომლითაც ის უახლოვდება | თურმეობითს (ბზ. ხსგმჯინა, ბქ. ხსგმუნა „უშენებდა თურმე“);

გარდა გადმოცემითისა, არაპერცეფციული ინფორმაცია შეიძლება იყოს მთქმელის მიერ ნავარაუდევი; ასეთ შემთხვევაში ქართულში ვრცელი კონტექსტია საჭირო, რომელიც შეიცავს მოდალურ ნაწილაკებსა თუ ლექსემებს: **ალბათ, სავარაუდოდ, იქნებ, ვგონებ, ეგების, ვინძლო, ვაითუ...** საგანგებო ორგანული ზმნური ფორმა, რომელიც დაუდასტურებლობას, საეჭვო-

როცა მთქმელი ერთი პერცეფციული თუ გადმოცემითი ინფორმაციის განზოგადების საფუძველზე ქმნის ახალ ინფორმაციას; მაგალითად, თუ მან დილით სველი მიდამოს დანახვისას თქვა: **ლეთი ლგმშჩხინ წლი** – „ნუხელ წვიმდა თურმე“ – მთქმელმის მიერ გადმოცემული ინფორმაციის წყარო ინფერენცია იქნება და არა გადმოცემითობა.

საგარაუდობას, ანუ ეპისტემიკურობას გამოხატავს, სალიტერატურო ენაში არ არის, მხოლოდ ზოგიერთი მწერივი ითავსებს კონტექსტის ფარგლებში ამ სემანტიკის გამოხატვას; „ეპისტემიკური მნიშვნელობა ქართულში შეიძლება გამოხატოს მყოფადმა: საიდან იქნებით? ეს კაცი **თბილისელი იქნება...** ასევე, აღნერითმა რეზულტატიურმა ფორმამ: მიმღეობა + მეშველი ზმნა: „ჩემი წერილი **მიღებული გექნებათ**“ (მყოფადი წარსულში) და ხოლმეობითმა: „ჩემს წერილს უკვე **მიღებდით**“, სადაც ზმნა-შემასმენელი ხოლმეობითობას კი არა, მოვლენის დაუდასტურებლობას, მსჯელობას, ფაქტის საგარაუდობას გულისხმობს და, ამდენად, კონკლუზივს გამოხატავს“ (ვ. ბოედერი, 2000, 281).

საერთაშორისო ლინგვისტიკაში ფართო გაგებით ევიდენციალობა და ეპისტემიკურობა ერთ კატეგორიად განიხილება (ტ. გივონი), მკვლევართა ნაწილის (პ. დენდალე, ნ. კოზინცევა, ე. კორდი...) მოსაზრებით კი ისინი განსხვავებული კატეგორიებია: ევიდენციალობა ინფორმაციის წყაროსთან არის მიმართებაში, ეპისტემიკა კი ინფორმაციის უეჭველობასთან. უკანასკნელი ფორმულირების მიხედვით, ევიდენციალობას ქართველურ ენებში სწორედ მოქმედების უნახაობის აქტი შეესაბამება. ამ თვალსაზრისით სვანური (ისევე, როგორც დანარჩენი ქართველური ენები) მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვეს, რომლებშიც ევიდენციალობის კატეგორიის მნიშვნელობები თავის გამოხატულებას პოვებენ როგორც მორფოლოგიაში, ასევე სინტაქსში. მოქმედების აქტი ქართველურ ენებში, როგორც მწერივის ელემენტი (მორფოლოგია) და ნაწილაკოვანი „სხვათა სიტყვა“ (სინტაქსი), სათანადო დონეზე შესწავლილი როგორც სამამულო, ისე საერთაშორისო ლინგვისტიკაში, თუმცა თავად ევიდენციალობა, რომელიც გაცილებით ფართო ცნებაა, საგანგებოდ არავის უკვლევია ქართველ ენათმეცნიერთაგან (ამ თემაზე ხარისხი დაიცვა მანანა ტოფაძემ ევროპაში, მაგრამ მისი ნაშრომი ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა და, ამდენად, მასზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს). მავე დროს ევიდენციალობა ქარ-

თულში ან ქართველურ ენებში დიდი, ხანია, ჩვენი უცხოელი კო-ლეგების ინტერესის საგანია (ვ. ბოედერი, თ. ვილეტი, ნ. სუმბა-თოვა...); მიუხედავად მათ მიერ წარმოდგენილი მეტად საინტე-რესო ნაშრომებისა, ეპისტემიკურობა რატომღაც დღემდე ნი-შანდობლივად არავის ჩაუთვლია ამ ენ(ებ)ისთვის. უფრო მეტიც, თვლიან, რომ სვანურს, ისევე როგორც ქართულს, ევიდენცია-ლური ფორმების შემდგომი დეტალიზაცია-დიფერენციაცია (ეპისტემიკა, ინფერენცია...) არ ახასიათებს.

სვანური ენის მონაცემების გამოწვლილვით შესწავლამ სხვა სურათი აჩვენა: ამ ენაში არსებობს სპეციალური სინთეზური ზმნური ფორმები, რომლებიც მორფოლოგიურად გამოხატავენ ეპისტემიკას (ინფერენციულ ევიდენცილობას) და ამ ნიშნითო-ბოზიციას ქმნიან თვით მნერივის შიგნით (განსხვავებული წარ-მოების სახეობასთან) ან სხვა მნერივებთან;

ეპისტემიკურია საკუთრივ სვანური სპეციფიკური მნერივი (რომლის ბადალი ფორმები ქართულს არა აქვს) **მყოფადუს-რული (ა-დგარ-უნ-ი <ა-დაგარ-უნ-ი „ქლავდეს იქნება“)**, რომ-ლის **-უნ** - მორფება, ვფიქრობთ, მხოლოდ მატერიალურად როდი ემთხვევა პირობითისა და „უნახავი“ მნერივების ფორმებში წარ-მოდგენილ სუფიქსს, არამედ სწორედაც ევიდენციალობას უკავ-შირდება; ჩვენი აზრით, ის არამხოლოდ ისტორიულად არის აწმყო, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (გ. მაჭავარიანი, 1974, 129), არამედ დღესაც მისი უმთავრესი ფუნქცია მეტყველების თანადროული მოქმედების (/მდგომარე-ობის) გამოხატვაა, ოღონდ სავარაუდობის ელფერით, ანუ ის **ინფერენციული აწმყოა** (კონკრეტული ან ზოგადი, თუმცალა სათანადო კონტექსტში, ცხადია, მყოფადის ფუნქციასაც ითავ-სებს); შესაბამისად გვაქვს **ოპოზიცია: ნეიტრალური აწმყო (ა-ვრ-ი „წერს“) – ინფერენციული აწმყო (ა-ვრ-უნ-ი „იქნებ წერს/ წერდეს იქნება“)**; კონტექსტში მათ გამოყენების სფერო განაწი-ლებული აქვთ და თავისუფლად ვერ ჩაენაცვლებიან ერთმანეთს: **სი ლემზგრადლხანყუშნი ი ლვაჟრს ხაპრანი ჩი ღგნუი, მა-**

დეა? – „შენ შესალოცებს (სეფისკვერებს) **აცხობ ალბათ** („აცხობდე იქნება“) ყოველ დღესასწაულზე და მამაკაცებს **ატან („აპარებდე იქნება“)** **ალბათ, არა?**“ („კოგდორ. ქრონ.“, 2010, 726); ამ წინადადებაში ნეიტრალური აწმყოს ფორმების ჩასმის შემთხვევაში წიუანსის შესანარჩუნებლად აუცილებელია **მგრეს „ალბათ“** ნაწილაკის ჩართვა.

სრული მყოფადი – ძირითადად ორგვარი წარმოებისაა: ა) აწმყოს ფორმიდან მხოლოდ ე. ნ. „წინდებულ-თანდებულით“ (ჟირუ-, სგა-, ქა-) ნაწარმოები და ბ) ძირითადი პრევერბითა (ად-, ან-, ლა-, ეს-) და სუფიქსით (-ინე, -ისგ...) ნაწარმოები. მყოფადის ეს ორი სახეობა სპეციალურ ლიტერატურაში (ვ. თოფურია, 1967, 115; ზ. ჭუმბურიძე, 1986, 184; ა. ონიანი, 1998, 131) დაფიქსირებულია როგორც სემანტიკურად და ფუნქციურად იდენტური, მხოლოდ და მხოლოდ მოდელით განსხვავებული ერთი მწკრივი. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ამ ფორმათა არა მხოლოდ მოდელი, არამედ **სემანტიკაც** ერთმანეთისგან განსხვავებულია (ამიტომაც, ალბათ, სწორი იქნება თუკი უღლების პარადიგმაში მათ ერთი მწკრივის ქვესახეობების კვალიფიკაცია მაინც მიეცემა); მყოფადის ეს სახეობები შეიძლება განვიხილოთ, როგორც **ნეიტრალურობისა** (კატეგორიულობის, პირდაპირევიდენციალურობის) და **ეპისტემიკურობის ოპოზიცია:** **ჩუ-ა-დგპრ-ი „მოკლავს“ – ჩუ-ა-დგრი-ნე „შესაძლოა, მოკლავს“** (/ინფერენციული ფრაზა: „...რომ მოკლას...“); შესაბამისად განსხვავებულია ამ ფორმათა სინტაქსური ფუნქციაც: ეპისტემიკური სემანტიკის მქონე ფორმები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი მოვლენის წინპირობას გამოხატავენ, ძირითადად გვხვდებიან პირობითდამოკიდებულ წინადადებაში და მაქვემდებარებელი კავშირის გარეშე ქმნიან ქვეწყობას: **ლგც უათძიდედ, ექას ჩუ იყვედი გვერე** (სვ. პრ. ტ. I, 1939, 257) – „წყალს [რომ (/თუ) და-ასხამთ, მაშინ დამშვიდდება ტყავი]“ – ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება პირობითია, ზმნა-შემასმენლის მწკრივიც ძირითადპრევერბიანი, ინფერენციული (და

არა ოდენ „წინდებულ-თანდებულიანი“, კატეგორიული – **ჟი-ხაბ-დედ** „დაასხამთ“) მყოფადია, მთავარში კი ძირითადპრევერბიანი, კატეგორიული (და არა ინფერენციული – **ჰდ-ყუსედი** „დამშვიდ-დეს იქნება“) მყოფადის ფორმაა გამოყენებული, ვინაიდან მთქმელი შედეგს საეჭვოდ არ მიიჩნევს დამოკიდებულში გამოთქმული პირობის შესრულების შემთხვევაში.

ეპისტემიკური სემანტიკა ნიშანდობლივია სვანურში პირობითის სახელით ცნობილი მწკრივის ფორმებისთვისაც; უსრული პირობითის ფორმებში კვლავ სახეზეა -უნ- მანარმოებელი და ოპოზიციას ქმნის უწყვეტელთან: ჸ-ირ-დ-ა „წერდა“ – ჸ-ირ-უნ-ბლ „წერდა იქნება; შესაძლოა, წერდა“ – პირველი ფორმა ნეიტრალურია, მეორეში კი კატეგორიულობის ხარისხი დაქვეითებულია – მთქმელი ინფორმაციას სათუო (საეჭვო, სავარაუდო) ცოდნის დონეზე გვანვდის, ამ ინფორმაციის წყარო კი მთქმელის წარმოსახვა, აზროვნება, ინფერენციაა: **ალ ბეფშუ ლექსარს ჰორ-უნ-რლ, ალა მაშ მიხალდა!** – „ეს ბავშვი ლექსებს [თუ წერდა, ეს არ ვიცოდი!“

სრული პირობითი ქართულისებური წარმოების ხოლმეობითთან ქმნის ოპოზიციას: **ჩუშირდა „დაწერდა“ – [ჩუ-ად-ირ-ნ-ა „ალბათ დაწერდა“, „[...რომ/თუ] დაწერდა“:**

ლეთი ლუნ ქშმ ასაშ ი თხერე ჩუადცელისრნა – „ნუხელ ხბო გარეთ დარჩა და მგელი დაგლეჯდა (ალბათ)“; შდრ. ლუნუშარ ხუშვნ ქშმ ნისდენდახ ი თხერე ჩუაცულისრდა (ქართულისებური წარმოების ხოლმეობითი): – „ხბორები ბევრჯერ გარეთ გვრჩებოდა („გვრჩებოდნენ“) და მგელი დაგლეჯდა (ხოლმე)“.

აქტიურ და მედიოაქტიურ ზმნებში ბოლო დროს დავა-დასტურეთ ორი პერფექტული მწკრივი, რომლებიც სვანური ზმნის ულლების ტრადიციულ პარადიგმაში არ ფიქსირდებოდა. ამ მწკრივებს, მათი ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით, პირობით-შედეგობით (resp. ეპისტემიკური რეზულტატივი) I-სა და II-ის კვალიფიკაცია მივანიჭეთ და, ინვერსიული წარმოების, პერფექტულობისა და დატიური კონსტრუქციის გამო, III სერიას

მივაკუთვნეთ.¹ ისინი ზემოაღნიშნულ ოპოზიციას ქმნიან ეპისტემიკის თვალსაზრისით ნეიტრალური შედეგობითი I-II-ის ექსპერიენტიული მნიშვნელობის უპრევერბო ფორმებთან (თავადაც უპრევერბონი არიან); ოპოზიციის წევრთა შორის სემანტიკური განსხვავების ერთადერთი ნიშანი ეპისტემიკა, შესაბამისად, მათი წარმოშობის მიზეზიც ამ მნიშვნელობის საჭიროება უნდა ყოფილიყო; შდრ. ოპოზიციები:

შედეგობითი I: ხ-ო-მ-ა „უჭამია=ნაჭამი აქვს მას ის“ (ფაქტი მთქმელისთვის ცნობილია, უაღტერნატივო) – **პირობით-შედეგობითი** (resp. ეპისტემიკური შედეგობითი) I: **ხ-ე-მ-ი „შესაძლოა (სავარუდოა), უჭამია, ნაჭამი აქვს მას ის“** (მთქმელი ვარაუდობს მისთვის ცნობილი სხვა ფაქტების საფუძველზე, მაგრამ აღტერნატივას უშვებს);

შედეგობითი II: ხ-ო-მ-ან „ეჭამა=ნაჭამი ჰქონდა მას ის“: – პირობით-შედეგობითი (resp. ეპისტემიკური შედეგობითი) II: **ხ-ე-მ-რ-ლ „შესაძლოა (სავარაუდოა), ეჭამა=ნაჭამი ჰქონოდა მას ის/ალბათ ნაჭამი ჰქონდა“.**

ჩამოთვლილი სინთეზური ფორმების არათუ სხვა ენობრივი ოჯახისა და სტრუქტურის ენებზე თარგმნა, არამედ ქართულად განმარტებაც მხოლოდ აღწერითად, მოდალური ლექსემების (ალბათ, შესაძლოა, სავარაუდოდ, იქნებ...) თანხლებით არის შესაძლებელი, რაც თავისთავად მეტყველებს მათს ეპისტემიკურ მნიშვნელობაზე: „თუ თარგმანში მოდალური სიტყვები აუცილებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ წყარო-ენაში (ძირითად მეტყველე-

¹ კვლევისას გამოიკვეთა, რომ III სერიის (პერფექტული დროების) ჩამოყალიბების პროცესში დრო-კილოთა | სერიის ყველა ფორმის ინტერპრეტირება, გადააზრიანება უნდა მომხდარიყო, ქართულ ენაში ეს უკვე ცნობილი და დადასტურებულია, მაგრამ თანამედროვე ქართულში | სერიაში ჩვენ სამი მარკირებული მნერივი გვაქვს, ბუნებრივია, რომ III სერიაც ამავე რაოდენობის მნერივებს მოიცავს, სვანურში კი, როგორც ცნობილია, | სერიაში მწკრივთა რაოდენობა მეტია, ამიტომაც, ვფიქრობთ, III სერიის მონაცემთა ახლებური გააზრება ლოგიკურია.

ბაში) ზმნური ფორმა კომპლექსურად გამოხატავს ინფერენციულობას და გამონათქვამის არასრულფასოვანი სარწმუნობის (სანდონობის) მოდალურ მნიშვნელობას. წყარო ენში ასეთი ფრაზა უშვებს მინიმუმ ორი ალტერნატიული სიტუაციის არსებობის შესაძლებლობას“ (ვ. ხრაკოვსკი 2007, 616–618).

ქართულად განმარტებისას საანალიზო ფორმები ეპისტემიკურობის გამო მოდალობის ნაწილაკთან ერთად კავშირებითის ფორმებს მოითხოვენ, რათა სტილი გამართული აღმოჩნდეს, თუმცა ეპისტემიკურობა, ცხადია, არ ნიშნავს კონიუნქტივს, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას (ამ უკანასკნელისთვის სვანურს სპეციალური ფორმები მოეპოვება ისევე, როგორც ქართულს), კონტექსტის ფარგლებში კი პირობითობის სემანტიკის ზმნები შეიძლება თხრობით კილოსაც გამოხატავდნენ და კავშირებითსაც (ამ თვალსაზრისით ეპისტემიკურ ფორმებთან ქართული II თურმეობითის მსგავსი ვითარებაა: „ამ მწკრივის კილო ჩვეულებრივ თხრობითია, მაგრამ ხშირია მისი გამოყენება III კავშირებითის ნაცვლადაც: იგი იხმარება ისეთი მოქმედების გადმოსაცემადაც, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესრულებისათვის. ამ შემთხვევაში მისი კილოა არა თხრობითი, არამედ პირობითი“ – ა. შანიძე, 1973, 222): ლადი შესწნოს იშდუუშნი (ბქ.) – „დღეს სვანეთში შესაძლოა (/აღბათ) თოვს“ შდრ. ლადი ამჟი გარ იშდუუშნი, მორი მეტრს ეჯღავ უიხადისგ – „დღეს სულ ასე [თუ ითოვა/ [რომ ითოვოს, ორ მეტრს მაინც დადებს („დაადებს“).“

ამრიგად, როგორც მოქმედების აქტი, ასევე ეპისტემიკა სვანურში ორგანული ზმნური ფორმებით გამოიხატება, საანალიზო ფორმათა სემანტიკური და მორფოლოგიური ურთიერთმიმართება კი ასეთია: ყველა საანალიზო მწკრივში მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამთან პირდაპირი აღქმის არარსებობას, მოვლენის შესახებ „იდეალურიდან გადახრილ ცოდნას“ და ინფორმაციის ირიბ წყაროზე (ვერბალობა ან ინფერენცია) მითითებას გულისხმობს; საანალიზო ზმნური ფორმებით სვანურში

გადმოცემულია მოქმედება, რომლის შესახებაც მთქმელმა ა) სხვისგან შეიტყო (მედიატივი) ან შედეგის მიხედვით მსჯელობს (ინფერნცია), ასკვნის (კონკლუზივი); ვერბალობაზე დაფუძნებული ზმნები (I სერიის თურმეობითები, III სერიაში შედეგობითი I და შედეგობითი II) მხოლოდ მოქმედების აქტის უნახაობას გამოხატავენ, ინფორმაციის ნამდვილობა-სანდონბის შეფასების გარეშე; ბ) მთქმელი მოვლენას თავად ვარაუდობს მისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე – ასეთ შემთხვევაში მთქმელის ინფორმაციის ერთადერთი წყარო ინფერნციაა, ამიტომაც ამ უკანასკნელთა (ინფერნციული აწმყო, ინფერნციული მყოფადი, სრული და უსრული პირობითი, პირობით-შედეგობითი I და II) სემანტიკა მოქმედების პოტენციურობასა და ალტერნატიულობას გამოხატავს. როგორც ვერბალობა, ისე ინფერნციულობა გულისხმობს მთქმელსა და ინფორმაციას შორის დისტანციას, რომელსაც არაპერცეფციულობა ან მოვლენის შესახებ „სუსტი“ ცოდნა განაპირობებს, შესაბამისად (განსაკუთრებით ინფერნციისას), ნათქვამის კატეგორიულობის ხარისხი დაქვეითებულია და სწორედ ამ ნიშნით იქმნება სემანტიკური ოპოზიცია ნეიტრალურ მწკრივებთან.

საანალიზო ზმნათა უპრევერბო ფორმებში (როგორც უნახაობის, ისე ინფერნციულ მწკრივებში), რომლებიც, სავარაუდოდ, ენის განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპს განეკუთვნებიან, ფიგურირებს -**V6**- სუფიქსი რომლის ფუნქცია, ვფიქრობთ, ევიდენციალობის გამოხატვაა, არქაულია და კატეგორიების მიხედვით მისი დიფერენციაცია მოგვიანებით უნდა მომხდარიყო. პრევერბიან ზმნებში, რომლებიც ფორმალურად ისედაც განსხვავდებოდნენ „წინდებულ-თანდებულიანთაგან“, სპეციალური ნიშანი საჭირო აღარ იყო და მათ თავისთავად „შეითავსეს“ ის სემანტიკა, რომელიც უწინარეს ფორმებში სუფიქსს ეკისრებოდა.

ჩვენი აზრით, მოქმედების აქტი (უნახაობა) და ეპისტემიკა (სავარაუდობა) სვანურ ზმნაში ისტორიულად ერთი გრამატიკული კატეგორიაა, მორფემის დონეზე გამოხატული და მოგვიანებით სემანტიკურად დიფერენცირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბოედერი, 2000 – W. Boeder, Evidentiality in Georgia, In: Johanson & Utas, Berlin, 2000.
2. ვ. თოფურია, 1967 – ვ. თოფურია, სვანური ენა I, ზმნა, თბ. 1967.
3. ქ. მარგიანი-სუბარი, 2009 – ქ. მარგიანი-სუბარი, პირველი სერიის თურმეობითთა აფიქსების მიმართება სემანტიკასთან სვანურ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, **XXIX**, თბ. 2009.
4. გ. მაჭავარიანი, 1974 – გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ. 1974. ონიანი, 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბ. 1998.
5. სვ. პრ. ტ. I, 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, (ბალსზემოური კილო), თბ. 1939. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1973.
6. ჩანტლაძე, 1983 – ი. ჩანტლაძე, ასპექტის კატეგორიის ისტორიიდან სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის **XXXIX** სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენების თეზისები, თბ. 1983.
7. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, 2007-2010 – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, „კოდორული ქრონიკები“, თბ. 2007-2010.

**TOWARDS THE SEMANTIC AND MORPHOLOGICAL INTERRELATION
BETWEEN EPISTEMICS AND ACTION ACT IN THE SVAN LANGUAGE**

Summary

In Svan the verbs expressing an unseen action and the verbs based on **verbality** (permansives of I series, resultative I and II) as well as epistemic forms which originated on an **inference** ground (inferensive present, future, conditional, conditional-resultative I and II...) imply a distance between a narrator and information. In the first case, the basis of the distance is not seeing the phenomenon with one's own eyes; in the other case, the existence of supposition on the phenomenon. In both cases a source of a narrator's information is indirect perception. The mentioned verbs are marked and, in my opinion, a common marker is **-un-**(/-in-), except for the forms of III series, where the affixation is usually different – supposedly owing to their formation on a different stage of language development and on another basis (reinterpretation of static verbs).

In my view, historically in the Svan language epistemics and action act constitute one grammatical category expressed on morphemic level and later semantically differentiated.

უგულებელმყოფელი კომუნიკატივები დიალოგურ დისკურსში

უგულებელმყოფელი კომუნიკატივები იმგვარი სამეტყველო აქტებია, რომლებიც გამოხატავენ ერთ-ერთი კომუნიკატის დამოკიდებულებას მეორის გამონათქვამის ჭეშმარიტების მიმართ, უფრო ზუსტად, უგულებელყოფენ განსჯის საგნის ჭეშმარიტებას, გამონათქვამის აგების ლოგიკურობას, მის დამაჯერებლობას, სერიოზულობას.

განსჯის საგნის უმნიშვნელო ერთეულთა ჯგუფისათვის მიკუთვნებამ შეიძლება ნულამდე დაიყვანოს ამ საგნის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორიცაა ჭეშმარიტებითი და აქსიოლოგიური შეფასებები. მტკიცება, რომ „რაღაც მართალია და რაღაც მცდარია“ ან „ეს კარგია და ის ცუდია“ წარმოდგენილი სხვადასხვა სიტუაციაში, აბსოლუტურად ნეიტრალიზდება, თუ ამგვარ მსჯელობას მოსდევს ლექსემები: „თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს“; „ეს არ არის მნიშვნელოვანი“, „სისულელეა“, „მონაჩრია“, „ნაბოდვარია“ და მისთ.

დასახელებული ჯგუფის სიტყვა-რეპლიკებით მთქმელი ენინაალმდეგება თანამოსაუბრის მტკიცებას განსჯის საგანთან დაკავშირებით და იმავდროულად საკუთარ შეფასებას წარმოადგენს დიალოგის მონაწილის შეხედულებებსა და მოსაზრებებზე. ამგვარი საპასუხო რეპლიკები ფართოდაა გავრცელებული არა მხოლოდ სასაუბრო მეტყველებაში, არამედ თანამედროვე პოლიტიკურსა და მასმედიურ დიალოგურ დისკურსებში. კომუნიკატივებად გამოყენებულ სიტყვებსა და შესიტყვებებს ჩვეულებრივ თან ახლავს შორისდებულები, ზეპირ მეტყველებაში – ირონიული ან სკეპტიკური ლიმილი, ზოგჯერ კი უდიერი დამო-

კიდებულების გამომხატველი ჟესტიც, მაგალითად, ხელის აქნევა. ეს და სხვა თავისებურებები საფუძველს ქმნის, რომ უგულებელმყოფელი კომუნიკატივები გარკვეული ილოკუციური და პრაგმატიკული ფუნქციების მქონე დამოუკიდებელ გამონათქვა-მებად მივიჩნიოთ.

განსახილველი კომუნიკატივები ყველაზე ხშირად გამონათქვამის ჭეშმარიტების უგულებელსაყოფად გამოიყენება. მოვიხმობთ რამდენიმე კონტექსტს ბეჭდური მედიდან:

„— თქვენ მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეპიდემიის წინაშე ვდგავართ, **აბსურდია!**“

„— შეუძლებელია, ასეთი განცხადებები სერიოზულად აღვიქვათ, ეს სრულიად უსაფუძვლო, **აბსურდული ბრალდებაა**.“

„— ეს რუსული მედიის **ნაბოდვარია!**“

„— რა ინფორმაციასაც ბინაძე და ბურჯანაძე ავრცელებენ, სრული **მონაჩიმახია!**“

„— „ჩრდილოვანი კაბინეტის“ ჩამოყალიბების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ, **ჭორია!**“ და სხვ.

ამგვარ კონტექსტებში გარდა დასახელებული ერთეულებისა გვხვდება უგულებელმყოფელი სხვა ლექსემებიც: „რა სისულელეა!“, „ნონსენსია!“, „უაზრობაა!“, „სიმართლეს არ შეესაბამება!“, „სიცრუეა!“, „ტყუილია!“ და სხვ. გამონათქვამის ჭეშმარიტების უარყოფა ზოგჯერ ზმნის პირიან ფორმათა გამოყენებით ხორციელდება, მაგალითად:

„— რატომ გვატყუებთ?“

„— თქვენ ხომ იცით, რომ ცრუობთ?!“

„— რაებს როშავენ!“

„— ეგენი რას არ იტყვიან, ბოდავენ რაღაცას!“

„— ამას ხომ სერიოზულად ვერც განიხილავთ!“ და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არგუმენტაციის გარეშე გამონათქვამის მცდარობისადმი აპელაცია, მისი შეფასება როგორც არასერიოზულისა და უმნიშვნელოსი, შემფასებლის საწინააღმდეგოდ შეიძლება შემოტრიალდეს, რადგან არგუმენტაცია შე-

ფასების შემავსებელ აუცილებელ სტრუქტურულსა და აზრობრივ კომპონენტს წარმოადგენს. შდრ. რაც არ ესმით, იმაზე შეუძლიათ თქვან, რომ სისულელეა ან რასაც ვერ იგებენ, იმაზე ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი არ არის.

უგულებელმყოფელ კომუნიკატივთა მომხმარებლის რეპუტაციას არანაკლებ საფრთხეს უქმნის, აგრეთვე, ყოველგვარი ფსევდოარგუმენტაცია, მაგალითს კვლავ მედიადისკურსიდან მოვიყვანთ:

„— რატომ მიგაჩინათ ეს ინიციატივა აბსურდულად?

— იმიტომ, რომ აბსურდულია!“

ან:

„— რას მიედ-მოედები!

„— რატომ მკადრებთ?

„— იმიტომ, რომ ბოდავ რაღაცას!“ და სხვ.

ყოველთვის არც არგუმენტირებული უარყოფაა სარწმუნო, მაგრამ მეტად დამაჯერებელი რომ არის, ვიდრე მხოლოდ უგულებელმყოფელი კომუნიკატივები, ამას გაზეთ „რეზონანსიდან“ ამონარიდი შემდეგი კონტექსტიც მოწმობს:

„— რა სისულელეა! რა გინება და რა მუქარა! **ხმამაღლაც კი არ მილაპარაკია!** ეს კაცი, პირდაპირ გეუბნებით, იტყუება“.

დიალოგურ დისკურსში უგულებელმყოფელ კომუნიკატივთა გამოყენებას სტრატეგიული დანიშნულებაც შეიძლება ჰქონდეს. ზოგჯერ მთქმელის ინტენციაა თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულის მიჩრდათება-მიჩქმალვა. ამგვარი სამეტყველო ქმედებით კომუნიკატივის მომხმარებელს სხვების, მაგალითად, დამსწრეების, მსმენელებისა თუ მაყურებლების ყურადღების მოდუნება სურს, რათა მათ არ გაიზიარონ, არ მოიწონონ მის-თვის არახელსაყრელი ინფორმაცია. მოგვყავს ფრაგმენტი ორი მენარმის დიალოგიდან:

„— ჩვენსავე ქარხანაში წარმოებულ პროდუქტს შიდა ბაზარზე გაცილებით იაფად გავყიდით.

„— მაგას რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია ხარისხი!“

მოხმობილ კონტექსტში კომუნიკატივი „მაგას რა მნიშვნელობა აქვს!“ თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულის უგულებელყოფას კი არ ემსახურება, ანუ ფაქტი კი არ დგება ეჭვქვეშ, რომ კონკურენტები მართლაც იაფად გაყიდიან საკუთარი წარმოების საქონელს, არამედ თვით ამ ფაქტის მნიშვნელობაა დამცრობილი, რათა სხვებმა ეს ინფორმაცია სერიოზულად არ მიიღონ და დადებითად არ შეაფასონ.

მსგავს სამეტყველო სიტუაციებში გამოყენებულ კომუნიკატივთა წრე ფართოვდება და ივსება ისეთი ლექსემებით, როგორიცაა: „წვრილმანებია!“, „ნუ დავწვრილმანდებით!“, „დიდი რამე!“, „დიდი ამბავი!“, „რა შუაშია?!“, „არაფერ შუაშია!“, „ბევრი არაფერი!“, „ლაპარაკად არ ღირს!“, „არასერიოზულია!“, „უმნიშვნელოა!“, „რა სათქმელია!“, „სათქმელად არ ღირს!“, „(აქ) რა მოსატანია!“, „ფუჭი სიტყვაა!“ და მისთ.

უგულებელყოფელი კომუნიკატივების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში, თანამოსაუბრის მსჯელობის არათანმიმდევრულობისა და არადამაჯერებლობის დემონსტრირება ხდება, მაგალითად მოგვყავს „კავკასიის“ ტელეეთერით გადაცემული ეროსი კინძარიშვილის შეფასება, რომლითაც იგი ცდილობდა ტელემაყურებელი ბიძინა ივანიშვილის სიტყვების არათანმიმდევრულობაში დაერწმუნებინა და საკუთარი რეპუტაცია ეხსნა: „მე, სოზარ სუბარი და ირაკლი ოქრუაშვილი თანამოაზრები ვართ, ამიტომ ივანიშვილის განცხადება, რომ სუპარი მოსწონს, ოქრუაშვილთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, კინძარიშვილი კი ცუდია, ლოგიკას მოკლებულია“.

პარტნიორ-კომუნიკანტის გამონათქვამის ალოგიკურობის ხაზგასასმელად გამოიყენება შემდეგი ერთეულები: „არალოგიკურია!“, „ლოგიკას მოკლებულია!“, „არათანმიმდევრულია!“, „აბდაუბდაა!“, „რას მიედ-მოედება?!“, „რაებს როშავს!“, „რას ბოდავს!“, „გაუგებარია!“, „უაზრობაა“ და სხვ.

უგულებელყოფელ კომუნიკატივებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით მათ გამოყენებას სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზ-

რისით, რადგან უმრავლეს შემთხვევაში ამ ერთეულებით თანამოსაუბრის პირადი ინტერესები, მსოფლხედვა, თავმოყვარეობა იღახება. ქართული სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით კი მთქმელი საგანგებო პატივისცემასა და კრძალვას უნდა გამოხატავდეს მეორე პირისადმი. არც მესამე პირისადმი განკუთვნილი ამგვარი რეპლიკებია მისაღები, თუნდაც ადრესატის დაუსწრებლად გამოითქმებოდეს ისინი. და მაინც, თავაზიანობისა და ზემოქმედების ხარისხის მიხედვით განსახილველი კომუნიკატივები შეიძლება დაიყოს შეურაცხმყოფელ და ნაკლებშეურაცხმყოფელ ერთეულებად. პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ: „მონაჩმახია!“, „ნაბოდვარია!“, „აბდაუბდაა!“, „რომვაა!“...ამ ჯგუფში მეტი სიმძაფრით გამოირჩევა ზმნის მეორე პირის ფორმები: „რაეს ჩმახავ!“, „ნუ ბოდავ!“, „რას მიედ-მოედები!“ და სხვ. მეორე ჯგუფში გაერთიანდება წიგნური მეტყველებისათვის დამახასიათებელი შედარებით თავაზიანი ლექსმები: „არ არის დამაჯერებელი!“, „არალოგიკურია!“, „ლოგიკას მოკლებულია!“, „არათანმიმდევრულია!“, „არარაციონალურია!“, „ნონსენსია!“ და სხვ.

უგულებელმყოფელი კომუნიკატივები დიალოგის მონაწილეთა შორის მხოლოდ უარყოფითი მუხტის შემომტანი არ არიან, ისინი ამბივალენტურობით ხასიათდებიან და, ზოგჯერ, თანამოსაუბრის გუნება-განწყობილების გაუმჯობესებას, მისი სადარდებლის გაქარწყლებას ემსახურებიან. მაგალითად:

- „— სამსახურში ვინ მიმიღებს, ახლახან გამოვედი ციხიდან.
- „— რა სისულელეა! დიდი ამბავი! ცდები!“

სხვა შემთხვევაში თუ იგივე კომუნიკატივები – „რა სისულელეა!“, „დიდი ამბავი!“ „ცდები!“ – უგულო, დაუდევარ, უპატივცემულო დამოკიდებულებას გამოხატავენ, ამ კონკრეტულ სიტუაციაში თანამოსაუბრის თანაგრძნობას, მის მხარდაჭერას ისახავენ მიზნად.

ამრიგად, უგულებელმყოფელი კომუნიკატივები ენობრივი თვალსაზრისით ძალზე საინტერესო, სოციალური თვალსაზრისით კი ორმაგი ბუნების სამეტყველო აქტებია, რომლებსაც შეუძლიათ როგორც დიალოგის მონაწილეთა დაპირისპირება, ასევე მათ შორის კეთილგანწყობის გაჩერნა.

Salome Omiadze

NEGATING COMMUNICATIVES IN A DIALOGUE DISCOURSE

Summary

Negating communicatives are such speech acts which express an attitude of one communicant towards the truth of other's speech. Exactly, they override the truth of a judging object, logicality of the structure of a statement, its credibility, and seriousness.


The paper discusses the usage of similar comminicatives (*ra sisulelea!* – “What a silly thing it is”//*sisulelea!* – “It is silly”, *uazrobaa* – “It is meaningless”, *monachmakhia* –“It is nonsense”, *nabodvaria* – “It is delirium”, *abdaubdaa* – “It is rubbish”, *nonsensia* – “It is nonsense” and others) from the standpoint of speech etiquette and providing strategy of a dialogue.

ჟესტური ენები

ნებისმიერი ენა არის სისტემა. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, ნებისმიერი ჟესტური ენა წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სისტემას. „ჟესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ხელებით ხდება ინფორმაციის კოდირება და ასევე სახის გამომეტყველებით, გამოხედვით, სხეულისა და თავის განლაგებით და ეს ენა აღიქმება მხედველობით“ (Современные аспекты жестового языка. 2006, 165.) ყოველგვარი ენა არის, უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციო აზროვნების სისტემა. ჟესტურ ენაში ადგილი აქვს გაძლიერებულ ვიზუალურ აზროვნებას. საერთოდ, სიტყვას აქვს გარეგნული და შინაგანი მხარეები. სიტყვის გარეგნული მხარეებია მის ბერითი და ვიზუალურ-გრაფემული (ნერილობითი) კომპონენტები. ნებისმიერი ფორმის მეტყველებისას ამ ორიდან ერთ-ერთი აუცილებელია. ჟესტურ ენას, ცხადია, არ გააჩნია, ბერითი მხარე და, ამდენად, მისი გარეგნული მხარე მთლიანად ეყრდნობა ვიზუალურ კომპონენტს. აქ წამყვანია ვიზუალური აზროვნება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ყრუთა თემის ნევრები სახვითი ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან. ასევე უსინათლო ადამიანებს სპეციფიკურად უვითარდებათ სმენა და მეხსიერებაში აღენიშნებათ ბერითი და მუსიკისადმი მაღალგანვითარებული კოგნიტური ფონი.

ჟესტური ენები მრავალდონიანია. მიიჩნეულია, რომ ამ ენებში გამოიყოფა მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ენობრივი იერარქიის დონეები, ასევე, ჟესტური ენების იერარქიებში არსებობს ლოგიკურ-სემანტიკური ენობრივი დონე. რაც შეეხება ფონეტიკის ერთპლანიან დონეს, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ჟესტურ ენებში აღნიშნავენ ამ დონის

არსებობასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მიუღებელია ამ დონეზე საუბარი. რამდენადაც უესტურ ენებში ჩვენ საქმე არ გვაქვს სამეტყველო ენასთან, ანუ ბგერით ენასთან, აქ ვერ იქნება ფონემა როგორც ასეთი. უესტურ ენებში ერთპლანიანი დონე არის კინემური დონე და უესტი ანუ სიტყვა ან უფრო რთული ერთეული, როგორიცაა ფრაზა ან წინადადება, დაიშლება კინემებად. კინემა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოძრაობას. კინემების აღწერა არის მიმიკა და ქირემის ჯამური აღწერა.



მიმიკა არის სახის გამომეტყველება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია, ხოლო ქირემა – ხელით შესრულებული მოძრაობის ერთეული. ტერმინი „ქირემა“ გამომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ხელი“.

ქირემის ძირითადი კომპონენტებია:

1. ხელის მტევნის გამოხატული ფორმა (ხელის მტევნით გადმოცემული კონკრეტული სიტყვის ფორმა);
2. ხელისგულის მიმართულება;
3. ხელის მოძრაობის ადგილი;
4. ხელის მოძრაობის ტრაქტორია.


ეს კომპონენტები როგორც უესტის კოპონენტები გალადეტის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ სტოუკიმ გამოყო 60-70 წლების მიჯნაზე. უესტი განიხილა როგორც ფონემური დონის ერთეული და ზემოჩამოთვლილ კომპონენტებით წარმოადგინა როგორც მისი მახასიათებლები. ასეთი მიდგომა იყო რევოლუციური. ეს გახდა ახალი ერის დასაწყისი უესტური ენების კვლევების ისტორიაში. ჩვენ პატივს მივაგებთ ამ უდიდეს მეცნიერს,

რომელმაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა უესტური ენების მეცნიერულ ძიებას, დაამტკიცა, რა რომ ეს ენები დამოუკიდებელი თვითკმარი ენებია. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ უილიამ სტოუკიმ პირველმა შეიმუშავა თავისი დროისთვის საკმაოდ პროგრესული უესტის ჩაწერის სისტემა. თუმცა, ფონემურ დონესთან დაკავშირებით, ჩვენ განსხვავებული ხედვა გვაქვს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს არ არის ფონემური დონე, რამდენადაც აյ არ შეიძლება საუბარი იყოს ბგერებსა და ფონემებზე. სიტყვა-უესტი ეს არის მორფოლოგიის სფერო. ხოლო კინემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ქვედა ერთპლანიანი, მაგრამ ორ-განზომილებიანი დონე. სამეტყველო ენის ქვედა იერარქიის უმცირესი ერთეული ფონემა ერთპლანიანია და ის შეიძლება ფაზებად დაიშალოს წარმოთქმის ადგილისა და ხანგრძლივობის მიხედვით. მას აქვს შესაბამისი მახასიათებლები – ხშულობა, ღიაობა, სიყრუე, სიმუღლერე, ნაპრალოვნება და ა. შ.

უესტური ენის ქვედა იერარქიის უმცირესი ერთეული – კინემა ერთპლანიანია, მაგრამ ორნევრიანი. კინემა შედგება ქირემისა და მიმიკისგან და თითოეულ მათგანს აქვს თავისი შესაბამისი მახასიათებლები – ზემოთ წარმოდგენილი ქირემის კომპონენტები და, ასევე, მიმიკის ნიშნები. მიმიკა ხშირად გადმოსცემს ინტონაციას და დამოკიდებულებას. მისი ძირითადი მახასიათებლებია კითხვითობა და დამოკიდებულების ფორმების გადმოცემა. დამოკიდებულებაში გადმოცემა ის ნიუანსები, რასაც ხშირად სამეტყველო ენა არ ვერ ასახავს წერილობით ფორმებში და ზეპირმეტყველებაში მხოლოდ ინტონაციით ხდება შესაძლებელი ამის გადმოცემა. მაგალითად, მარტივი თხრობითი წინადადება „კაცი მოვიდა“. შეიძლება ირონიითაც იყოს მოწოდებული, ან გარკვეული ორაზროვნებით იყოს ინტონაციურად შეფერილი და ამ კონკრეტული ორაზროვნების შინაარსი მხოლოდ კომუნიკატორმა პირებმა იცოდნენ. შესაძლოა, ეს იყოს აღტაცებითი შინაარსის სათქმელიც. საუბრისას ასეთ ნიუანსებს ინტონაციასთან ერთად მიმიკაც ასრულებს სამეტყველო ენებში.

ხოლო უესტურ ენებში ასეთი შინაარსის გადმოცემა მთლიანად მიმიკაზეა დამოკიდებული.

უესტური ენების დახასიათება სხვაგვარადაც შეიძლება. შეიძლება ითქვას, რომ უესტური ენა არის კიმენატოგრაფიული ენა. უესტურ ენებში არსებობს უესტური ენობრივი კონსტრუქ-ციები, რომლებიც წარმოდგენილია სამგანზომილებიან სივ-რცეში და აქ ყველა კომპონენტი ჩართულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა-უესტი ასეთ სისტემაში დახასიათდება შემდეგნაირად:



სიტყვა-უესტი, შედგენილობის მიხედვით, შეიძლება იყოს სამგვარი ფორმის:

1. მხოლოდ უესტით გამოხატული (მაგ. კაცი, ქალი);
2. უესტითადა ერთი დაქტილით გადმოცემული (მაგ. ევროპა – ე+უესტი, აზია – ა+უესტი);
3. უესტითა და რამდენიმე დაქტილით გადმოცემული (მაგ. ოკეანე ოკ + უესტი).

აქ წარმოდგენილი ბოლო ორი ფორმა არის კომპინირებული – დაქტილურ-უესტური. კომპინირებულ სიტყვა-უესტებში დაქტილი ან დაქტილები შეიძლება იყოს უესტის წინ ან უკან მოსდევდეს უესტს. ქართულ ენას თითქმის არ ახასიათებს უესტის შემდეგ დაქტილის ან დაქტილების დართვა. რუსული უესტური ენისთვის უფრო დამახასიათებელია ასეთი წყობა. (მაგალითად, მარილის აღმნიშვნელ სიტყვა-უესტს რუსული ენა დაურთავს რბილ წიშანის გამომხატველ დაქტილს).

სიტყვა-ჟესტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან ორი ხელით.

ორხელიანი ჟესტის შემთხვევაში თუკი ორივე ხელი ერთნაირ მოძრაობას ასრულებს ეს არის **სიმეტრიული ჟესტი**, ხოლო თუკი სხვადასხვა მოძრაობები სრულდება, მაშინ გვაქვს **ასიმეტრიული ჟესტი**. ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელი უფრო აქტიურ მოძრაობებს ასრულებს მეორესთნ შედარებით და ეს ენობრივი მოვლენა განისაზღვრება როგორც **დომინანტი კონდიცია**, ხოლო მეორე ნაკლებად აქტიური ხელის პოზიციას ეწოდება **პასიური კონდიცია** (ASL 1980, გვ. 82).

შარლოტა ბეიკერ-შენკი და დენის კუკელი წიგნში „ამერიკული ჟესტური ენა“ (Ch. Baker-Shenk, D. Cokely, 1980, 82-83) ჟესტებს ყოფენ მარკირებულ და არამარკირებულ ჟესტებად. მათი აღნიშვნით, არამარკირებულია ჟესტი, რომელიც ხელის იოლი კონფიგურაცით გაძმოიცემა, ხოლო მარკირებული ჟესტი რთული კონფიგურაცით აღინიშნება. ჩვენ ამ ტერმინებს სხვა მნიშვნელობით გამოვიყენებთ: ჩვენი განსაზღვრებით, მარკირებული გახლავთ საგნის იკონოგრაფიული ჟესტები და მოქმედების პანტომიმური ჟესტები. ეს არის ჟესტები, რომლებიც საგანს ან მოქმედებას პირდაპირი მარკირებით გადმოსცემენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟესტის მარკირება ხდება საგნის ან მოქმედების ნიშნით. სწორედ ასეთი მარკირებული ჟესტები არის უნივერსალური ხასიათისაა და, ამიტომაც, ისინი სხვადასხვა ენებში შეიძლება გამეორდეს იგივე სემანტიკით. ხოლო აბსტრაქტული ფორმის ჟესტები იქნება არამარკირებული.

თავისი ლინგვისტური ფუნქციით ჟესტი შეიძლება იყოს ლექსიკური, სემანტიკურ-გრამატიკული ან ოდენ გრამატიკული. მაგალითად, ქართული ჟესტურ ენაში არსებული ერგატიულობის, ან ირიბი მიმართვის ჟესტები ოდენ გრამატიკული ჟესტებია, თანდებულები და ზმნისწინების გამომხატველი ჟესტები – სემანტიკურ-გრამატიკული, ხოლო არსებითი სახელების შესაბამისი სიტყვა-ჟესტები კი ლექსიკური ფუნქციის მქონე ჟესტებია.

უესტური ენები უნდა გაიმიჯნოს სამეტყველო ენებში გა-
მოყენებული უესტ-მიმიკებისაგან ანუ ე. წ. ექსტრალინგვის-
ტური ფაქტორებისგან. უესტურ ენაში უესტ-მიმიკა ურთიერ-
თობის საყრდენი და ერთადერთი საშუალებაა – აქ გვაქვს საყრ-
დენი უესტური კომუნიკაცია. ხოლო სამეტყველო ენებში ეს და-
მატებითი ფაქტორია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ინტერპრე-
ტაცია აქვს. გარკვეულ შემთხვევებში სამეტყველო ენებში გამო-
ყენებული უესტიკულაცია, შესაძლოა, ჩაითვალოს დაბალი სა-
მეტყველო კულტურის ნიშნად ან ფამილარობად. ასეთი ტიპის
პარალინგვისტური მონაცემები მნიშვნელოვანია ე.წ. სხეულის
ენის ასახსნელად და სიცრუის დეტექტორების პროგრამული
კოორდინაციისთვის.

დასაშვებია, რომ რომელიმე უესტი ან მოძრაობა ერთამნეთს
ემთხვეოდეს ერთი და იმავე ენის სამეტყველო და უესტურ ფორ-
მებში. (მაგალითად, ასეა დამშვიდობება ქართულში), მაგრამ
აქაც ამ მცირედი ქირემული ნიუანსების მყარი ცოდნაა საჭირო,
რომ სხვა შინაარსი არ გადავცეთ უნებლიერ (მაგალითად, არ
მივესალმოთ დამშვიდობების მაგივრად. ეს შეიძლება ცინიკურ
ნიშნად მიიღონ). საერთოდ, საჭიროა ყრუთა თემის კულტურის
სიღმისული შესწავლა და მათი თავისებურებების გამოვლენა.
ყველა ამ თემს აქვს თავისი შესაბამისი დაუწერელი ენობრივი
ეთიკის ნორმები. მაგალითად, თუ რამდენიმე ყრუთა საზოგა-
დოებაში ორი ადამიანს აქვს ერთმანეთთან წერილობითი ურთი-
ერთობა, ეს უზრდელობად ითვლება. ასეთი რამ მეტყველ სა-
ზოგადოებაში გადაჩურჩულების ტოლფასია და შეფასდება, რო-
გორც უკადრისი საქციელი. ქართული უესტური ენისთვის მიუ-
ღებელია მეორე პირისადმი პირდაპირი მინიშნება გაშვერილი
თითით, თუკი მეორე პირის დასახელების პირდაპირი აუცილებ-
ლობა არ არის. ქართული უესტური ენა გაურბის მეორე პირი-
სადმი ვიზუალურ ფამილარიზაციას. მეტყველების სუბიექტი
ყოველთვის ერიდება, რომ პირდაპირ მიუშვიროს თითი
მოსაუბრეს.

იმის მიხედვით, თუ რომელი ენობრივი კუთვნილების გარემო აქვთ, ყრუთა თემები აყალიბებენ შესაბამის ენობრივ ერთეულებს. ამ ენებშიც გამოიყოფა დიალექტური და სოციოლექტური ფორმები. მაგრამ დამოუკიდებელი ჟესტური ენების გრამატიკა არ მიჰყვება სამეტყველო ენების სტრუქტურას, არამედ ისინი აგებულია ძირითადი სემანტიკური კატეგორიების ლოგიკურ-ენობრივი ერთეულების სტრუქტურებზე, ამიტომ ამ ენაში ბევრი რამ არის ლინგვისტური ტიპოლოგიისათვის საინტერესო. აქ შეიძლება მრავალი უნივერსალური ერთეულიც იყოს, მაგრამ კონკრეტული ჟესტური ცოდნის გარეშე ამ თითქოს უწყინარი სიტყვების გამოყენება არ შეიძლება, რადგანაც რომელიმე კონკრეტული ყრუთა თემის კულტურისათვის ის შეიძლება მიუღებელი ან შეურაცხმყოფელიც კი აღმოჩნდეს.

ნებისმიერი ენა არის სისტემა. ჟესტური ენა თუკი დამოუკიდებელი სისტემა, სულაც არ არის სავალდებულო, რომ მან გაიმეოროს ან გაიზიაროს ენის იერარქიის იგივე დონეები, რაც გააჩნია სამეტყველო ენას. აქფონოლოგიურ დონეზე უბრალიდ საუბარიც არ შეიძლება. ბუნებრივია, რომ ჟესტური ენების ლინგვისტური ანალიზი მაინც ხშირად მიდის იმ გზით, რომ განიხილოს სამეტყველო ენებში არსებული კატეგორიების ასახვა ჟესტური ენებში. ჩვენ გვსურს ეს ორმხრივი ურთიერთობა იყოს და სამეტყველო ენებზე მომუშავე ლინგვისტებმა მხედველობაში მიიღონ ჟესტური ენების მონაცემები შესაბამისი დასკვნების გაკეთებისას. ავიღოთ ერთი მაგალითი: ჩვენი აზრით, ენათმეცნიერებმა, ალბათ, უნდა გაიზიარონ ახალი მიდგომა ენობრივი უნივერსალიებისადმი და გადაისინჯოს აბსოლუტური უნივერსალიები, იმ თვალსაზრისით, ვრცელდება თუ არა ესა თუ ის უნივერსალია ჟესტურ ენებშიც. შესაბამისად, აბსოლუტური უნივერსალია იქნება ის უნივერსალია, რომელიც ორივე ტიპის ენაში გავრცელდება. მაგალითად ასეთი უნივერსალიებია:

1. „ყველა ენაში არის კუთვნილებითი ფორმები / კატეგორიები“;

2. „ყველა ენაში არის საგნის აღმნიშვნელი სიტყვები“;
3. „ყველა ენაში არის მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები“;
4. „ყველა ენაში არის დროის კატეგორია“;
5. „ყველა ენაში არის სივრცითი სისტემები“ და ა.შ.

მაგრამ ჩვენთვის კარგად ცნობილი აბსოლუტური უნივერსალია „ყველა ენაში არის მულერი და ყრუ ბგერები“ ამ პოზიციიდან ვერ იქნება აბსოლუტური. რადგანაც უესტური ენები ამას მხარს არ დაუჭერს. მაშასადამე, ეს იქნება ორმხრივი სტატისტიკური უნივერსალია და გავრცელდება მხოლოდ სამეტყველო ენებზე.

ნებისმიერ ენას განსაზღვრავს ყოფა – მრავალი თვალ-საზრისით. ამდენად, არც გასაკვირია თუკი უამრავი რამ იქნება საერთო დამოუკიდებელი ჟესტური ენებისა და სამეტყველო ენებისათვის. უესტურ ენებში, უფრო სწორი იქნებოდა ლოგიკურ-სემანტიკური სისტემების გრამატიკალიზაციის პროცესების აღწერა და არა მეტყველების ნაწილების მიხედვით უესტური ენების გრამატიკის შექმნა. ძირითადი ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიები უნივერსალურია და ყოველი ენა თავისი სისტემის შესაძლებლობების ფარგლებში სხვადასხვანაირად გადმოსცემს ამ კატეგორიებს. მეტყველების ნაწილების მკვეთრი გამიჯვნა საკმაოდ რთულია ჟესტურ ენებში; მაგალითად, საგანი, ერთი შეხედვით, ადვილად განსხვავდება თვისებისგან ან მოქმედებისგან, მაგრამ, შესაძლოა, საგანი მისთვის დამახასიათებლი ჟესტით ან შესაბამისი მოქმედების აღმნიშვნელი ჟესტით იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში მორფოლოგია ფორმას ვეღარ გულისხმობს – როგორც ეს სამეტყველო ენების მწყობრ სისტემაშია. თვისება და საგანი ან მოქმედება შეიძლება იყოს ფორმობრივად გაუმიჯნავი. ამიტომაც, ტრადიციული მეტყველების ნაწილების ნაცვლად, აქ გვექნება ძირითადი ლოგიკურ-სემატიკური კატეგორიები – როგორც მორფო-სინტაქსური სისტემის უმთავრესი ერთეულები. ეს კატეგორიები ასახავენ შემდეგ ცნებებს: დრო, სივრცე, კლასის კატეგორია, საგანი, თვისება, მოქმედება, კუთვნილება, ხარისხი და რაოდენობა.

ცნობილია, რომ მეტყველება მხოლოდ ადამიანის კლასის კუთვნილებაა და ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ კლასისთვის. როგორ დგას საკითხი ჟესტური ენის შემთხვევაში? ჟესტური ენა ეს არის ენობრივი აზროვნების განსხვავებული კინემური ფორმა. ჟესტური ენა, როგორც საუკეთესო ლინგვო-ვიზუალური სისტემა, წარმოაჩენს ლიგვისტურ ერთეულებს, რომელთა კანონზომიერი ურთიერთმიმართებები ქმნის ერთიან ენობრივ სტრუქტურას.

ადამიანი განსხვავებულია სხვა სულიერი არსებებისაგან მეტყველებით და ხელით. ხელი – ეს არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ამ სხვაობაში. ჟესტური ენა იძლევა ამ ორი სხვაობის კომბინაციას. ზოგადად რომ ვისაუბროთ, მეტყველება ზოგ ცხოველს ან ფრინველსაც შეუძლია. ცნობილია მოლაპარაკე თუთიყუშის ჯიშები, ასევე, მეტყველება შეუძლიათ ჩხიკვებს, ჯაფარებს, ყვავებს და ძალიან იშვიათად, ძაღლს ან კატას, თუმცა, აქ გვაქვს უფრო შეზღუდული ფორმები. მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლია დანაწევრებული მეტყველება და სწორედ ეს არის ადამიანის ენის ძირითადი ნიშანი. ხელთან მიმართებაშიც შეიძლება ითქვას, რომ მაიმუნს აქვს შედარებით დახვეწილი ხელი და შეუძლია უამრავი ოპერაციის შესრულება. მაგრამ მას არ შეუძლია დაქტილური ანბანის ილუსტრირება, ან რამე რთული ჟესტის შესრულება. მით უფრო გამორიცხულია ჟესტური ენების მინიმალური კინემური დონის მიღწევა ცხოველებში. თუმცა, გარკვეული ფონეტიკური დონე წარმატებით შეგვიძლია აღვნეროთ არა-ადამიანთა მეტყველებაში.

საერთოდ, ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სულიერი არსებებისაგან არის ის, რომ ადამიანმა შექმნა შრომის იარაღი – ეს არის კოგნიტურ-მანუალური აქტი. აქ უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ სწორედ ხელი და ხელით ნაწარმოები პროდუქტი გახდა ძირითადი ნიშანი ადამიანის სხვაობისა.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტიპის მეტყველებას – ბერითსაც და უესტურსაც წარმართავს აზროვნება და აქ გვაქვს მჭიდრო ორმხრივი ურთიერთკავშირი. პირველ შემთხვევაში, ენობრივ სისტემას აყალიბებს აზრი და ბერა ან ასო, მეორე შემთხვევაში კი აზრი და კინემა, ანუ მოძრაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო ენებისგან განსხვავებით უესტური ენები მინიმალიზებულია. ლაკონიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ნებისმიერი უესტური ენისთვის. თუმცა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ უესტური ენები სამეტყველო ენების გარკვეულ გავლენას განიცდიან. საერთოდ, უესტური ენების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – დამოუკიდებელი და შესაბამისი სამეტყველო ენიდან კალკირებული. ყრუთა თემების წევრები, უმეტეს შემთხვევებში, ბილინგვიზმით ხასიათდებიან. მათ აქვთ ორი ენობრივი კუთვნილება – უესტური და სამეტყველო ენა, რომელზეც ისინი წერენ, კითხულობენ წიგნებს და უყურებენ ფილმებსა და გადაცემებს სუბტიტრებით. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ყრუთა თემის წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფლად წერა-კითხვა, ცხადია, უესტური ენები უფრო მეტ გავლენას განიცდიან სამეტყველო ენიბისგან. ამდენად, მეტია მიდრეკილება კალკირებისაკენ. მაგრამ უესტური ენების სისტემური რაციონალიზმი და შინაგანი ენობრივი ლაკონიზმი მაინც არ იძლევა სრული კალკირების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ უესტურ ენებში ყურადღება ექცევა უესტის სირბილეს და ელასტიკურობას – როგორც კეთილხმოვანება გახლავთ საყურადღებო ფაქტორი სამეტყველო ენებისთვის. ამ ენებშიც, ისევე როგორც სამეტყველო ენებში, მიუღებელია უცხო სიტყვათა ექსპანსია და ბარბარიზმები.

ქართული უესტური ენა ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა რუსულის გავლენას, რამდენადაც თემის აქტიური წევრების უმრავლესობა არაქართული წარმოშობის იყო და არც არსებობდა არანაირი სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის წიგნი საკუთრივ ქართული უესტური ენის შესახებ. რუსული ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე

ლექსიკაშიც. იდენტური ენობრივი მოვლენები განვითარდა უკრაინასა და ბელოსრუსიაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა პაზად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და, საბოლოოდ, მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკისაგან განსახვავებით, ჟესტური ენის გრამატიკული დონეები შედარებით თავისუფალია რუსული ზე-გავლენისა და ნასესხობებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. **E. Costello**, 1994 – Elaine Costello, American Sign language Dictionary. Random House Webster's. NY. 1994.
2. **Ch. Baker-Shenk, D. Cokely**, 1980 – Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980.
3. **GIF, 2003** – GIF, Gesture Languages of Friendship 2003 Gesture languages of Friendship. Volume II. Saint Petersburg. 2003.
4. **В. Базоев, В. Паленный**, 2002 1999 – Базоев В. З. Паленный В.А. Человек из мира тишины. «Академкнига» Москва, 2002.
5. **Г. Зайцева, 1999** – Зайцева Г. Л. Русский жестовый язык. Курс для начинающих. Учебно-методическое пособие. Научно-методический центр социально-педагогических проблем обучения глухих и жестового языка. М. 1999.
5. Современные аспекты жестового языка, 2006 – Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006.
6. Современные аспекты жестового языка, 2006 – Современные аспекты жестового языка. Е. Прозорова, А. Кибрик, Референция в звучащих и жестовых языках. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006.
7. **Р. Фрадкина 2001** – Р. Фрадкина, Говорящие руки. Тематический словарь жестового языка глухих России. Москва, 2001.
8. **ა. ბატატუნაშვილი**, 2008 – ბატატუნაშვილი ა. „მოლაპარაკე ხელები“ ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. თბილისი, 2008.

SIGN LANGUAGES

Summary


Any language is a system. Sign languages have their linguistic systems just like spoken languages. They are visual spatial languages, where the information is coded by the hands, facial mimics and head and body position. Such language is perceived by vision.

Sign Languages are multi-levelled. It is considered that in such languages morphological, syntactic and lexical levels of language hierarchy can be separated; the hierarchies of sign languages also include a logical-semantic level. We disagree with the opinion exposing the phonological level in these languages. Due to the fact that sign languages are different from spoken languages as they are soundless, they have no phonemes at all. Instead of phonological level we argue to expose a cinematic level and we can split the sign words into the cinemas, which will consist of chiremas and mimics.



A mimic is a facial expression with the concrete grammatical function and a chirema (with all its components) is a sign performed by hands.

There are the linguistic constructions in sign languages which are introduced into the 3D space and all the components participate in this communication system. The word-sign in such a system can be exposed as follows:



Both types of speech with sound and sign are directed by thinking. We have a close two-way relation between the language and thinking. In case of spoken languages the linguistic system is created by ideas and sounds or letters, while in case of sign languages the linguistic system is based on ideas and the cinema or movement.

მაია მაღუაშვილი

სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიციები ტაოში, იმერხევსა და თუშეთში

(ანგარიში)

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაფინანსებითა და „ქართველური ენათმეცნიერების“ პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მონაწილებით ყოველწლიურად ეწყობა სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიციები, რისთვისაც გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფ. დარეჯან თვალთვაძეს, ასევე პროფ. დამანა მელიქიშვილსა და პროფ. რამაზ ქურდაძეს, ქართული ენის ინსტიტუტში არსებული ამ კარგი ტრადიციის გაგრძელებისათვის, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულად ხდება მასალაზე მუშაობა და ექსპედიციებში გატარებული ყოველი დღე და თითოეულ რესპონდენტთან შეხვედრა დაუვიწყარია ყველა მონაწილისათვის.

ორი ექსპედიცია დაიგეგმა და განხორციელდა 2011 წლის ზაფხულშიც: 1) ტაოსა და იმერხევში – თურქეთში (18–26 ივლისი) და 2) თუშეთში (3–13 აგვისტო). ექსპედიციების მიზანი იყო მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ნაშრომებისათვის დიალექტური მასალების შეკრება, დიალექტებში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და ენობრივი ინტერფერენციული მოვლენების კვლევა. შესაბამისად, მუშაობაც ამ მიმართულებებით წარიმართა.

ექსპედიციების იდეა პროფ. დამანა მელიქიშვილს ეკუთვნოდა და რადგან თურქეთის ტერიტორიაზე რთული იქნებოდა

ექსპედიციის დამოუკიდებლად მოწყობა, განხორციელდა ერთობლივი ექსპედიცია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად. ქუთაისის ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ინტენსიურად აწყობს ექსპედიციებს იმერჩევსა და ტაოში და დიდი დახმარება გაგვინია ჩვენც, რისთვისაც მისი მადლობლები ვართ. ჩვენი ჯგუფის წევრები იყვნენ: **მაგისტრანტები – ლელა ნიკოლაძე, ეკა მემარნიშვილი, სოფია შამუგია და დოქტორანტები – ნათია ფუტკარაძე, მაია მაღუაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი).**

რაც შეეხება თუშეთის ექსპედიციას, მისი წევრები იყვნენ: **მაგისტრანტი გვანცა შუბითიძე და დოქტორანტი მაია მაღუაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი).** მადლიერების გრძნობა გვინდა გამოვხატოთ პროფ. თედო უთურგაძის მიმართ თუშეთის ექსპედიციის დაგეგმვასა და განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ორივე ექსპედიციისას მოგვეცა ნაყოფიერად მუშაობისა და საინტერესო მასალის შეგროვების საშუალება. ასევე გვკონდა ისტორიული ძეგლების მოლლცვა-მონახულების ბედნიერება. მცირე დროის მოუხედავად, ვესტუმრეთ ბევრ სოფელს და შევხვდით უამრავ საინტერესო პიროვნებას, რომლებთან ურთიერთობაც ძალზე სასარგებლო იყო ჩვენთვის როგორც ლინგვისტური, ისე ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით. თითოეულ უხუცეს რესპონდენტთან შეხვედრისას მძაფრად ვგრძნობდით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსგავსი ექსპედიციების მოწყობას მათს მესსიერებაში დაუჯებული ზეპირი ისტორიების აღსანერად.

მოკლედ წარმოგიდგენთ ექსპედიციების დროს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს:

ექსპედიცია ტაოსა და იმერხევში

სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაოსა და იმერხევში 18-დან 26 ივლისამდე მიმდინარეობდა. ექსპედიციის მიზანი იყო ტაოსა და იმერხევის ადგილობრივი მოსახელეობის (ქართველების) მეტყველების თავისებურებებზე დაკვირვება იქ არსებული ორენოვნების პირობებში. შესაბამისად, ვენვიეთ ტაოს, იმერხევისა და ნიგალის ხეობის „მოქართულე“ სოფლებს:

ტაო: ხევაი, ბალხი, ქვაბაი//ქობაი, ყარამანლები, იეთი, სადგიყანა, დევსაკარა, ელიასხევი.

იმერხევი: ქოქლიეთი.

ნიგალის ხეობა: დევისქელი, ქლასქური. ექსპედიციისას მოვინახულეთ ტაო-კლარჯეთის უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული ძეგლები: არტანუჯის ციხე, პარხალი, ოთხთა, იშხანი, ხახული, ოშკი, ტბეთი, ხანძთა (რომლის ნახვაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო ჩვენთვის).



ჩვენი რესპონდენტები იყვნენ:

ტაო:

ხევაი

რამაზან ფეხლივანი – 19 წლის, ოსმან ბათმაზი – 46 წლის, ერდემ ბაქანი – 50 წლის, გუნერ ჩაუშოლლუ – 75 წლის, ქამირ ბათმაზი – 82 წლის, ერქან გული – 36 წლის, სეიფ ილდიმირი – 53 წლის.

ბალხი

ნურან ფეხლივან-გული – 30 წლის, სიბეღ ფეხლივან-გული – 25 წლის, ევქიე თორუპი – 32 წლის, ნურან იალჩინი – 55 წლის.

ქვაბაი/ქობაი

ზამან მუზეიენი – 60 წლის, მეპმედ კუმბასარი – 53 წლის, საიდა სედიე – 52 წლის, აბდურაჰმან იზამანი – 71 წლის, ჰუსეინ ოზთურქი – ერშოლლუ – 50 წლის, ნიზამ თურგუთი – 58 წლის.

ქვაბაის იაილა (ძველაგარა)

ონურ სარიკაია (ოთარ კაცაძე) – 19 წლის, აპმედ სარიკაია – 67 წლის, რესულ გენჩთურქი – 50 წლის, ფატმა ქუჩუკბოიაზი – 63 წლის, გონულ ქუჩუკბოიაზი – 37 წლის, ოზელ აიდემირი – 40 წლის.



ყარამანლები

ფერდიე თოფალი – 85 წლის, გულუმსერ თოფალი – 54 წლის, ქევსერ იაზიჯი – 65 წლის.

იეთი

იბრაგიმ ბაქაი – 55 წლის, ფატმა ჩელიქი – 38 წლის, ილმაზ შარავე – 73 წლის.

სადგიყანა

კაულა ბეიჯე – 89 წლის, ჰათუნ ჩელიქი – 47 წლის.

დევსაკარა

სებათ გულიერი – 70 წლის, ჰიქმეთ ქელეში – 55 წლის, ასიე ქელეში – 55 წლის

ემინე ქეჩეჯი – 46 წლის.

ელიასხევი

ხალიბ იაზიჯოლუ – 37 წლის, ნეზაპათ აჯა (აჯარიშვილი) – 46 წლის, ფატმა აჯა

(აჯარიშვილი) – 79 წლის, ალო აი – 81 წლის, ნაზ ფენერი – 70 წლის.



იმერხევი:

ქოქლიეთი

სოლმაზ ექინი (ჯაფარიძე) – 50 წლის, ნიაზ ექინი (ჯაფარიძე) – 51 წლის, გიუნერ ექინი – 56 წლის, ჰუსნიე ჩელიქი – 55 წლის, ჰასან ჩელიქი – 69 წლის, ჰევა ჩელიქი – 62 წლის, მელიჲ გულფიდანი – 74 წლის, ამეთ იალჯი – 37 წლის, შევქედ შიმშექრი

– 77 წლის, ზექიე ექინი – 60 წლის, შაჰინ ფაქიზი – 49 წლის, ალ-თუნელ ალი დურაქოლლუ – 50 წლის, აიშე ქედაი – 63 წლის, თორღო ბაირალი – 47 წლის.

ნიგალის ხეობა:

დევისქელი

ოსმან აიდემირი (როინიშვილი) – 47 წლის, ჰატიჯე ილმაზ-თურქი – 53 წლის, მემედ ილმაზთურქი – 86 წლის.

ქლასქური

ქარიმ ქესიჯი – 31 წლის, აიშე ქესიჯი (ქარა) – 26 წლის,



ნურან იალჩინი – 55 წლის, ჰაქან ქესიჯი – 31 წლის, ზექიერ გული (გულაშვილი) – 79 წლის, ოზლემ გული (გულაშვილი) – 24 წლის, გულფიდან მელიპი – 74 წლის, მევლუდ ადაში (ჭვინტაძე) – 68 წლის, აიშე ადაში (ჭვინტაძე) – 97 წლის. აიშე ადაში (ჭვინტაძე) – 97 წლის.

ალსანიშნავია, რომ ტაოსა და იმერხევის ძირძველ მოსახლეებს, რომლებიც თავიანთ თავებს „გურჯებს“ უწოდებენ, მეტნაკლებად ახსოვთ ქართული ენა. საგულისმოა, რომ ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა შავშეთ-იმერხევში, ტაოში კი ქართული, ძირითადად, უფროსი თაობის ნარმომადგენლებმა იციან; ახალ-

გაზრდების უმეტესობას ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, რასაც მათი მშობლები დანანებით აღნიშნავდნენ ჩვენთან საუბრისას: „ჩემი ბგანო ვერ იხვარათებს გურჯივა“ (ჩემი გოგო ვერ ილაპარაკებს ქართულად). თუმცა არიან ისეთი ახალგაზრდებიც (ონურ სარიკაია; ნერიმან ალბაირაკი...), რომლებიც კარგად მეტყველებენ ქართულად, რადგან თავად ჰქონიათ ქართულის სწავლის დიდი სურვილი. ისინი ამაყობენ იმით, რომ ქართველები არიან. აღნიშნული ფაქტი და, ზოგადად, იქაური ავტოქ-თონი ქართველების მიერ ქართული იდენტობის განცდა, ჩვენთვის ძალზე გასახარი იყო. მათი უმრავლესობა კითხვაზე – სადაური ხართ? გვპასუხობდა: „გურჯები (ქართველები) ვართა“.

ტაოელ და იმერხეველ ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად ბევრი საინტერესო საკითხი გამოიკვეთა. ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე თურქულის დიდი გავლენა განიცადა და დღესაც განიცდის, რაც აისახება კიდეც სიტყვათწარმოებაზე, ლექსიკურ და სინტაქსურ კალკებზე. რიგ შემთხვევებში ხდება ქართული და თურქული მოდელების შერევაც. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია თურქული ენის გავლენის კვლევა; საინტერესო შედეგებს ვიღებთ ტაოურისა და იმერხეული დიალექტების გრამატიკული სტრუქტურის შესწავლისას გამოკვეთილი საკითხების სალიტერატურო ქართულისა და სხვა დიალექტების მონაცემებთან შედარების შედეგად. სწორედ ამ მიმართულებებით იმუშავეს ექსპედიციის წევრებმა, რომლებმაც უკვე დაამუშავეს ჩაწერილი მასალის დიდი ნაწილი და კონფერენციაზეც წარმოადგინეს ტექსტების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საკითხები. საბოლოო დასკვნები კი მათს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში იქნება წარმოდგენილი.

ექსპედიცია თუშეთში

თუშეთის ექსპედიცია 3-დან 13 აგვისტომდე მიმდინარეობდა. ექსპედიცია დაიგეგმა თუშურ დიალექტს, წოვათუშურ ენასა და წოვათუშების ქართულ მეტყველებას შორის არსებული ურთიერთგავლენის აღსანერად და გასაანალიზებლად. ასევე საკუთრივ თუშური კილოს შესასწავლად და ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მისი მიმართების დასადგენად.



დიალექტური მასალა მთიანი თუშეთის სოფლებში ჩავიწერეთ. ვესტუმრეთ პირიქითის, გომენრისა და ჩალმის ხეობებს. შემდეგ რამდენიმე დღე ქვემო და ზემო ალვანშიც დავყავით. ჩვენთვის საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ თუშურ დიალექტზე არა მარტო მოხუცები, არამედ ახალგაზრდებიც კარგად მეტყველებენ, ამიტომ თითქმის ყველა ასაკობრივი ჯვუფის რესპონდენტი გვყავდა. ზოგჯერ უჭირდათ პასუხის თუშურ დიალექტზე გაცემა და სალიტერატურო ქართულის კოდზე გადადიოდნენ. თუმცა გვყავდა ღრმად მოხუცი რესპონდენტებიც (მარიცო ანთაძე, რუსულან თილიძე, უენია აფთარაული...), რომელებიც, ბუნებრივია, მხოლოდ თუშურ დიალექტზე მეტყველებდნენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ინტერდიალექტური კვლევის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ის მასალაც, რომელშიც ჩვენი რესპონდენტები სალიტერატურო ენაზე საუბრობენ, რომ აღარა-

ფერი ვთქვათ ტექსტების შინაარსობრივ მხარეზე, რაც უდავოდ საინტერესო იქნება ეთნოლოგებისა და ფოლკლორისტებისათვის.

ჩვენი რესპონდენტები იყვნენ:

ომალო

ვალიკო ჭაბუკაიძე – 74 წლის, მერი თავბერიძე – 75 წლის, ვალიკო იჭირაული – 71 წლის, ეთერ გოჩილაიძე – 56 წლის, ნელი იჭირაული – 69 წლის, ლანა ელანიძე – 70 წლის, ვენერა აფთარაული – 69 წლის, კაკო იჭირაული – 53 წლის, ნათია კრიტიული – 27 წლის, თემურაზ აქიმიძე – 49 წლის, ესმა აქიმიძე – 65 წლის, შორენა აქიმიძე – 36 წლის.

დანო

გოდერძი თათარაიძე – 67 წლის, ტასიკო ლილაური – 63 წლის, ვენერა თათარაიძე – 39 წლის, რუსუდან თილიძე თათარაიძისა – 78 წლის, კოსტა ხელაიძე – 80 წლის.

კვავლო

პლატო ქუჯაიძე – 82 წლის, მარინე განირიძე – 46 წლის.

დართლო

სამუხა იდოიძე – 66 წლის, შორენა ელანიძე – 32 წლის.



დოჭუ

თენგიზ თორლვაიძე – 64 წლის, თამარ ბახტურიძე – 57 წლის.

ვერხოვანი

მარქეს ბაშინურისძე – 45 წლის, მაია იდოიძე – 42 წლის.

დიკლო

მარიამ ბექურაიძე – 62 წლის, ელენე ბექურაიძე – 65 წლის, ლილი ქორთოშიძე – 72 წლის, მაშო ბენუნაიძე – 74 წლის, ედიმერ ბელადიძე – 72 წლის.

შენაქო

ელდარ ბუქვაიძე – 68 წლის.

ქვემო ალვანი

ნათელა ბორშოიძე – 67 წლის, ნათელა ბლიაძე – 71 წლის, თინა ბახტურიძე – 62 წლის, დიმიტრი თელაურიძე – 80 წლის, მარუსა ბლიაძე – 79 წლის, ჟენია აფთარაული – 77 წლის, ნადია კარდლიძე – 79 წლის, სოფო წვერაიძე – 84 წლის, სალომე ჩიგლაიძე – 73 წლის, შალვა მოურავიძე – 83 წლის, მარიცო ანთაიძე – 90 წლის.

ზემო ალვანი

თემურ არინდაული – 70 წლის, თინა უშარაული – 71 წლის, ანასტასია უშარაული – 80 წლის, ევა არაბული – 82 წლის, თეკლა უშარაული – 88 წლის, ტასო ცისკარიშვილი – 80 წლის, საბედა



ქადაგიდე – 92 წლის, ბაბულა მჭედლიშვილი – 86 წლის, ნათელა ხეცოვიდე – 38 წლის, მერი ხოსიერიდე – 70 წლის, მარო ითი-ურიდე – 75 წლის, ივანე ქავთარიშვილი – 73 წლის, ნაირა არშაიძე – 55 წლის.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში ბევრი საინტერესო მოვლენა და დიალექტში არსებული ტენდენცია გამოიკვეთა როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის დონეზე. ეს უკანასკნელი ჩვენი უშუალო დაკვირვებისა და შესწავლის საგანი იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სახელთა ბრუნებასა და მრავლობითი რიცხვის წარმოებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. მასალის ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები სადოქტორო ნაშრომში იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება წოვათუშურს, რომელიც მაგისტრანტ გვანცა შუბითიძის კვლევის ობიექტია, ტექსტების უმეტესობა ზემო ალვანში ჩავიწერეთ. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებმა წოვათუშური თითქმის აღარ იციან. განსაკუთრებით მაშინ, თუ დედა წოვათუში არ არის. ასეთ შემთხვევაში სახლში მხოლოდ ქართულად საუბრობენ. თუ მშობლებიდან ორივე წოვათუშია, ბავშვებს ესმით წოვური, მაგრამ თვითონ ვერ ლაპარაკობენ. ამ-დენად, ეს ენა დაკარგვის საფრთხის წინაშეა და მისი კვლევა უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

ტაოს, იმერხევისა და თუშეთის ექსპედიციები ძალზე ნაყოფიერი იყო. მიუხედავად მცირე დროისა, საკმაო რაოდენობის აუდიო და ვიდეომასალა იქნა ჩაწერილი. მოპოვებული ტექსტების ენობრივი თავისებურებანი გაანალიზებული იქნება მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ნაშრომებში.

**SCIENTIFIC-DIALECTOLOGICAL EXPEDITIONS TO TAO, IMERKHEVI
AND TUSHETI**

Summary

In summer 2011, were carried out scientific-dialectological expeditions financed by the Faculty of Humanities of Ivane Javakhishvili Tbilisi State University with the participation of MA students and doctoral students of the program “Kartvelian linguistics”: 1. to Tao and Imerkhevi – the Republic of Turkey (18-26 July); participants: MA students students – Lela Nikoladze, Eka Memarnishvili, Sofia Shamugia; doctoral students – Natia Putkaradze, Maia Maduashvili (head of the expedition); 2. to Tusheti (3-13 August); participants: MA student student Gvantsa Shubitidze and doctoral student Maia Maduashvili (head of the expedition).

The goal of the first expedition was to observe the speech peculiarities of the population living in Tao and Imerkhevi in the bilingual surrounding existing there. Accordingly, we visited the “Georgian speaking” villages of Tao, Imerkhevi and Nigali Gorge; Tao: Khevai, Balkhi, Kvabai/Kobai, Qaramanlebi, Ietti, Sadgiqana, Devsakara, Eliaskhevi; Imerkhevi: Koklieti; Nigali Gorge: Deviskeli, Klaskuri. We visited the following historical-cultural monuments of Tao-Klarjeti: Artanuji Fortress, Parkhali, Otkhta, Ishkhani, Khakhuli, Oshki, Tbeti, Khandzta.

As a result of the observation on Tao and Imerkhevian Georgians’ speech, some significant issues were distinguished. Even today Georgian is greatly influenced by Turkish, which has a state status. This is reflected in word-building, lexical and semantic calque. In some cases mixing of Georgian and Turkish models takes place as well. Studying the grammatical structure of Taoian and Imerkhevian dialects is noteworthy. Just to this point the expedition members have been carrying out their work.

The goal of the Tusheti expedition was to describe and analyze the mutual influence existing between the Tushian dialect, Tsovatushian

language and the Georgian speech of Tsovatushian population; also to study the Tushian sub-dialect and to clarify its relation with the Georgian dialects.

Dialectological material was recorded in the following villages: Omalo, Dano, Dartlo, Kvavlo, Dochu, Verkhovani, Diklo, Shenako. We spent several days in Upper and Lower Alvani. It should be noted that in the material recorded by us many significant phenomena and tendencies existing in the dialects were revealed on grammatical as well as lexical levels. The latest was an object of our direct observation and study. Tsovatushian material was recorded in Upper Alvani. It should be mentioned that this language is an endangered language. Researching it is an urgent task.

Expeditions to Tao, Imerkhevi and Tusheti were fruitful. In spite of a short period many audio and video materials were recorded. Language peculiarities of the obtained texts will be analyzed in the works of MA and PhD students.

რედაქტორი	მაია ეჯიბია
გარეკანის დიზაინი	თინა ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.ge